პოლიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 სექტემბერი **ოთხშაბათი** 2012 **№228 (13 834)** ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამთავრდება ორხელისუფლებიანობა?

დინამო ჩიხურს სტუმრობს, ტორპედო ფოთში ჩადის...

საქართველოს ჩემპიონატი. VII ტურის წინათქმა

3

# ეჰ, რეკორდი...

## გუშინ კობის პისარომ გაასწრო







ლევან კობიაშვილი ბუნდესლიგაში აღარ თამაშობს, რადგან მისი „ჰერტა“ მეორე ბუნდესლიგაში გავარდა. კობი არც მეორე ბუნდესლიგაში თამაშობს, რადგან დისკვალიფიცირებულია. თუმცა ეს ისტორია ყველამ იცის. ისიც გეხსომებათ, რომ ლევანი სუპერ-რეკორდს უმიზნებდა - გერმანიის საფეხბურთო ელიტაში 336 მატჩში ითამაშა, რითაც, ბრაზილიელ ზე რობერტოსთან ერთად, ლეგიონერებს შორის, საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა...

...რომ არა „ჰერტას“ დაქვეითება, დღეს ამის დაწერა ნამდვილად არ მოგვიწევდა: გუშინ „ბაიერნის“ პერუელმა თავდამსხმელმა კლაუდიო პისარომ ბუნდესლიგის 337-ე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და რეკორდსმენი გახდა. სხვათა შორის, 33 წლის პისაროს სხვა რეკორდიც ეკუთვნის: 160 გოლით ბუნდესლიგის ლეგიონერებს შორის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

გოტფრიდ ლენცი

## ბაიერნმა გაილაღა!

დორტმუნდი კრიზისშია!

ბუნდესლიგა V ტური

9









## იუვეემ ქულები დაკარგა

0:0 ფლორენციაში

სერია A. V ტური

7

## მანუს 15 ქულა

11



1001-ე სევდა. ბავშვთა ფეხბურთი

# ზურაბ პეტრიაშვილი: ასეთი გადასახადებით ბავშვებს ვერ გავზრდით

"ქომაგთა ლიგის" დამფუძნებელი და უმაღლესი ლიგის მატჩების დელეგატი ზურაბ პეტრიაშვილი "ლელოსთან" იმ საკითხზე საუბრობს, რაც ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს სატკივარს წარმოადგენს – ბავშვთა ფეხბურთსა და ბოლო წლებში გაზრდილ გადასახადებზე:

- სხვა საქმიანობასთან ერთად, უკვე ორი წელია, საფეხბურთო კლუბ "იბერიას" პრეზიდენტი ვარ. შარშან ტურნირებში ავად თუ კარგად ვმონაწილეობდით. განაცხადი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციების ჩატარებულ ტურნირებში შევიტანეთ – ესენი შედარებით ნაკლებ გადასახადს ითხოვდნენ.

წლეულს თამაში კვლავ აფხაზეთის ფედერაციის ეგიდით გვსურდა. მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის ახალი მითითება მოიშველიეს, რომელიც ტარიფებს არეგულირებს. მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა განყოფილების ხელმძღვანელი ირაკლი ოყრომშიძე თავად დარჩა გაოცებული – თურმე, რეგიონულმა ფედერაციებმა 2 500-ლარიანი გადასახადები წარადგინეს და მან მაქსიმალური ზღვარი, 1 280 ლარი დაუწესა. არადა, შარშან ყველა გუნდის მონაწილეობისთვის სულ 600 ლარი გადავიხადეთ.

**- ტურნირის ორგანიზებისთვის თანხები აუცილებელია, ხარჯები იზრდება და ფედერაციებს სხვა რა დარჩენიათ?**

- ამაზე არც ვდავობ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ტარიფს კი არა, მხოლოდ ზედა ზღვარს აწესებს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაცია გუნდებს გადასახადებს არ ახდევინებს და ბავშვები უსასყიდლოდ თამაშობენ. ეს არის ფეხბურთზე ზრუნვის რეალური გამოხატულება. აჭარა-გურიაში კი გუნდზე გადასახადი მხოლოდ 50 ლარია. როგორც ვიცი, დაახლოებით მსგავსი ვითარებაა სამეგრელო-ზემო სვანეთშიც. ანუ ამ რეგიონების ხელმძღვანელები თანხებს პოულობენ, მსაჯებს რომ მოემსახურონ და აანაზღაურონ ხარჯები.



ზურაბ პეტრიაშვილი

გასაგებია, რომ ხარჯი რეალურად არსებობს და გადასახადი უნდა იყოს, მაგრამ იმის მომხრე ვარ, რომ ეს ყველაფერი ზომიერების ფარგლებში მოხდეს და გუნდებს ტვირთად არ დააწვეს. გადასახადების გაზრდამ მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირება გამოიწვია: თუ შარშან ერთ-ერთი რეგიონული ფედერაციის ჩემპიონატში 140-მდე მონაწილე იყო, წლეულს მათი რაოდენობა განახევრდა. შეწუხებულები არიან, მაგრამ შეამცირონ თანხა და იქნებ, გუნდებს თამაშის სურვილი გაუჩნდეთ?

დასამალი არ არის, რომ ბავშვებში გუნდების მგზავრობის ხარჯი, ფორმები, ბუცები, სამედიცინო შემოწმება მშობელთა კისერზეა. გარდა ამისა, სკოლის გადასახადი 50 ლარია, ზოგან - 80 ლარიც. ამ ხალხს დამატებით ამხელა გადასახადს რომ დაუწესებენ, გაუმართლებელია.

ბევრს აინტერესებს, რას ხმარდება უეფადან ჩვენი ფედერაციის ანგარიშზე დარიცხული თანხები, რომელიც სწორედ ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის არის ჩარიცხული.

**- კარგად მახსოვს, შარშან თბილისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი გოჩა თამაზაშვილი ამბობდა, მსურს, ტურნირი უფასო გავხადოთო. მაგრამ იმხელა ხარჯებია, ეს ვერ შეძლეს.**

- დიახ, მე სწორედ მაგისკენ მივდივარ. მიდგომა უნდა შეიცვალოს და ბავშვთა ფეხბურთში მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას. თუ ბავშვები მასობრივად აღარ ივლიან, დიდი ფეხბურთის მასაზრდოებელი წყარო გადაგვეკეტება. ციფრებს მოვიშველიებ: მადრიდის "რეალის" სტრუქტურაში შემავალ საფეხბურთო სკოლებსა და გუნდებში 16 ათასი ფეხბურთელია, საფრანგეთში 3 მილიონი, გერმანიაში - 2,5 მილიონი. დაახლოებით ჩვენი რაოდენობის მოსახლეობა არის დანიაში, სადაც 500 ათასამდე ფეხბურთელია, 4-მილიონიან ნორვეგიაში – 400 ათასამდე.

ჩვენ დიდი მადა გვაქვს, აგერ ესპანეთის დამარცხება გვსურდა, მაგრამ ეს რა რესურსით უნდა მოვახერხოთ? ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ რაც შეიძლება მეტმა ბავშვმა ითამაშოს, რადგან მეტ რაოდენობაში მეტი ნიჭიერი გამოჩნდება. არადა, ამ დროს, შარშან საქართველოში 16 600 ბავშვი ვარჯიშობდა, წლეულს კი ნაკლები, 16 ათასი და როგორ გვინდა თუნდაც საშუალო ევროპულ დონეს მივუახლოვდეთ?! 600 ბავშვით ნაკლები, თითქოს, რა დანაკლისია? ისინი ყველაზე ღარიბი ოჯახებიდან არიან, სადაც ყველაზე ნიჭიერები იზრდებიან.

**- ეს მონაცემები საიდან გაქვთ?**

- ინფორმაცია დავაზუსტე – ციფრები ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების ხელმძღვანელმა ირაკლი ოყრომშიძემ მომაწოდა.

**- ბავშვთა ფეხბურთის ძველი სისტემა დაიშალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სულაც არ ყოფილა კომუნისტების მოგონილი და საფეხბურთო სკოლებს დასავლეთ ევროპაშიც სახელმწიფო აფინანსებს, როგორც სოციალურ პროექტებს. ჩვენთან კი ეს საკითხი სისტემურად არ გადაჭრილა და გუბერნატორების ნებაზეა დამოკიდებული.**

- რა თქმა უნდა, სისტემა ჩამოიშალა, ფეხბურთი კი დიდ სიხარულს მხოლოდ მაშინ მოგვანიჭებს, თუ ის სახელმწიფოსგან მხარდაჭერილი და დაფინანსებულია. ფეხბურთს სჭირდება არა შეღავათები, არამედ ადეკვატური გადასახადები. ფაქტია, ვითარება სერიოზულად უნდა შეიცვალოს, ბავშვებმა ფეხბურთზე რომ იარონ. ბოლოს და ბოლოს, საფეხბურთო სკოლები მხოლოდ მდიდრებისთვის და ფულის საშოვნელად ხომ არ უნდა იყოს?

**- ნიჭიერ ბავშვებს ყველა სკოლაში გადასახადისგან ათავისუფლებენ, ზოგან კი სტიპენდიასაც უნიშნავენ.**

- ეს კარგია, მაგრამ პრობლემა ამით ვერ მოიხსნება. მშობლებმა იციან, რომ ფეხბურთზე ფულია გადასახდელი. მათ არ იციან, მოეწონებათ თუ არა მისი ბავშვი. შორიდან კი ეს არის ის საფრთხობელა, რომელიც ბევრს აშინებს და ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი ბავშვი დავკარგეთ. და თუ ბავშვები არ ივლიან და გუნდების რაოდენობა შემცირდება, რად გვინდა ასეთი ჩემპიონატი, როგორც მიხეილ ჟვანეცკის სკეტჩში არის, ელმავალი მემანქანისთვის არის და არა მგზავრებისთვის?

ამ ამბავს უამრავი გუნდი განიცდის და საკითხს დროულად თუ არ მიეხედა, ხვალ 16 ათასი ფეხბურთელიც სანატრელი გაგვიხდება. ფეხბურთი ღარიბების სპორტია, მარადონა, პელე, გარინჩა გაჭირვებული ოჯახებიდან იყვნენ და ეს ხომ უნდა გავითვალისწინოთ? რამდენი მშობელი გეგულებათ, რომელიც 50 ლარს გადაიხდის? ტურნირი მაინც იყოს უფასო ან დაბალგადასახადიანი! ცუდი ის არის, რომ აქ ფულია ჩარეული და ამ პრობლემის მოგვარება ამიტომაც არის ძალიან ძნელი.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფეხბურთის ფედერაცია: არ მოგატყუონ, გადასახადი არ გაგვიზრდია

ირაკლი ოყრომშიძემ ერთი წლის წინათ "ლელოსთან" საკმაოდ ხმაურიანი განცხადებები გააკეთა და საფეხბურთო სკოლებს გადასახადების შემცირება ურჩია.

ზურაბ პეტრიაშვილის ინტერვიუს შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების ხელმძღვანელთან დალაპარაკება აუცილებელი გახდა. თუმცა, როგორც გაირკვა, ის აბსოლუტურად იზიარებს პეტრიაშვილის პოზიციას.



**- გუნდებისა და სკოლამდელი ასაკის მოთამაშეთა რაოდენობა მცირდება. ამას რა უნდა მოვუხერხოთ?**

- ჩემპიონატები ახლა იწყება და ეს ძალიან აქტუალური თემაა. მივმართავ ყველა რეგიონულ ფედერაციას, სკოლასა და მწვრთნელებს, რომ გადასახადები არ გაზრდილა და არავინ მოგატყუოთ! რამდენიმე ფედერაციამ მართლაც მომმართა - მათ გადასახადის გაზრდა სურდათ, მაგრამ მაშინვე ზედა ზღვარი დავუწესე.

**- საწევრო თანხა საიდან დგინდება?**

- მონაწილეთა, თამაშებისა და წრეების რაოდენობიდან გამოვდივართ.

**- თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანად არის გადასახადი დაწესებული?**

- ჩემი აზრით, თანხა უნდა დაიანგარიშონ მხოლოდ მსაჯების ხარჯისა და საპრიზო ფონდის გათვალისწინებით. ცხადია, რეგიონულ ფედერაციებს ხარჯები აქვთ, მაგრამ ამან არ უნდა მიიღოს მახინჯი სახე - ბავშვებში 2 500-ლარიანი გადასახადის დაწესება კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს. ამიტომ უნდა შეამცირონ გადასახადები, რადგან ეს ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელ დღეს სიკვდილით ემუქრება. მე კი უნდა დამისაბუთონ, რომ გადასახადი აუცილებელ ხარჯებს ითვალისწინებს და არა რეგიონული ფედერაციის გამდიდრებას.

**- ნუთუ არ არის საშუალება, ტურნირი ყველგან ისევე უფასოდ ჩატარდეს, როგორც ეს ქვემო ქართლშია, ან თუნდაც აჭარა-გურიისა და სამეგრელოს მსგავსად, დაბალი გადასახადი დაწესდეს?**

- მე ერთ-ერთი რეგიონის მაგალითს მოვიყვან, სადაც დაბალი გადასახადია, მაგრამ მსაჯები არ ჰყოფნით და ამიტომ თამაშებზე ლაინსმენები ვერ მიჰყავთ. ეს ცალკე პრობლემაა. ქვემო ქართლში კი ბავშვთა ტურნირებს რუსთავის მერია თავისი სახსრებით ატარებს, პლუს გუნდებს ტრანსპორტირებაში ეხმარება, რისთვისაც მათ მადლობა ეთქმით. ეს არის ჩვენი ფეხბურთის მომავალზე რეალური ზრუნვა.

**- რატომ არის შეუძლებელი იგივე სხვა რეგიონებშიც მოხდეს, ეს ხომ დიდ თანხებს არ უკავშირდება?**

- ჩვენ ქალაქის ბიუჯეტების შედგენაში ვერ ჩავერევით.

**- საკითხის სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტას ვგულისხმობ – ფედერაცია ხომ სახელმწიფოსთან კარგად თანამშრომლობს?**

- ახლა სხვა დროა და კლუბები კომერციული ორგანიზმები გახდნენ. ფეხბურთელს იმიტომ ზრდიან, რომ გაყიდონ, ან მათი დახმარებით წარმატებას მიაღწიონ. პირადად მე ვაკონტროლებ, რომ უეფას რეგულაციები დავიცვათ და უმაღლესი ლიგის გუნდებმა სკოლას მოთამაშეში კომპენსაცია გადაუხადონ. ანუ დაბალ გადასახადს კლუბები ადვილად გადაიხდიან. მთავარია, ის არ გავზარდოთ.

**- უეფასგან ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის ჩარიცხული თანხები რას ხმარდება?**

- ეს თანხები მხოლოდ უმაღლესი ლიგის იმ გუნდებს ერიცხებათ, რომლებიც ლიცენზირებას გაივლიან. მათ უეფა წელიწადში 29-29 ათას ევროს ურიცხავს, ფული სამ ასაკობრივ გუნდს რომ მოახმარონ. ამ შემთხვევაში ფედერაცია ტრანზიტის როლს ასრულებს, თორემ თანხა ჩვენ კი არ გვრჩება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# სამი ქართველი გოლი

გუშინ და დღეს ევროპის ბევრ ქვეყანაში ჩემპიონატისა და თასის მატჩები იმართება და საქმეში ქართველი ლეგიონერებიც არიან ჩართულნი. დანიის თასზე "ორჰუსმა" თანაქალაქელი "ორჰუს ფრემადი" 3:0 გაანადგურა და რაც მთავარია, ამ გამარჯვებაში ლომის წილი ქართველებმა დაიდეს. მე-18 წუთზე ანგარიში **დავით სხირტლაძემ** გახსნა, 52-ეზე კი **დავით დევდარიანმა** "ორჰუსი" ორბურთიანი უპირატესობით დააწინაურა. დევდარიანმა შეუცვლელად ითამაშა, სხირტლაძე კი მეორე ტაიმში შეცვალეს. "ორჰუსის" შემადგენლობაში დებიუტი **მათე ვაწაძეს** ჯერაც არ ჰქონია.

გოლი გაიტანა **დავით სირაძემაც**, მაგრამ ამან მის გუნდს ვერ უშველა. ნალჩიკის "სპარტაკმა", რომლის ღირსებასაც ქართველი თავდამსხმელი იცავს, რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალში გროზნოს "ტერეკს" უმასპინძლა და 1:3 დამარცხდა. სირაძემ 49-ე წუთზე შეხვედრის უკანასკნელი ბურთი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დავით დევდარიანმა ორჰუსში გაიტანა

# ნალჩიკელთა მოულოდნელი საჩუქარი

## უეფამ სპარტაკი სირაძის გამო ახეირა

უეფამ ნალჩიკის "სპარტაკს" 218 ათასი ევრო ჩაურიცხა. რუსეთის პირველი ლიგის კლუბის ხელმძღვანელები ევროპული ფეხბურთის მმართველთა გულუხვობით თავიდან გაოცებულები დარჩნენ – მერე გაირკვა, რომ ეს თანხა "სპარტაკის" ხუთი მოთამაშის ნაკრებში გამოძახების გამო დაერიცხათ, მათ შორის, საქართველოს ნაკრებში მიწვეული **დავით სირაძის** გვარიც დასახელდა.

საქმე ისაა, რომ უეფამ 100 მილიონი ევრო გამოყო იმ კლუბებისთვის, რომლებმაც ფეხბურთელები მიავლინეს ევრო-2012-ის შესარჩევი და ფინალური ეტაპის მატჩებში.

აღსანიშნავია, რომ სირაძის თანაგუნდელია მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ფინეთის ეროვნული გუნდის მეკარე **ოტო ფრიდრიკსენი**, მაგრამ რაც ის შეიძინეს, ზურგის ტრავმის გამო ვერც ნალჩიკელებს დაეხმარა და ვერც თავის ეროვნულ ნაკრებს.

ვფიქრობ, არც ისე მდიდარი ქართული კლუბებისთვის ეს არანაკლებ საინტერესო ამბავია: უეფა ნაკრებში შესარჩევ ციკლში მოთამაშეების გამვებისთვის თანხებს გადაუხდის თბილისის "დინამოს", "ზესტაფონს", რუსთავის "მეტალურგსა" და "ვიტ ჯორჯიას".

**მერაბ მამულაშვილი**

**შპს საფეხბურთო კლუბი „საბურთალო" სამძიმარს უცხადებს ფიფას მსაჯს ლევან მიქელაძეს მცირეწლოვანი შვილების ნინოს და ბარბარეს და ცოლისდის თამუნას ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. VII ტურის წინათქმა

26.09. ქობულეთი. შუქურა. 16:00
**დინამო (ბთ)-მერანი**

26.09. ფოთი. ფაზისი. 16:00
**კოლხეთი-ტორპედო**

26.09. გორი. თ. ბურჯანაძე 16:00
**დილა-მეტალურგი**

26.09. მცხეთა. მცხეთა პარკი 16:00
**ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი**

26.09. სოფელი ივანწმინდა 16:00
**ჩიხურა-დინამო (თბ)**

26.09. ბოლნისი. თ. სტეფანია 16:00
**სიონი-ზუგდიდი**

# დღეს შეიძლება ორხელისუფლებიანობა დასრულდეს



დინამო-ჩიხურას 6 წლის წინანდელი დაპირისპირება

ფოტო: fcdinamo.ge

იქიდან გამომდინარე, რომ უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპის 22-ივე ტურის ჩატარება მიმდინარე წელს არის დაგეგმილი, კალენდარი საკმაოდ მჭიდრო და დატვირთულია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტი მატჩების ჩასატარებლად აქტიურად გამოიყენებს სამუშაო დღეებსაც და ახლა სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. დღევანდელი ტური სატურნირო ცხრილში კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს, კვირას კი უკვე მომდევნო ტურის შეხვედრები გაიმართება და უმაღლესლიგელთა მზადყოფნის შეფასებაც უფრო ამომწურავად შეგვეძლება.

რაც შეეხება დღევანდელ მატჩებს, მათგან ცენტრალურის სტატუსი ორს უნდა მივანიჭოთ, თუმცა როგორც ჩემპიონატის პირველ ნახევარს სჩვევია, რიგით და არაფრისმომცემ შეხვედრებთან საქმე, ფაქტობრივად, არ გვექნება.

## გაგრძელდება დილას აღმასვლა?

გორში ერთმანეთს მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი ორი გუნდი დაუპირისპირდება. **გიორგი დარასელიას** ხელი "დილას" აშკარად დაეტყო, საქართველოს თასის მფლობელმა ხომ ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით ჯერ თბილისის "დინამოს", შემდეგ კი "ზესტაფონს" სძლია. დღეს "დილას" საქმე კიდევ ერთ უშუალო კონკურენტთან ექნება და საინტერესოა, შეძლებს თუ არა გორელთა მთავარი მწვრთნელი "ლელოს" ტურის სიმბოლურ ნაკრებში ზედიზედ მესამედ მოხვედრას.

რუსთაველებმა ფოთის "კოლხეთის" ძლევით სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოისწორეს და თუ გორში არ წააგეს, "დილასთან" ხუთქულიან უპირატესობას შეინარჩუნებენ. სუსტი სტარტის შემდეგ კი შიდაქართლელებისთვის გამარჯვების გარდა, სხვა ნებისმიერი შედეგი მიუღებელი უნდა იყოს. ბოლო ორ მატჩში მოპოვებული ექვსი ქულის მიუხედავად, დარასელიას გუნდის პოზიციები ჯერ კიდევ არასახარბიელოა. "დილა" ხომ დღეისთვის საუკეთესო ექვსეულშიც კი არ შედის.

მოკლედ, გორში ძალიან საინტერესო და შინაარსიანი ფეხბურთის მომსწრენი უნდა გავხდეთ. ერთმანეთის წინააღმდეგ ხომ ქართული საზომებით ამბიციური გუნდები ითამაშებენ.

"მეტალურგი" ლიდერთა ჯგუფთან ძალიან ახლოა და თუ გორიდან შინ ხელცარიელი არ დაბრუნდა, პოზიციებს კიდევ უფრო გაიმყარებს. თუ "დილამ" კალენდრის ეს რთული მონაკვეთი ბოლომდე ღირსეულად განვლო, შემდეგ აღმასვლა, წესით, აღარ უნდა გაუჭირდეთ. კალენდარი ვახსენეთ და გეტყვით, რომ გორელებს "დინამოს", "ზესტაფონისა" და "მეტალურგის" შემდეგ, ქუთაისში "ტორპედოსთან" ელით ბრძოლა!

უდავოა, რომ ეს მატჩი გორულზე არანაკლებ ყურადღებას მიიპყრობს და ბევრ შეკითხვასაც გასცემს პასუხს. არც ვიცით, იქნება თუ არა ფრე დამაკმაყოფილებელი შედეგი "ჩიხურასთვის", დედაქალაქელთათვის კი ქულების დაკარგვა შესაძლოა, ლიდერობის დაკარგვას ნიშნავდეს – ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "ტორპედო" ფოთში გაიმარჯვებს.

ვიცოდით, რომ "ჩიხურა" უმაღლეს ლიგას აუტსაიდერის სტატუსით არ დაუბრუნდებოდა, მაგრამ **სოსო ფრუიძის** გუნდის სტარტს მაინც სიურპრიზი უნდა ვუწოდოთ. შესაძლოა, საჩხერელებმა დროთა განმავლობაში მოწინავე პოზიციები ველარ შეინარჩუნონ, მაგრამ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის პოტენციალი ნამდვილად აქვთ. "დინამო" კი გორში განცდილი მარცხის მიუხედავად, სტაბილურად აგრძელებს ქულების დაგროვებას და თუ დღეს გაიმარჯვა, ლიდერებსა და სხვებს შორის სხვაობა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება.

## მეორე ცენტრი იმერეთშია

"ჩიხურა" აქამდე თანალიდერი იყო, თუმცა ზუგდიდში განცდილი მარცხით მესამე ადგილამდე დაქვეითდა. დღეს საჩხერელებს დაკარგულის ანაზღაურების შანსი ეძლევათ – მათი სტუმარი ლიდერი თბილისის "დინამო" იქნება.

## ბრძოლა ლიდერობისა და ექვსეულისთვის

ახლო წარსულში "ვიტ ჯორჯია"-"ზესტაფონი" ტურის ცენტრალური მატჩი იქნებოდა, მაგრამ ბოლო წლებში ვეტერინარები მაღალი მიზნისთვის ვეღარ იბრძვიან და შესაბამისად, წამყვანი ქართული კლუბები მათთან დაპირისპირებაში მიზნად მხოლოდ სამი ქულის მოპოვებას ისახავენ. თუმცა ოპტიმალურ მდგომარეობაში არც "ზესტაფონია" და წესით, საქართველოს მოქმედი ჩემპიონისთვის მცხეთაში წარმატების მიღწევა არცთუ იოლი უნდა იყოს.

**ზამთარაძე-მუჯირის** სამწვრთნელო დუეტმა ფეროელთა სათავეში მუშაობა გამარჯვებით კი დაიწყო, მაგრამ ამას შინ "დილასთან" განცდილი მარცხი მოჰყვა, რამაც "ზესტაფონის" სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ახლა საინტერესო ის არის, როდის მიიღებს "ზესტაფონი" მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდის სახეს. ახალ სამწვრთნელო შტაბს თავის გამოსაჩენად დრო ყოველთვის სჭირდება და ამ ტანდემის მუშაობაც ოდნავ მოგვიანებით უნდა შევაფასოთ.

"ვიტ ჯორჯია" წინა ტურში "დინამოსთან" 0:5 განადგურდა და საინტერესოა, დროულად შეძლებს თუ არა **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი ამის დავიწყებას და აქცენტის მოახლოებულ მატჩებზე გადატანას.

"კოლხეთს" მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ არ მოუგია, დღეს კი ისეთი მეტოქე ჰყავს, რომელთან ნავსის გატეხა გაუჭირდება. "ტორპედო" ჩინებულ ფორმაშია და დამსახურებულადაც არის ჩემპიონატის თანალიდერი. **გია გეგუჩაძის** გაახალგაზრდავების პოლიტიკა აქაც ამართლებს – ბოლო სამი მატჩი ქუთაისელებმა ოთხი ბურთის სხვაობით მოიგეს!

თუმცა ხელაღებით პროგნოზს ვერც ამ მატჩზე გავაკეთებთ, ფოთში წარმატების მიღწევა ხომ არავისთვის არის ადვილი.

უშუალო კონკურენტები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს ბოლნისში. "სიონისა" და "ზუგდიდის" ამოცანა ამ ეტაპზე ზეექვსეულში შესვლაა და ამის იმედი ჯერ არც ერთ მათგანს გადაუწურავს. გასულ ტურში "ზუგდიდმა" "ჩიხურასთან" საშინაო შეხვედრაში ორბურთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა, ასეთი შემთხვევები კი ნებისმიერი გუნდის საბრძოლო განწყობას ამაღლებს. "სიონის" ერთ-ერთი უმთავრესი იმედი საშინაო კედლებია. ამ მატჩში ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი.

ბოლოადგილოსან ბათუმის "დინამოს" პირველი გამარჯვების მოპოვების კარგი შანსი აქვს. "მერანი", როგორც წესი, ქულების უდიდეს ნაწილს მარტვილში აგროვებს, სტუმრად კი იშვიათად ახერხებს მარაგის შევსებას. რაღა თქმა უნდა, დღეისთვის "მერანი" "დინამოზე" ძლიერი კლუბია, თუმცა ამ კონკრეტულ მატჩში წარმატების შანსი ორივე გუნდს აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 6 | 5 | 0 | 1 | 17 | 4 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 13 | 2 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 4 | 2 | 6 |
| 2 | ტორპედო | 6 | 5 | 0 | 1 | 17 | 4 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 11 | 1 | 12 | 2 | 1 | 0 | 1 | 6 | 3 | 3 |
| 3 | ჩიხურა | 6 | 4 | 0 | 2 | 10 | 8 | 12 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | 3 | 5 | 3 | 0 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 4 | მეტალურგი | 6 | 4 | 0 | 2 | 6 | 6 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 3 | 6 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 | 6 |
| 5 | მერანი | 6 | 3 | 0 | 3 | 4 | 8 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 9 | 3 | 0 | 0 | 3 | 1 | 8 | 0 |
| 6 | ზუგდიდი | 6 | 2 | 3 | 1 | 7 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 6 | 2 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 |
| 7 | ზესტაფონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5 | 4 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 1 | 3 |
| 8 | დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 7 | 7 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 6 | 7 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 4 |
| 9 | სიონი | 6 | 1 | 3 | 2 | 7 | 8 | 6 | 3 | 0 | 3 | 0 | 3 | 3 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4 | 5 | 3 |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 6 | 1 | 2 | 3 | 2 | 8 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 2 | 7 | 4 |
| 11 | კოლხეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2 | 12 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 5 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 7 | 1 |
| 12 | დინამო (ბთ) | 6 | 0 | 2 | 4 | 3 | 14 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 5 | 0 | 4 | 0 | 2 | 2 | 3 | 9 | 2 |

ცხრილი შედგენილია gff.ge-ს მიხედვით

## ამონარიდი რეგლამენტიდან

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);
2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;
3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);
7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

## პირველი ლიგა, V ტური

### A ჯგუფი

გურია (ლანჩხუთი) – დინამო-2 (თბ.) 4:2
სასკო (თბილისი) – იმერეთი (ხონი) 4:1
სქური (წალენჯიხა) – სულორი (ვანი) 2:0
ბეთლემი (ქედა) – გაგრა 1:0
რაჭა (ამბროლაური) – ჭიათურა 2:2
სტუ (თბილისი) – მეშახტე (ტყიბული) 5:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 5 | 4 | 0 | 1 | 13-3 | 12 |
| 2. სასკო | 5 | 4 | 0 | 1 | 15-7 | 12 |
| 3. სტუ | 5 | 4 | 0 | 1 | 16-9 | 12 |
| 4. გაგრა | 5 | 3 | 0 | 2 | 11-3 | 9 |
| 5. დინამო-2 | 4 | 2 | 1 | 1 | 16-9 | 7 |
| 6. სქური | 5 | 2 | 1 | 2 | 5-8 | 7 |
| 7. ბეთლემი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-7 | 6 |
| 8. იმერეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| 9. ჭიათურა | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 10. მეშახტე | 5 | 1 | 1 | 3 | 6-17 | 4 |
| 11. სულორი | 5 | 1 | 0 | 4 | 1-13 | 3 |
| 12. რაჭა | 5 | 0 | 2 | 3 | 6-13 | 2 |

### B ჯგუფი

სპარტაკი (ცხინ.) – მერცხალი (ოზურ.) 2:0
ლიახვი (აჩაბეთი) – კოლხეთი (ხობი) 1:2
ლოკომოტივი (თბ.) – შუქურა (ქობ.) 2:1
სამგურალი (წყალტ.) – ჩხერიმელა (ხარაგ.) 4:1
ზოოვეტი (მარნეული) – ადელი (ბთ) 2:1
აეტი (სოხუმი) – სამტრედია 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1, სპარტაკი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-1 | 15 |
| 2. კოლხეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-6 | 15 |
| 3. ლოკომოტივი | 5 | 3 | 1 | 1 | 14-8 | 10 |
| 4. სამგურალი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 5. სამტრედია | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 6. მერცხალი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 7. ზოოვეტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 8. ჩხერიმელა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 9. შუქურა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 10. ადელი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-12 | 3 |
| 11. აეტი | 5 | 0 | 0 | 5 | 5-12 | 0 |
| 12. ლიახვი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-16 | 0 |

## ქართული ფეხბურთი

ჩვენებური უცხოეთში

# მაქსიმალისტი ვარ, სენსაციების არ მჯერა

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ექვსი ტურის შემდეგ ზაქათალის "სიმურგი" ლიდერობს. ჩვენთვის ეს ფაქტი იმით არის საინტერესო, რომ "სიმურგს" გიორგი ჩიხრაძე წვრთნის, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, თბილისის "ამერის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა ორჯერ მოიგო საქართველოს თასი.

ჩიხრაძე აზერბაიჯანში რომ წავიდა სამუშაოდ, ჯერ კახა ცხადაძის თანაშემწე იყო ბაქოს "ინტერში", წინა სეზონის ბოლოს კი "სიმურგი" ჩაიბარა. ზაქათალელების მთავარი ამოცანა აზერბაიჯანის პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო და ჩიხრაძის გუნდმა მიზანი აისრულა.

ახლა კი "სიმურგი" ლიდერია. ჩიხრაძეს აზერბაიჯანში ტელეფონით დავუკავშირდით...

**- "სიმურგის" ლიდერობას უმეტესობა ალბათ არ ელოდა აზერბაიჯანში. თქვენი გუნდი ახლა პირველ ადგილზე რომ არის, ამას სენსაცია არ შეიძლება ეწოდოს?**

- რა გითხრათ, საერთოდ, ცხოვრებაში სენსაციების არ მჯერა. წინა სეზონის შემდეგ ახალი გუნდის შექმნა დავიწყეთ, მოვიყვანეთ ახალი ფეხბურთელები, მწვრთნელებმა, კლუბის ხელმძღვანელობამ, მოთამაშეებმა – ყველამ დიდი შრომა გავწიეთ, ახალი სეზონისთვის სერიოზულად მოვემზადეთ. რა თქმა უნდა, "სიმურგის" ასეთ შედეგს ბევრი არ ელოდა, რადგან აზერბაიჯანში ბევრია უფრო ტრადიციული კლუბი.

**- სიტყვა "სენსაცია" უფრო ალბათ იმან მოიტანა, რომ "სიმურგის" ბიუჯეტი განსხვავდება "ხაზარის", "ბაკის", "ნეფთჩის", "გაბალას" თუ "ყარაბახის" ბიუჯეტისგან...**

- ბიუჯეტში, რა თქმა უნდა, არის სხვაობა, მაგრამ ამ სეზონში "სიმურგის" კარგი სტარტი დახარჯული ენერგიის შედეგია.

**- ენერგია და შრომა ერთია, შესაძლებლობები კი მეორე. როგორ ფიქრობთ, ამ პოზიციის შენარჩუნება რამდენად რეალურია "სიმურგისთვის?**

- ეს ძალიან ძნელი იქნება. რაც უფრო წინ მიდიხარ, მით უფრო რთულია პოზიციების შენარჩუნება. ფინანსური შესაძლებლობებითა და კარგი ფეხბურთელების რაოდენობით სხვა გუნდები ჩვენზე წინ არიან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაღაცის გვეშინია.



**- მსაჯობის თემა რამდენად აქტუალურია აზერბაიჯანში? რამდენად არის დამოკიდებული სატურნირო ცხრილი ამ საკითხზე?**

- მაშინაც, როცა საქართველოში ვმუშაობდი, მსაჯობაზე ლაპარაკს ვერიდებოდი. შესაძლოა, ამ მხრივ იყო პრობლემები, მაგრამ მსაჯობა გადამწყვეტი მნიშვნელობის ვერ იქნება. როცა ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევა, უფრო კარგად გამოჩნდება ყველაფერი. ბაქოს "ინტერში" რომ ვმუშაობდი, მაშინ გამოვცადეთ საკუთარ თავზე ეს პრობლემა...

**- სატელიტი გუნდები და ასეთნაირად მიღწეული შედეგი – როგორც ვიცით, აზერბაიჯანული ფეხბურთიც აღმოჩნდა ამ პრობლემის წინაშე. ახლა რა ვითარებაა ამ მხრივ?**

- აზერბაიჯანში ფეხბურთი ვითარდება და ყველა საკითხის მხრივ შეინიშნება წინსვლა. ინფრასტრუქტურა, კარგი კვალიფიკაციის ლეგიონერები – ბევრი რამე კეთდება. რაც შეეხება კონკრეტულად სატელიტი გუნდების თემას, ამ მხრივ ახლა გაცილებით ნაკლებია პრობლემები.

**- "სიმურგი" სეზონის წინ მნიშვნელოვნად გაძლიერდა და იქიდან გამომდინარე, რომ ჩემპიონატი რიხით დაიწყო, რამდენად მოსალოდნელია ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ხელახალი გაძლიერება ლეგიონერებით?**

- ზამთრამდე ჯერ კიდევ დროა, ახალი წლის შემდეგ ოთხი ტურიღა იქნება დარჩენილი ექვსეულის თამაშებამდე. რეალურად რისი შანსი გვექნება – ამისდა მიხედვით ვიმოქმედებთ.

**- "სიმურგში" არც ერთი ქართველი ფეხბურთელი არ თამაშობს და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში თუ იგეგმება რომელიმე ჩვენებური ფეხბურთელის ტრანსფერი?**

- ქართველი ფეხბურთელის დამატება ამ სეზონის წინ გვინდოდა, თუმცა ფინანსური საკითხის გამო ეს ვერ მოხერხდა, ფეხბურთელი კლუბისგან იყო გამოსასყიდი...

**- სად უფრო ძნელია მწვრთნელობა – საქართველოში თუ აზერბაიჯანში?**

- მწვრთნელობა ყველგან რთული და საინტერესო პროფესიაა, ასეა აზერბაიჯანშიც, სადაც ახალი გამოცდილება მივიღე. თბილისის "ამერში" რომ ვმუშაობდი, მართლაც კარგი კოლექტივი ვიყავით, ყველამ თავისი საქმე იცოდა. კითხვაზე კი ასე გიპასუხებთ – ყველგან მაქსიმალისტი ვარ, საქართველოშიც და აზერბაიჯანშიც.

-დავით თავართქილაძე




## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# 50 გოლი ამსტერდამ არენაზე

გაგრძელება. დასაწყისი: „ლელო" № 110 (13716)

მერვედფინალში ბრემენის „ვერდერს" გადავეყარეთ. „ვერდერიც" ლიგიდან იყო და მის სიძლიერეში ეჭვი არავის შეჰპარვია. პრინციპში, ყველაზე არასასურველი მოწინააღმდეგე იყო ჩვენთვის. სახლში 0:0, სტუმრად — 1:4 ვითამაშეთ. ეს ანგარიში არ ასახავს თამაშის მსვლელობას და ძალთა თანაფარდობას, მაგრამ სალაპარაკოც ბევრი არაფერია. უბრალოდ, ყველაფერი ცუდად დაიწყო. გერმანიაში ისე წავედი, რომ ბუცები დამრჩა. მთელი კარიერის განმავლობაში, ასეთი რამ არასდროს მომსვლია!.. მგონი, არც ბავშვობაში. სასწრაფოდ დავრეკე კლუბში და ის ბიჭები გავაფრთხილე, რომლებიც ტრავმის გამო არ თამაშობდნენ, მაგრამ მეორე დღეს საყურებლად და საგულშემატკივროდ მოდიოდნენ და ვთხოვე, რომ ბუცები წამოეღოთ. მანამდე კი ნათხოვარი ბუცებით ვივარჯიშე, ცუდი შეგრძნება მქონდა, ჩემს თავზე ძალიან ვბრაზობდი, არ ვიცი, ეს როგორ დამემართა. ტურნირს გამოვეთიშეთ, ჩემი ოცნებაც საბოლოოდ დასრულდა. კარიერას ევროპული თასის გარეშე ვასრულებდი, თუმცა ვთვლი, არც ისე ცოტას მივაღწიე, 2006-07 წლებში ევროპაზე 8 გოლი დამიგროვდა, ხოლო საბოლოო ჯამში, უეფას თასის ისტორიაში, კარიერის განმავლობაში — 27 გოლით, მესამე ადგილზე გადავინაცვლე.

სახლში ყველაფერი ძველებურად იყო, **თამუნას** ჩემი გიჟური განრიგი, ცხოვრების წესი და წამდაუწუმ მგზავრობა, რა თქმა უნდა, აღარ უკვირდა, ამიტომ ისიც ჩემსავით მოუთმენლად ელოდა სეზონის დამთავრებას.

„ერედივიზიონის" დასრულებამდე სამი ტური რჩებოდა, როცა ცხრილში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. პირველ ადგილზე ისევ პსვ იყო, ჩვენ და „აიაქსი" მეორე-მესამე ადგილებს ვინაწილებდით. „ვიტესს" 1:0-ით მოვუგეთ, თერთმეტმეტრიანი გავიტანე. მანამდე „რკს"-ს ვერ შევუგდე პენალტი და ლუიმ პენალტების დარტყმა ამიკრძალა, მაგრამ ამ თამაშზე პენალტის დარტყმაზე ყველამ უარი თქვა და მე, როგორც ლიდერმა, გადავწყვიტე დამერტყა!.. თამაშის შემდეგ ლუიმ ძალიან მოკლედ მითხრა: — ვამაყობ შენით!.. მერე „ჰერენვეენს" შევხვდით, 2:1-ს ვიგებდით, ვად ყველანაირად რთული იქნებოდა და ასეც მოხდა. რამდენიმე ფეხბურთელს უიღბლობა დასჩემდა და „ექსელსიორთან" მატჩისთვის თავს ცუდად გრძნობდნენ. მე კი მქონდა ამის გამოცდილება, როცა ჩემპიონობა ბოლო ტურში გადამიწყდა. ეს ორჯერ იყო, რეინჯერსელობისას. ბევრმა გულშემატკივარმა სხეულზე წინასწარ საჩემპიონო სვირინგებიც კი დაიხატა. ეჰ, ვინ წარმოიდგენდა, რომ ასე უიღბლოდ წარიმართებოდა ყველაფერი...

ჭორი გავრცელდა, რომ „აიაქსი", ყველა ხერხს მიმართავდა, ოღონდ ჩვენთვის ხელი შეეშალა. რაღას არ გაიგებდი იმ დღეებში, თუმცა უმთავრესი ერთი რამ იყო, — გამარჯვება!

თუ „ექსელსიორს" ერთი ბურთის სხვაობით მაინც დავამარცხებდით, ჩემპიონები ვიყავით, რადგან ასეთ შემთხვევაში „აიაქსს" მინიმუმ შვიდბურთიანი, ხოლო პსვ-ს, მინიმუმ ხუთბურთიანი სხვაობით უნდა მოეგოთ მეტოქეებისთვის.

> როგორც კაპიტანმა, გუნდი გავაჩერე და ფეხბურთელებს ვუთხარი, — რაც არ უნდა მოხდეს, თამაში როგორი სცენარითაც არ უნდა განვითარდეს, ყველანაირად ეცადეთ, წითელი ბარათი არავინ მიიღოს

...და თამაშის დღეც დადგა... გასახდელში ვართ, მსაჯმა მოედანზე გასასვლელად გვიხმო. როგორც კაპიტანმა, გუნდი გავაჩერე და ფეხბურთელებს ვუთხარი, — რაც არ უნდა მოხდეს, თამაში როგორი სცენარითაც არ უნდა განვითარდეს, ყველანაირად ეცადეთ, წითელი ბარათი არავინ მიიღოს. თერთმეტ-თერთმეტზე „ექსელსიორს" აუცილებლად დავამარცხებთ-მეთქი.

მატჩის პირველ ათ წუთში ორი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენე, ჯერ თავურით ავაცილე კარს, მერე კი მარცხენით უნდა გამეტანა, — მეკარემ ბურთი ფეხით მოიგერია.

მე-14 წუთზე კი მსაჯმა ჩვენს კარში პენალტი დანიშნა და თან ჩვენი მეკარე მოედნიდან გააძევა. ყველას ჩემი ნათქვამი გაახსენდა. 18 წუთის წინ ხომ ყველას ვემუდარებოდი, წითელი ბარათი არ მიიღოთ-მეთქი. ისე გამოვიდა, თითქოს წინასწარ მქონდა ნანახი ყველაფერი.

გოლიც გაგვიტანეს და ათი კაცითაც დაგვტოვეს... „კაცნაკლულებს" კი, თამაშის შემოსაბრუნებლად, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი ენერგია გვჭირდებოდა. ტაიმის ბოლოს ანგარიში **ციომერმა** გაათანაბრა და შესვენებაზე 1:1-ით გავედით. **ვან გაალს** ბევრი არაფერი უთქვამს, მთავარია, ყურადღებით იყოთო. მე მარჯვნივ გადამწია და თავდასხმის ცენტრში შეცვლაზე **კუვერმანსი** შემოიყვანა. „კუვი" მთელი სეზონის განმავლობაში ლიგის ბომბარდირი იყო, ბოლო კვირას რამდენიმე დღე ივადმყოფა და ძირითადში არ იყო. არ ვიცი, თვითონ რას ფიქრობდა, მე ამ ადგილს, ამ განსაკუთრებულ მატჩში არავის დავუთმობდი. ვუთხარი კიდეც, რომ ლუისთან შესულიყო და დალაპარაკებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ


შოთა არველაძე

ლუი გაუგებდა, ამ თამაშში მონაწილეობა დაიმსახურა და ათამაშებდა.

> ალკმაარში რომ ჩავედით, ხალხი სტადიონთან გველოდა. როგორც კი ჩვენი ავტობუსი დაინახეს, თავიანთ საყვარელ გუნდს ტაშით და სიმღერით შეეგებნენ, — ამისთვის, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ!..

როცა გავიგეთ, რომ პსვ „უტრეხტს" ვერ უგებდა (1:1). „ჰერენვეენს" მესამე გოლი გავუტანეთ და თითქოს სურათი განმეორდა, ჩვენი თამაში უფრო ადრე მორჩა და ყველა „უტრეხტის" თამაშის საბოლოო შედეგს ელოდა. იგივე იყო გლაზგოშიც. „ალკმაარს" პსვ-სთან და „აიაქსთან" შედარებით, ბურთების შეფარდება უკეთესი ჰქონდა და ყველანი სულმოუთქმელად ველოდით, რას იზამდა პსვ. ეინდჰოვენელებმა ველარაფერი მოუხერხეს „უტრეხტს" და ბოლო ტურის წინ პირველ ადგილზე ჩვენ გადავედით. ალკმაარის სტადიონზე ისეთი ამბავი ატყდა, ახალაშენებული სტადიონი ლამის ხელახლა ასაშენებელი გახდა, - გულშემატკივარი უკვე „ალკმაარის" ჩემპიონობას ზეიმობდა... ყველას ეგონა, რომ ბოლო ტურში მაჩანჩალა „ექსელსიორს" გოლებით ამოვავსებდით. „აიაქსი" „ტილბურგთან" თამაშობდა სტუმრად, პსვ - შინ, „ვიტესთან".

ბოლო ტურამდე დარჩენილი დღეები ძალიან მძიმე გამოდგა ჩვენთვის. გაზეთები და ტელეარხები უკვე იუწყებოდნენ, „ალკმაარი" ჩემპიონიაო, თუმცა ვგრძნობდი, ბოლო მატჩი ჩვენი ახალგაზრდა გუნდისთვის ფაქტობრი-

მეორე ტაიმი დაიწყო, ძალიან ვჩქარობდით, ძალა ნელ-ნელა გვეცლებოდა. მეტოქემ კუთხური მოაწოდა, მცველებმა თავით ცუდად მოიგერიეს ბურთი, რასაც ჩვენს კარში მეორე გოლი მოჰყვა. ამან მართლაც დაგვანგრია, ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დაგვეწყო, ენერგია თითქმის დაცლილი გვქონდა. მიუხედავად ამისა, ანგარიში გავათანაბრეთ, — ეს „კუვიმ" გააკეთა, ნეტავი თავიდანვე გვყოლოდა... მოედანზე უკვე ძლივს დავდიოდით, დავლასლასებდით. ყველა შეცვლა გახარჯული გვქონდა, „ექსელსიორს" კი ახალი ფეხბურთელები შემოჰყავდა. უკვე ქაოსურად ვთამაშობდით და მატჩის ბოლოს მესამე გოლიც გავუშვით...

ჩვენი ბიჭები მოედანზე იწვნენ და ტიროდნენ, გულშემატკივარი განადგურებული იყო, „ალკმაარში" ყველაფერი მზად იყო ჩემპიონობის აღსანიშნავად, მაგრამ...

ჩემპიონი პსვ გახდა, „ვიტესს" — 5:1 მოუგო, „აიაქსმა" „ტილბურგს" — 1:0, ჩვენ კი, მესამე ადგილზე ჩამოვიჩოჩეთ.

ვერ ვიხსენებ, რა ხდებოდა ჩვენს გასახდელში, ის კი მახსოვს, რომ დიდი ხანი მოვუნდით იქიდან გამოსვლას. ალკმაარში რომ ჩავედით, ხალხი სტადიონთან გველოდა. როგორც კი ჩვენი ავტობუსი დაინახეს, თავიანთ საყვარელ გუნდს ტაშით და სიმღერით შეეგებნენ, — ამისთვის, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ!..

გაგრძელება იქნება

● არსენალი

# თეო ლეგენდათა შორის?


თეო უოლკოტი არსენალის დატოვებაზე არ ფიქრობს

"არსენალის" 23 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **თეო უოლკოტმა** განაცხადა, რომ მას "ემირატსზე" დარჩენა და გუნდის ლეგენდათა შორის საკუთარი სახელის ჩაწერა სურს და რომ "მეთოფეთა" რიგებიდან წასვლის გადაწყვეტილებაზე არასოდეს ულაპარაკია. იმისთვის, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი **ტიერი ანრის** ან **იან რაიტის** მიერ გაკვალულ გზას დაადგეს, ამისთვის, სულ მცირე, ახალი ხელშეკრულების გაფორმებაა საჭირო, რადგან მოქმედს ვადა სეზონის ბოლოს ეწურება. თეოს ამჟამინდელი ანაზღაურება კვირაში 75 ათასი ფუნტია. ფეხბურთელი ხელფასის 25 ათასით გაზრდას ითხოვს. ვფიქრობთ, "არსენალისთვის" გუნდის ერთ-ერთ ლიდერთან ასეთ პირობებზე შეთანხმება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. **არსენ ვენგერის** განცხადებით, თუკი დეკემბრის შუა რიცხვებამდე მხარეები პოზიციებს ვერ შეაჯერებენ, იანვარში კლუბს ფეხბურთელის გაყიდვა მოუწევს, რათა ფინანსური თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტად არ იზარალოს. თავად ფეხბურთელი ოპტიმისტურად არის განწყობილი: *"ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკების პროცესი მეტისმეტად გაიწელა. იმედი მაქვს, ამჯერად მაინც მივალთ შეთანხმებამდე. წასვლაზე არასოდეს მიფიქრია, პირიქით, აქ დარჩენა ყოველთვის მინდოდა, რადგან "არსენალის" ლეგენდარული ფეხბურთელების გვერდით მსურს ჩემი სახელის ჩაწერა. მაგალითად, როცა ტიერი ანრი მოვიდა, ის 22 წლის იყო. სწორედ მას მინდა გავუთანაბრდე. თუმცა ერთია, მასავით თავდასხმაში მინდა თამაში. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია. აქ მოსვლის დღიდან მხოლოდ მარჯვენა ფლანგზე მიწევს თამაში. თავდასხმაშიც მინდა შანსი მომეცეს. მთელი ეს სპეკულაციები ფულთან დაკავშირებით ჩემთვის მეორეხარისხოვანია. ეს არ არის ის ფაქტორი, რომლის გამოც გადაწყვეტილებას მივიღებ და რომლითაც ვილაცები ჩემს მოხიბვლას მოახერხებენ. მე მხოლოდ საფეხბურთო კომპონენტებს ვითვალისწინებ. ველოდები იმ დღეს, როცა მოლაპარაკებების პროცესი განახლდება. დარწმუნებული ვარ, საქმე დაშორებამდე არ მივა. და მაინც, თუ საქმე აქამდე მივიდა, ძალიან სამწუხარო იქნება".*

## ლონდონიდან მილანში

მილანის "ინტერს" "არსენალიდან" **ბაკარი სანიას** შეძენა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი მძიმე ტრავმას მკურნალობს (ბოლო წლის განმავლობაში ფეხი ორჯერ მოიტეხა, მეორედ მაისში), ის ჟურნალისტებთან აქტიურად ურთიერთობს და აცხადებს, რომ უკმაყოფილოა "მეთოფეთა" საკადრო პოლიტიკით. ამის გამო მას გარკვეულწილად ურთიერთობაც კი დაეძაბა ვენგერთან. კლუბი მას ხელშეკრულების გახანგრძლივებას სთავაზობს, მაგრამ 29 წლის მცველი მოლაპარაკებებზე უარს აცხადებს. თუკი ის კიდევ ერთხელ იუარებს შეთავაზებას, ლონდონელები წინადადებას უკან გაიხმობენ. მოქმედი ხელშეკრულება სანიას 2014 წლის ზაფხულზე უმთავრდება. შესაბამისად, "არსენალი" მას მომავალ ზაფხულზევე გაყიდის. შექმნილი ვითარებით სწორედ "ნერაძურის" სურს სარგებლობა. იტალიელებს ტრანსფერი 20 მილიონ ევრომდე დაუჯდებათ.

## ჰანგელანდის ლონდონური პერსპექტივა

"არსენალს" "ფულჰემიდან" 31 წლის ნორვეგიელი ცენტრალური მცველის **ბრედ ჰანგელანდის** გადაბირება აქვს განზრახული. ვეტერანს მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება. კლუბი მას თანამშრომლობის გახანგრძლივებას სთავაზობს, მაგრამ მოლაპარაკებების პროცესი ჯერჯერობით წარუმატებლად მიდის. "მეთოფეებს" ფეხბურთელის უფასოდ ხელში ჩაგდების იმედი აქვთ.

● სკანდალის გამოძახილი

# ფანების თავგასული გამოხტომა

ბოლო წლებში საფეხბურთო არბიტრების თემა ძალიან აქტუალურია. ცხადია, ხალხს სალაპარაკო ჰაერიდან არ მოსდის. მსაჯები შეცდომებს ადრეც უშვებდნენ და მომავალშიც დაუშვებენ, მაგრამ საქმე ეპოქაშია. დიახ, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების საუკუნეში მათი მცირე გადაცდომაც კი უფრო ფართო საზოგადოების სამსჯელო ხდება. ასე მაგალითად, ამ უქმეებზე "ლივერპული"-"მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრის მეორე ნახევარში **მარკ ჰალსის** მიერ მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტის შემდეგ მერსისაიდელთა ფანები ალშფოთდნენ. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ მავანმა ჰალსის დაუწერა, იმედია, მაინც კიბოთი მოკვდებიო. "მაინც" იმიტომ, რომ ჰალსი დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდა ყელის სიმსივნეს და 2 წლის წინ საბოლოოდ დაამარცხა ის. "დეილის მეილის" ინფორმაციით, პოლიციამ უკვე


მარკ ჰალსი სკანდალის ეპიცენტრში მოხვდა

მოახერხა "ტვიტერის" მომხმარებლის დაბლოკვა. როგორც იუწყებიან, ვინაობის დადგენა სამართალდამცავებს არ გაუჭირდებათ. ჰალსიმ და მისმა ადვოკატმა გადაწყვიტეს, რომ შეურაცხმყოფელს სასამართლოში უჩივლონ.

შეურაცხყოფა, პოლიცია, გამოძიება და სასამართლო საქმის ერთი მხარეა. არბიტრის საქმიანობით უკმაყოფილებას "ლივერპულის" ფეხბურთელებიც არ მალავენ. **სტივენ ჯერარდის** თქმით, ზედიზედ მეორე შეხვედრაა, **ლუის სუარესის** წინააღმდეგ თამაშის წესის დარღვევის გამო პენალტები არ ინიშნება. *"სამართლიანობაზე თუ გვაქვს პრეტენზია, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ სუარესი ამ მხრივ ძალიან იჩაგრება. მის წინააღმდეგ უხეშ თამაშს რეაქცია არ მოსდევს ხოლმე. თუკი წესი დაირღვა, მიუხედავად იმისა, თუ ვის წინააღმდეგ მოხდა ეს, პენალტი უნდა დაინიშნოს. ფეხბურთელის რეპუტაცია ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. "სანდერლენდთან" მას აქეთ დასდეს ბრალი და სიმულაციისთვის ყვითელი უჩვენეს,"* - აცხადებს ჯერარდი.

● მანჩესტერ იუნაიტედი

# რუნი ბრუნდება, ფლეტჩერიც


უეინ რუნი

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს, სერ **ალექს ფერგიუსონს** ჯერ არ გადაუწყვეტია, მისცემს თუ არა **უეინ რუნის** უახლოეს თამაშებზე მოედანზე გასვლის უფლებას. თავად ფეხბურთელი კი აცხადებს, რომ მზადაა, ლიგის თასზე "ნიუკასლთან" გუნდის დასახმარებლად. შეგახსენებთ, 27 წლის თავდამსხმელმა მე-2 ტურში "ფულჰემთან" მატჩში მეტოქესთან შეტაკებისას ბარძაყის უმძიმესი ტრავმა მიიღო და მას მერე მკურნალობს. ჩვენი ინგლისელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ შოტლანდიელი რუნის "ტოტენჰემთან" შაბათის პრემიერლიგური დაპირისპირებისთვის შემოინახავს.

## პირველად 10 თვის შემდეგ

რუნის საკითხი ღიად არის დარჩენილი. სამაგიეროდ, მწვრთნელმა უკვე გადაწყვიტა, რომ "კაჭკაჭებთან" მატჩს ძირითადში დაიწყებს **დარენ ფლეტჩერი.** 28 წლის შოტლანდიელი 2011 წლის დეკემბრის შემდეგ "იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში პირველად მოხვდება. მოედანს ის 19 სექტემბერს "გალათასარაისთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დაუბრუნდა. ალბათ არ გჭირდებათ იმის შეხსენება, რომ ფლეტჩერი 10 თვის განმავლობაში საჭმლის მომნელებელი სისტემის ვირუსით იყო ავად. ერთი პერიოდი იმასაც კი წერდნენ, რომ მას აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულება მოუწევდა. *"დარენს პირველად ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოუწევს მოედანზე 90 წუთის გატარება. ვნახოთ, როგორ ითამაშებს. ამაზეა დამოკიდებული, გავა თუ არა ის მოედანზე "ტოტენჰემთანაც,"* – განაცხადა ფერგიუსონმა.

## ძეგლი სიცოცხლეშივე

"იუნაიტედის" ისტორიაში **მეტ ბასბის** შემდეგ ყველაზე დიდი როლი **ალექს ფერგიუსონს** აქვს ნათამაშები და ის გადაწყვეტილება, რაც კლუბმა მიიღო, სულაც არ არის გასაკვირი – სერ ალექსს "ოლდ ტრეფორდის" ჩრდილოეთ ტრიბუნასთან 3-მეტრიან ძეგლს დაუდგამენ. საამისო ნებართვა კლუბს მანჩესტერის მუნიციპალიტეტმა უკვე მისცა.

● ამბები



## შირერი ბლექბერნში

გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, რომ "ბლექბერნის" ხელმძღვანელობას **სტივ კინის** გუნდიდან გაშვება აქვს განზრახული. როგორც ირკვევა, ახალ მთავარ მწვრთნელად "ვარდები" **ალან შირერს** მოიაზრებენ. 44 წლის ვეტერანს 2009 წლის გაზაფხულზე "ნიუკასლში" სამწვრთნელო პრაქტიკა მიღებული აქვს. ის სულ რამდენიმე შეხვედრაში ედგა გუნდს სათავეში, მაგრამ "კაჭკაჭები" პრემიერლიგიდან გავარდნისგან ვერ იხსნა. შირერი 3 წელია BBB-ის საფეხბურთო ანალიტიკოსად მუშაობს.

## სიომინი დაითხოვეს

კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** გუნდის მთავარ მწვრთნელ **იური სიომინსა** და მთელ სამწვრთნელო შტაბს კარისკენ მიუთითა. კლუბის ვებგვერდზე სტანდარტულ განცხადებას ვკითხულობთ: *"საფეხბურთო კლუბი "დინამო" მადლობას უხდის იური სიომინსა და მის შტაბს გაწეული სამუშაოსთვის და სამომავლო საქმიანობაში წარმატებებს უსურვებს".* გათავისუფლების მიზეზი, ცხადია, რუსი სპეციალისტის წარუმატებელი მუშაობაა.

## ჰიტცლშპერგერი ევერტონში ვარჯიშობს



გერმანიის ნაკრების ყოფილი წევრი, 30 წლის **თომას ჰიტცლშპერგერი** "ევერტონის" ბაზაზე ვარჯიშობს და უახლოეს დღეებში მერსისაიდულ კლუბთან, სავარაუდოდ, ხანმოკლე ხელშეკრულებას გააფორმებს. თომასი "ბაიერნის" აკადემიის აღზრდილია. კარიერის განმავლობაში მას "ასტონ ვილას", "შტუტგარტის", "ლაციოს", "ვესტ ჰემისა" და "ვოლფსბურგის" ღირსება დაუცავს. ბირმინგემული კლუბიდან რამდენიმეთვიანი იჯარით ის "ჩესტერფილდშიც" იყო გაშვებული. "ჩაქუჩი" გერმანიის ნაკრებში 2004-დან 2010 წლამდე თამაშობდა და მისი ღირსება 52 მატჩში დაიცვა.

## ნოუბლი ლონდონში რჩება

"ვესტ ჰემმა" 25 წლის ცენტრალურ ნახევარმცველ **მარკ ნოუბლს** გაუმჯობესებული პირობებით ხელშეკრულება 2015 წლამდე გაუხანგრძლივა. ფეხბურთელს წინა კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურებოდა. ფეხბურთელის შეძენას პრემიერლიგის შეძლებული წარმომადგენლებიც ცდილობდნენ, მაგრამ "ჩაქუჩების" აკადემიის აღზრდილმა ყველა შეთავაზებაზე უარი თქვა.



## კუარეშმა ლივერპულში წავა

"ბეშიქთაშის" 29 წლის პორტუგალიელ ნახევარმცველ **რიკარდო კუარეშმას** სტამბულელებთან ურთიერთობა დაძაბული აქვს და რაკი სეზონის ბოლოს კონტრაქტი ისედაც ეწურება, გუნდის დატოვება აქვს განზრახული. "სქაი სპორტსის" ინფორმაციით, მისი გადაბირება "ლივერპულს" აქვს დაგეგმილი. რიკარდოს პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილება უკვე აქვს – 2009/10 წლების სეზონში 6 თვე მან "ჩელსიში" გაატარა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა. "ლურჯების" გარდა ის "სპორტინგში", "პორტუში", "ინტერს" და "ბარსელონაშიც" თამაშობდა.

## კოულის ახალი კონტრაქტი

"ჩელსის" მთავარი მწვრთნელის **რობერტო დი მატეოს** თქმით, ის იმედოვნებს, რომ **ეშლი კოული** კლუბთან ახალ ხელშეკრულებას უახლოეს პერიოდში გააფორმებს. ლონდონელები წამყვან ფეხბურთელთან თანამშრომლობის გაგრძელებას ყველაზე გვიან იანვრისთვის გეგმავენ. *"კოული დიდი ხანია, "ჩელსის" განუყრელი ნაწილია. ის უნდა დარჩეს ჩვენთან და კლუბის ლეგენდარულ მოთამაშეებს შორის დაიმკვიდროს საპატიო ადგილი,"* – განაცხადა დი მატეომ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**უცხოური ფეხბურთი**

● არგენტინა. ტორნეო ინისიალი. VIII ტური.

# არგენტინაში ძველი ბიჭები ლიდერობენ

## მილიონრების საქმე კი ცუდად არის

**ბელგრანო–გოდოი კრუსი 1:0**

გოლი: კ. პერესი (72-პენ).

**ატლ. რაფაელა–ტიგრე 3:0**

**გოლები:** 1:0 კარინიანო (14-პენ), 2:0 ბოვალიო (76), 3:0 მაჩინი (87).

**არხენტინოსი–უნიონი 3:3**

**გოლები:** 1:0 მ. ფიგეროა (18), 2:0 მ. ფიგეროა (30), 2:1 დ. ხარა (52), 3:1 მ. ფიგეროა (55), 3:2 ბარისონე (83), 3:3 მანინი (90).

**სან ლორენსო–ველესი 1:2**

**გოლები:** 0:1 ფ. ფერეირა (14), 1:1 სტრაკვალურსი (26), 1:2 ფ. ფერეირა (65).

**ინდეპენდიენტე–ოლ ბოისი 1:1**

**გოლები:** 0:1 ბორგელიო (68), 1:1 ფარიასი (84).

**რივერ პლეიტი–რასინგი 0:1**

**გოლი:** 0:1 კაისი (70).

**სან მარტინი–კილმესი 4:0**

**გოლები:** 1:0 კაპრარი (8), 2:0 ოსორიო ბოტელიო (12), 3:0 ხ. ლუნა (43), 4:0 პენკო (80).

**კოლონი–ნიუელსი 1:2**

**გოლები:** 0:1 სკოკო (13), 0:2 მ. კასერესი (61), 1:2 მუგნი (72).

**ლანუსი–ბოკა ხუნიორსი 2:0**

**გოლები:** 1:0 მ. რეგეირო (33), 2:0 დ. ვალერი (88).

**ესტუდიანტესი–არსენალი 2:1**

**გოლები:** 0:1 კარბონერო (20), 1:1 ლისანდრო ლოპესი (23-საკ. კარში), 2:1 მარტინესი (64).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 8 | 5 | 3 | 0 | 10-4 | 18 |
| 2. ველესი | 8 | 5 | 2 | 1 | 12-4 | 17 |
| 3. ბოკა | 8 | 5 | 1 | 2 | 12-10 | 16 |
| 4. ბელგრანო | 8 | 4 | 3 | 1 | 9-5 | 15 |
| 5. რასინგი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-5 | 14 |
| 6. გოდოი კრუსი | 8 | 4 | 1 | 3 | 8-7 | 13 |
| 7. ესტუდიანტესი | 8 | 4 | 1 | 3 | 7-7 | 13 |
| 8. კოლონი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-10 | 12 |
| 9. არხენტინოსი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-12 | 12 |
| 10. ლანუსი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-4 | 11 |
| 11. არსენალი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-10 | 11 |
| 12. არტ. რაფაელა | 8 | 2 | 4 | 2 | 8-7 | 10 |
| 13. კილმესი | 8 | 2 | 4 | 2 | 8-9 | 10 |
| 14. რივერი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-11 | 9 |
| 15. სან ლორენსო | 8 | 2 | 3 | 3 | 6-7 | 9 |
| 16. ოლ ბოისი | 8 | 1 | 4 | 3 | 10-12 | 7 |
| 17. სან მარტინი | 8 | 2 | 0 | 6 | 10-12 | 6 |
| 18. ინდეპენდიენტე | 8 | 0 | 4 | 4 | 4-10 | 4 |
| 19. ტიგრე | 8 | 0 | 4 | 4 | 9-16 | 4 |
| 20. უნიონი | 8 | 0 | 3 | 5 | 7-13 | 3 |

**ბომბარდირები:** 6 – სკოკო (ნიუელსი); 5 – ბორგელიო (ოლ ბოისი); 4 – დ. რამირესი (გოდოი კრუსი).



ხერარდო მარტინო კარგ ხასიათზეა

**არგენტინის ჩემპიონატის მერვე ტური რამდენიმე საინტერესო დაპირისპირებით და რაც ყველაზე მთავარია, ლიდერის შეცვლით აღინიშნა. "ნიუელს ოლდ ბოისმა" სტუმრად "კოლონს" სძლია და ვინაიდან თავისი მატჩი წააგო "ბოკამ", ხერარდო მარტინოს გუნდი სათავეში ჩაუდგა "ტორნეო ინისიალს"...**

### რივერ პლეიტი უკვე გასავარდნ ზონაშია

ტური შაბათს დაიწყო და ყველაზე უხვგოლიანი მატჩიც სწორედ ამ დღეს გაიმართა. დიეგო მარადონას სახელობის სტადიონზე "არხენტინოს ხუნიორსმა" "უნიონს" უმასპინძლა და ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლა. სანტა ფეს გუნდი ამ ტურამდე ბოლო ადგილს იკავებდა და გარდა ამისა, "უნიონი" 3-წლიან სარელეგაციო ცხრილშიც გასავარნდ ზონაშია. მასპინძლებმა მატჩი რიხით დაიწყეს და პირველი ტაიმი 2:0 მოიგეს. ორივე გოლი **მარკოს ფიგეროამ** გაიტანა. ფიგეროა შარშან არგენტინის ჩემპიონატის მესამე დივიზიონში თამაშობდა და იქაც კი არაფრით გამორჩეული ფეხბურთელი იყო, თუმცა ამ ტურში მან ჰეთთრიქის შესრულება შეძლო. 22 წლის ფორვარდმა მესამე გოლი 55-ე წუთზე გაიტანა და ანგარიში 3:1 გახადა. მიუხედავად ამხელა უპირატესობისა, შეხვედრის ბოლოს, მასპინძლებმა აუტსაიდერისგან ორი გოლი გაუშვეს და საბოლოოდ მხოლოდ ქულას დასჯერდნენ.

შაბათსვე კიდევ ერთი გაჭირვებულის, "ინდეპენდიენტეს" მატჩი გაიმართა. **ამერიკო გალიეგოს** შეგირდები "ოლ ბოისს" მასპინძლობდნენ და ვისთან უნდა მოეპოვებინათ პირველი გამარჯვება, თუ არა ამ გუნდთან, თუმცა არგენტინის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი მარცხსაც კი ძლივს გადაურჩა. "ოლ ბოისი" საუკეთესო ბომბარდირის, **ივან ბორგელიოს** გოლით დაწინაურდა, მაგრამ მატჩის 84-ე წუთზე მასპინძლები **ერნესტო ფარიასმა** იხსნა. "ინდეპენდიენტეს" უკვე 15 თამაშია არ მოუგია (წინა სეზონის ჩათვლით). რა გასაკვირია, რომ ასეთი სტატისტიკის მქონე გუნდი, 3-წლიან ცხრილში ბოლო ადგილზეა. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ: თუ კოპა ლიბერტადორესის 7-გზის გამარჯვებული დროულად არ მოეგება გონს, ამ გუნდს ვერაფერი იხსნის.

სხვათა შორის სარელეგაციო ცხრილის ქვედა ნაწილში ცვლილებებია: გასავარდნი ზონა დატოვა "სან მარტინმა", რომელმსაც 4:0 გაანადგურა "კილმესი". როგორც იქნა, გოლი გაიტანა **გასტონ კაპრარიმ** – "სან მარტინის" საუკეთესო ფორვარდისთვის, ამ ტურნირში ეს პირველი გოლი იყო.

სანხუანელთა ადგილი კი გასავარდნ ზონაში... "რივერ პლეიტმა" დაიკავა. მოგეხსენებათ, სარელეგაციო ცხრილში ბოლო 3 წლის განმავლობაში დაგროვებული ქულები ჯამდება და შემდეგ ჩატარებულ მატჩებზე იყოფა. იმის გამო, რომ "რივერი" დებიუტანტია, მისი საშუალო არითმეტიკული ქულა, მხოლოდ ამ სეზონის ქულებითა და ჩატარებული მატჩებით გამოითვლება. რაც უფრო ნაკლებია ქულა (მატჩი), მით მეტი ფასი აქვს თითოეულ მათგანს. "რივერის" შედეგებზე მოგება ან წაგება გაცილებით მკვეთრად აისახება, ვიდრე მაგალითად იმავე "ინდეპენდიენტეს" საშუალო არითმეტიკულ ქულაზე. ადრეც ვივარაუდეთ, რომ თუ "ლოს მილიონარიოსი" ზედიზედ რამდენიმე მატჩს ჩააგდება, **მატიას ალმეიდას** გუნდი გასავარდნ ზონაში დაქვეითდებოდა. "რივერმა" სამ ფრეს ორი წაგება მოაყოლა და ახლა, არგენტინის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი 19-ე ადგილს იკავებს სარელეგაციო ცხრილში.

"რივერის" მორიგი მეტოქე "რასინგი" იყო, ანუ მონუმენტალზე "კლასიკო" გაიმართა, რომელიც სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. მატჩის ერთადერთი გოლი "რასინგის" მცველმა, **მატიას კაისმა** გაიტანა. საბოლოოდ 0:1 და "აკადემიამ" (რასინგის მეტსახელია) "რივერი" 2009 წლის შემდეგ პირველად დაამარცხა.

მატჩის შემდეგ "რივერის" პრეზიდენტმა **დანიელ პასარელამ** ჟურნალისტებთან ისაუბრა და უარყო გავრცელებული ხმები, თითქოს ის მატიას ალმეიდას დათხოვნას აპირებდეს. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ალმეიდა ჩემოდნებზე ზის და ყოველი მატჩი შეიძლება მისთვის უკანასკნელი გამოდგეს.

### ბოკა უკვე მესამე ადგილზეა

"ბოკა ხუნიორსი" ამ ტურში "ლანუსს" სტუმრობდა და იოლი მატჩის მოლოდინში არ იყო. საბოლოოდ სტუმართა შიში გამართლდა და **ხულიო სესარ ფალსიონის** გუნდი დამარცხდა. გოლები მასპინძელთა მხრიდან ურუგვაის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **მარიო რეგეირომ** და ცვლილებაზე შემოსულმა **დიეგო ვალერიმ** გაიტანეს. ზოგადად "ლანუსი" "ბოკასთვის" უხერხული მეტოქეა და ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა. ამ მარცხის გამო, ფალსიონის გუნდი, სატურნირო ცხრილში, უკვე მესამე ადგილზეა.

ამ ტურში მეორე კლასიკოც გაიმართა: "სან ლორენსო"-"ველეს სარსფილდი". გუნდები რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციაში არიან. **ვიგო მორტენსენის** საყვარელი "სან ლორენსო" მძიმე მდგომარეობაშია და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, "ველესი" კი კარგად გამოიყურება და "ტორნეო ინისიალის" მოგების ერთ-ერთი კანდიდატია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ლოგიკური იყო ის, რომ საბოლოოდ გამარჯვება სტუმრებს დარჩათ. არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ლიდერმა, **ფაკუნდო ფერეირამ** დუბლი შეასრულა და ამ ჩემპიონატში პირველი გოლები გაიტანა. მასპინძელთა მხრიდან თავი, ინგლისმოვლილმა **დენის სტრაკვალურსიმ** გამოიჩინა, მაგრამ მისი გოლი საკმარისი არ გამოდგა.

ჩემპიონატის ახალი ლიდერი კი "ნიუელს ოლდ ბოისი" არის. **ხერარდო მარტინოს** გუნდი ამ ტურში **სენსინი-ბატისტუტას** "კოლონს" ხვდებოდა. რობერტო სენსინიც და გაბრიელ ბატისტუტაც "ნიუელსის" აღზრდილები არიან (ისევე როგორც **ლეო მესი**), მაგრამ როგორც ჩანს, მათ ხეზე ცოცვა არ ასწავლეს, რადგან გამარჯვება ამ მატჩში სტუმრებს დარჩათ. "ძველი ბიჭების მხრიდან გოლები **იგნასიო სკოკომ** (მე-6 გოლი სეზონში) და პარაგვაის ნაკრებში მარტინოს ყოფილმა შეგირდმა, **მარტინ კასერესმა** გაიტანეს. "ნიუელსი" ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია და მისი ეს სვლა, ალბათ მომდევნო ტურშიც გაგრძელდება, რადგან ლიდერის მორიგი მეტოქე კრიზისში მყოფი "ტიგრეა".

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**




იგნასიო სკოკოს უკვე 6 გოლი აქვს გატანილი

● ამბები




### იანგა-მბივა ბარსელონას აინტერესებს

"ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, კატალონიური გუნდი "მონპელიეს" ცენტრალური მცველის, **მაპუ იანგა-მბივას** შეძენით არის დაინტერესებული. "ბარსელონას" ხელმძღვანელობას ფრანგული გუნდის კაპიტანზე დასაკვირვებლად, "მონპელიე"-"არსენალის" მატჩზე სკაუტები ჰყავდა მივლენილი. როგორც ჩანს, "ბარსას" წარმომადგენლები ნანახით კმაყოფილები დარჩნენ და "ბლაუგრანას" ხელმძღვანელობამ 23 წლის ფეხბურთელის შეძენა გადაწყვიტა.

შეგახსენებთ რომ, იანგა-მბივას შეძენა მთელი ზაფხულის განმავლობაში, "მილანს" სურდა და თითქოს ტრანსფერსაც წინ არაფერი ედგა. "როსონერი", ახალგაზრდა ფეხბურთელის სამსახურით დღემდე არის დაინტერესებული, თუმცა ახლა "მილანს" "ბარსას" სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

### ლუიშ ფაბიანოს მორიგი ტრავმა

"სან პაულოს" 31 წლის ფორვარდმა მორიგი ტრავმა მიიღო, რის გამოც "კრუზეიროსთან" მატჩი გამოტოვა. **ლუიშ ფაბიანო** ამ სეზონში ბრწყინვალედ გამოიყურება – 11 გოლი 13 თამაშში, მაგრამ 2012 წელი მისთვის დანავსულია. ტრავმების გამო "სევილიას" ყოფილმა ფორვარდმა წელს უკვე 97 დღე გამოტოვა და მორიგი დაზიანების გამო, კიდევ ორი კვირა გაუცდება.

*"მას ვარჯიშზე კუნთი გაეჭიმა და ექიმების პროგნოზით თამაშს მინიმუმ ორი კვირა ვერ შეძლებს. სამწუხაროა, რომ კიდევ ერთი დაზიანება მიიღო და სეზონის გადამწყვეტ ფაზაში გამოგვაკლდა"* – განაცხადა "სან პაულოს" დამრიგებელმა **ნეო ფრანკომ**.

ფაბიანოს გუნდი ამჟამად მეხუთე ადგილზეა და მეოთხეზე მყოფ "ვასკო და გამას" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.

### ჯარიმა ერთი ბოთლი ლუდის გამო

ზაგრების "დინამოს" მცველმა, **დომაგოი ვიდამ**, საკუთარი გუნდის სათასო მატჩის წინ, წყურვილის მოკვლა ლუდით გადაწყვიტა. ერთი ბოთლი ლუდი ვიდას სარეკორდო, 100 000 ევროს ოდენობის ჯარიმად დაუჯდა. ეს თანხა ხორვატი ფეხბურთელის წლიური ჯამაგირის მეოთხედს შეადგენს. როგორც ხორვატული "ვეჩერნი ლისტი" იუწყება, 23 წლის ფეხბურთელმა ლუდი პირდაპირ ავტობუსში მიირთვა, რაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, **ანტე ჩაჩიჩმა** შეამჩნია.

ხორვატულ კლუბში მსგავსი რამ პირველად არ ხდება: ჯერ კიდევ აგვისტოში, **ხორხე კამპოს სამირი** და **ნიკოლა პოკრივაცი**, "შერიფთან" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩის წინ, ალკოჰოლის მირთმევისთვის, კლუბმა შესაბამისად 270 000 და 20 000 ევროთი დააჯარიმა.

● სერია A. V ტურის წინ

# კალჩოს ფოკუსში: სან პაოლო და მილანელები

## გუშინ

**ფიორენტინა-იუვენტუსი 0:0**

**ფიორენტინა (3-5-2):** ვივიანო - რონკალია, გონსალო როდრიგესი, ტომოვიჩი - გუარდადო, რომულო (90. მილიაჩო), პისარო, ბორხა ვალერო, პასკუალი - ლიალიჩი (76. ფერნანდესი), იოვეტიჩი (87. ტონი).

**იუვენტუსი (3-5-1):** ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო (68. პოგბა), ჯაკერინი (74. მარკიზიო), ასამოა - კვალიარელა (58. ვუჩინიჩი), ჯოვინკო.

**გაფრთხილება:** პისარო, გონსალო როდრიგესი, ლიალიჩი - ვიდალი

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 17(2)-8(2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 23 000

## დღეს

**პესკარა-პალერმო 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** პერინი, ტერლიცი (პესკარა).

**ტრავმა:** რომანიოლი, საველონი, მოდესტო, კრეშენცი,- ჩეტო, სენსევერინო, ზაპავი, მილანოვიჩი.

**მილანი-კალიარი 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბოატენგი, ზაპატა (მილანი).

**ტრავმა:** პატო, შტრასერი, დიდაკ ვილა, მუნტარი, ფლამინი - კოსუ.

**რომა-სამპდორია 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი - და კოშტა, მაქსი ლოპესი.

**ტრავმა:** ლობონტი, ოსვალდო, დოდო, ბრედლი = ხუან ანტონიო, პოლი.

**კატანია-ატალანტა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ალვარესი (კატანია).

**ტრავმა:** კეკო, ტერეჩანო - მარილუნგო, რადოვანოვიჩი, პერეირა პინტუ, კაპელი, კარმონა, პელუზო, ბიონდინი, სკელოტო.

**კიევო-ინტერი 22.45**

**ტრავმა:** ლუსიანო, პალოსკი, სკუიცი - პალასიო, სტანკოვიჩი, მარიგა, ბიაე.

**ჯენოა-პარმა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** როზი (პარმა).

**ტრავმა:** როსი, ვარგასი - ბიაბიანი, სანტაკროჩე, პალადინო.

**ნაპოლი-ლაციო 22.45**

**ტრავმა:** ბრიტოსი - ბროკი, დიაკიტე, რადუ, კონკო.

**ტორინო-უდინეზე 22.45**

**ტრავმა:** სუჩუ, ბირსა - მურიელი, დომიცი, ბასტა.

## ხვალ

**სიენა-ბოლონია 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლარონდო, ტერცი, ვიტიელო, ბელმონტე - პორტანოვა.

**ტრავმა:** კამპანიოლო, კონტინი (პალერმო).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| 2. ნაპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 3. ლაციო | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 4. სამპდორია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-4 | 9 |
| 5. ფიორენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 6. რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 10-6 | 7 |
| 7. ინტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 8. ჯენოა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 9. კატანია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-7 | 5 |
| 10. ატალანტა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 5 |
| 11. ტორინო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 4 |
| 12. პარმა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 13. უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 14. ბოლონია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 15. მილანი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| 16. კიევო | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 17. კალიარი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| 18. პალერმო | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |
| 19. პესკარა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-10 | 1 |
| 20. სიენა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | -1 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 4 - იოვეტიჩი (ფიორენტინა); 3 – პაცინი (მილანი), კლოზე (ლაციო), ერნანესი (ლაციო), მაქსი ლოპესი (სამპდორია), ჯილარდინო (ბოლონია).

**V ტურის** ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პაექრობა გუშინ შედგა, თუმცა დღესაც ბევრი შეხვედრა იწვევს გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს. მაგალითად, "ნაპოლი"-"ლაციოს" ჯახი ავიღოთ, რომელიც გასულ სეზონში დრამატულად წარიმართა და ნეაპოლელთა ფანტასტიკური გამარჯვებით დასრულდა, 4:3... თუმცა იქამდე სხვა გუნდებზე უნდა ვთქვათ, თუნდაც "მილანზე", რომელიც მესამე ცდაზე შეეცდება "სან სიროზე" გამარჯვების მოპოვებას.




გასულ სეზონში, "სტადიო სან პაოლოზე" "ნაპოლიმ" "ლაციო" 4:3 დაამარცხა

## ალეგრის გარეშე

აქამდე ჩატარებულ ორ საშინაო შეხვედრაში **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა მარცხი იგემა და "კალიარისთან" ნავსის გატეხვას აპირებ. თავის მხრივ, არც სარდინიელები არიან მთლად კარგ ხასიათზე - გასულ უქმეებზე, "რომასთან" თამაშის საშუალება არ მიეცათ და ტექნიკური მარცხი გაუფორმეს, 0:3. მოკლედ, "მილანიც" და "კალიარიც" ხასიათის გამოკეთებას შეეცდებიან.

უდინეში "მილანმა" 4-3-3 ტაქტიკით ითამაშა და თუ :გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, ასე იქნება ამჯერადაც. ფლანგებიდან **ურბი ემანუელსონი** და **სტეფან ელ შაარავი** შეუტევენ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი **ჯამპაოლო პაცინი** გაირჯება. **მასიმილიანო ალეგრი** სადაც მიკროფონს ხედავს, ყველგან იმას ამბობს, რომ პოსტის დატოვებას არ აპირებს და "მილანს" აუცილებლად გამოიყვანს კრიზისიდან. ვნახოთ, თავად მწვრთნელი ამ შეხვედრაში დისკვალიფიცირებულია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-3):** აბიატი - დე შილიო, ბონერა, იეპესი, ანტონინი - მონტოლივო, დე იონგი, ნოჩერინო - ემანუელსონი, ელ შაარავი, პაცინი.

**კალიარი (4-3-3):** აგაცი - პერიკო, როსეტინი, ასტორი, პიზანო - ეკდალი, კონტი, ნაინგოლანი - რიბეირო, პინილია, იბარბო.

## დასვენებულები და მოგებულები

"რომას" გასულ უქმეებზე არ უთამაშია და "სამპდორიას" დასვენებული დახვდება. **ზდენეკ ზემანი** პირობას დებს, რომ მისი გუნდი პირველიდან ბოლო წუთამდე უმაღლესი კონცენცენტრაციით ითამაშებს... ჩეხ სპეციალისტს ამ წინადადების თქმა "ბოლონიასთან" განვლილმა პაექრობამ აიძულა, როდესაც მისმა გუნდმა ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა და მწარე მარცხი იწვნია.

"ჯალოროსი" 4-3-3 ტაქტიკით იასპარეზებს, შეტევაში კი ტრადიციულ ტრიოს ვიხილავთ **ფრანჩესკო ტოტის**, **ერიკ ლამელას** და **მატია დესტროს** შემადგენლობით. ზემანმა პრესასთან თამამი განცხადება გააკეთა:

*"მესამე ტურში განცდილმა მარცხმა ბევრი რამ გვასწავლა და დღეს გაცილებით გამოცდილები ვართ, ვიდრე თუნდაც სეზონის დაწყებამდე. ჩვენი საფეხბურთო ფილოსოფია არ იცვლება, პირველივე წუთებიდან შევუტევთ, მაგრამ ამასთან, ვიქნებით მაქსიმალურად მობილიზებულნი უკანა ხაზში. რაც მთავარია, კონცენტრაცია ბოლო წამამდე უნდა შევინარჩუნოთ. მჯერა, რომ სამ ქულას მოვიპოვებთ - ამაში, პრაქტიკულად დარწმუნებული ვარ".*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი - პირიზი, ბურდისო, კასტანი, ბალცარეტი - პიანიჩი, დე როსი, ფლორენცი - ლამელა, დესტრო, ტოტი.

**სამპდორია (4-3-3):** რომერო - ბერარდი, გასტალდელო, როსინი, კოშტა - მუნარი, მარესკა, ობიანგი - ესტიგარიბია, პოცი, ედერი.

## გრანდი? აბა, გრანდი?

"სიენასთან" მარცხის შემდეგ, მუდამ ოპტიმისტი **მასიმო მორატიც** კი უხასიათოდ გახლდათ და პრესასთან ისეთი კომენტარი გააკეთა, ბევრი რომ გააკვირვა... "ინტერის" პრეზიდენტის თქმით, მილანური გრანდები იმიტომ ვერ იგებენ სან სიროზე, რომ რეალურად, უკვე აღარ არიან გრანდები. დიახ, მორატიმ თავისი გუნდიც გააკრიტიკა და არც ისტორიული მოწინააღმდეგე დაინდო. ასეთი მასიმო "ინტერისტებს" დიდი ხანია არ ახსოვთ და ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, რომ "ნერაძურის" ცუდი დროება უდგას.

ამასობაში, **ანდრეა სტრამაჩონი** აგრძელებს ძიებას და ხან ფეხბურთელებს ცვლის, ხანაც ტაქტიკურ მოდელებს. თუ იტალიურ სპორტულ პრესას დავუჯერებთ, "კიევოსთან" პაექრობაში "ინტერი" 3-5-2 სქემით გაირჯება, რაც ნამდვილად ახალი ხილია. "ინტერს" ასეთი ტაქტიკით წლებია არ უთამაშია და ვნახოთ, რა გამოუვა. დაცვის ცენტრში ალბათ **ანდრეა რანოკია** გაირჯება, მის მხარდამხარ კი **ჟულიო იესუსი** და **კრისტიან კივუ** იმოქმედებენ. ყველაზე საინტერესო სწორედ ის გახლავთ, რამდენად კარგად და ორგანიზებულად იმოქმედებს ახლებურად დალაგებული დაცვის ხაზი. შეტევაში კვლავ **ანტონიო კასანოსა** და **დიეგო მილიტოს** ტანდემს ველოდებით, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - სარდო, დაინელი, ცეზარი, იოკიჩი - ვაჩეკი, ლ. რიგონი, ჰეტემაი - თერეუ - დი მიკელე, პელისიერი.

**ინტერი (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - ჟულიო იესუსი, რანოკია, კივუ - ძანეტი, კამბიასო, პერეირა, გუარინი, სნეიდერი - კასანო, მილიტო.

## პრეტენდენტები

ექსპერტთა გარკვეული ნაწილი ირწმუნება, რომ "იუვენტუსს" სასკუდეტო კონკურენციას უპირველესად "ლაციო" და "ნაპოლი" გაუწევენ. ორივე გუნდმა სეზონი კარგად დაიწყო და დღეს ერთმანეთში მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. მართალია, "ლაციომ" "ჯენოასთან" საშინაო შეხვედრა წააგო, მაგრამ ურიგოდ არ უასპარეზია და ვერ ვიტყვით, რომ სარეაბილიტაციოდ აქვს საქმე. "ბიანკოჩელესტე" მთელი 90 წუთის განმავლობაში უტევდა გენუურ გუნდს და თვითონ სტუმრებმა ალიარეს, რომ იმ დღეს, ფორტუნამ სინდისი დაკარგა. მოკლედ, "ლაციო" კარგ ფორმაშია და ნეაპოლში ჩადის, სადაც სკუდეტოზე დაგეშილ გუნდთან მოუწევს შერკინება.

**ვალტერ მაცარი** შეტევის წინა ხაზზე **გორან პანდევს** და **ედინსონ კავანის** გაამწესებს, საჭიროების შემთხვევაში კი თამაშში **ლორენცო ინსინიე** ჩაერთვება. ძირითადში იქნებიან "ფიორენტინადან" გადაბირებული ფეხბურთელები - ნახევარდაცვაში **ვალონ ბერამი**, დაცვაში კი **ალესანდრო გამბერინი**. მთლიანობაში, ნეაპოლელებს ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავთ და ამ მხრივ, საწუწუნო ნამდვილად არაფერი აქვთ.

იგივე შეიძლება ითქვას "ლაციოზე", რომელიც აგერ უკვე მერამდენე თამაშია 4-5-1 სქემით ირჯება. მიუხედავად ერთი შეხედვით დაცვითი ტაქტიკისა, რომაელები დროის დიდ ნაწილს შეტევებში ატარებენ და აღნიშნული სქემა ამას სულაც არ უშლის ხელს... თავადაც ხვდებით, რომ იგივე **ერნანესი**, იგივე **სტეფანო მაური** და იგივე **ანტონიო კანდრევა** უფრო შემტევები არიან, ვიდრე დაცვაზე ორიენტირებული შუახაზელები. მოკლედ, "სტადიო სან პაოლოზე" ერთმანეთს ორი შემტევი გუნდი შეასკდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი - გამბერინი, კანავარო, კამპანიარო - მაჯო, ჯემაილი, ბერამი, ცუნიგა - ჰამშიკი - პანდევი, კავანი.

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - კავანდა, ბიავა, დიასი, ლულიჩი - კანდრევა, გონსალესი, ლედესმა, ერნანესი, მაური - კლოზე.

● პოზიცია

## პრანდელი: ეს იყო ამაზრზენი ტრანსფერი

გასულ ზაფხულს ფრანგულმა პსჟ-მ უამრავი ფეხბურთელი გადაიბირა, მათ შორის, 19 წლის იტალიელი ტალანტი **მარკო ვერატი**. ეს უკანასკნელი "პესკარას" ღირსებას იცავდა და იმაში, რომ მოკრძალებული შესაძლებლობის გუნდი სერია A-ში გადავიდა, დიდი წვლილი შეიტანა. სწორედ "პესკარაში" ასპარეზობისას მიაქცია მას ყურადღება **ჩეზარე პრანდელიმ** და იტალიის ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში შეიყვანა. მოკლედ, ვერატის ერთი ნაბიჯი დააკლდა ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად და იმ დღიდან, მასზე ნამდვილი ტაციაობა ატყდა. ყველას პსჟ-მ აჯობა, ტალანტში 12 მილიონი ევრო გადაიხადა და ფეხბურთელი თავისთან წაიყვანა. ამ ფაქტს ჩეზარე პრანდელი გუშინ გამოეხმაურა და თავისი მკვეთრი პოზიცია დააფიქსირა:

*"ვერატის არავინ იცნობდა, როდესაც ყურადღება მივაქციე, შემდეგ კი ეროვნულ ნაკრებში გამოვიძახე. როგორც აღმოჩნდა, ამით იტალიურ საკლუბო ფეხბურთს დათვური სამსახური გავუწიე. ჩვენი გუნდები აქცენტს ახალგაზრდებზე უნდა აკეთებდნენ და ასეთ დროს, ვერატის უცხოეთში გაშვება სრული სისულელე იყო. მეტიც, ეს თავად ფეხბურთელისთვისაა ცუდი, რომელიც დიდია შანსი, უცხოეთში, ვარსკვლავთა კომპანიაში კარგად ვერ გაიხსნას. მოკლედ, ეს იყო ამაზრზენი ტრანსფერი, რომელმაც გული ძალიან დამწყვიტა. იმედი მაქვს, იტალიური გუნდები მალე მოეგებიან გონს და ასეთ სისულელეებს აღარასდროს გააკეთებენ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**




მარკო ვერატი პსჟ-ში წარდგენისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. V ტურის შეჯამება

# საბოტაჟი და მზის დაკვრა



ბარსელონა-გრანადა, ალექსის სანჩესი ანდალუსიელებს უტევს

## 62 პასი 41 წუთში!

ყველაზე მეტი კუთხური: 14 - ბარსელონა

ყველაზე მეტი თამაშგარე: 10 - რეალი

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 70% - ბარსელონა

**დღეს**

ბეტისი-ატლეტიკო 23:00

**მომდევნო ტური**

29 სექტემბერი: ვალენსია-სარაგოსა, მალაგა-ბეტისი, რეალ სოსიედადი-ბილბაო, სევილია-ბარსელონა.

30 სექტემბერი: გრანადა-სელტა, ვალიადოლიდი-რაიო ვალეკანო, ოსასუნა-ლევანტე, რეალი-დეპორტივო, ესპანიოლი-ატლეტიკო.

1 ოქტომბერი: ხეტაფე-მალიორკა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**კვირას**, მადრიდული დერბის წინ „რეალი" „ვალეკასზე" სავარჯიშოდ გავიდა, მაყურებელი კი შესასვლელებთან შეაყოვნეს. მიზეზი? სტადიონის მომსახურეებმა გააჩხაკუნეს ჩამრთველები, მაგრამ ვაგლახ! პროჟექტორების დიდი ნაწილი არ აინთო, ვილაცას კაბელები საგულდაგულოდ გადაეჭრა. იმ დღეს „რეალს" თამაში არ ეწერა...

საბოლოოდ, დერბი მაინც გაიმართა (ორშაბათს) და „სამეფო კლუბმაც" სტატუს-კვო ალადგინდა, კვლავ 8 ქულით ჩამორჩება „ბარსელონას".

თუმცა საბოტაჟი არ იყო ერთადერთი სერიოზული ინციდენტი, რაც V ტურში მოხდა - ვალენსიაში „ლევანტეს" ფეხბურთელმა ვისენტე იბორამ მზის დაკვრა მიიღო, ისე ცხელოდა...

## ბარსა-რეალობა

ამ ორ გუნდს შორის დაუსწრებელი დუელი ჯერ ვერ გამოდის - „ბარსელონა" ჯიუტად არ კარგავს ქულებს: 5 თამაშიდან 5 გამარჯვება! მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ საბოლოოდ ესპანური პრიმერა მაინც ორი ბედაურის დოლად უნდა იქცეს.

ორშაბათს **ჟოზე მოურინიოს** „რეალმა" „ელვებს" 4 გაუტანა, რომელთაგანაც მსაჯმა ნახევარი ჩაუთვალა, ეს „სამეფო კლუბის" პირველი გამარჯვება იყო ამ სეზონში სტუმრად.

„ბარსელონას" „გრანადასთან" გაუჭირდა, მხოლოდ ბოლოსლა გატეხა, რაშიც დიდი წვლილი შეცვლაზე შესულ **ჩავის** მიუძღვის, რომელმაც 86-ე წუთზე გაიტანა სტუმართა კარში. ერთიც და „ბარსელონა" ისტორიაში ყველაზე კარგ სტარტს გაიმეორებს - ზედიზედ 6 გამარჯვებას (4-ჯერ ჰქონდათ ასეთი შედეგი), მაგრამ სევილიაში გამარჯვება რთული იქნება.

## მესი VS რონი

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „გრანადასთან" 2:0 მოგებულ მატჩში. მან მეტოქის კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, 3-ჯერ ზუსტად. მის წინააღმდეგ ერთხელ დაჯარიმდნენ.

**კრიშტიანო რონალდომ** 90 წუთი ითამაშა „რეალთან" 2:0 მოგებულ მატჩში. მან მეტოქის კარისკენ 6-ჯერ დაარტყა, 2-ჯერ ზუსტად, გაიტანა გოლი (პენალტით), ერთხელ დაჯარიმდა და 5-ჯერ (!) მოხვდა თამაშგარეში.

ცუდი და უფრო ცუდი - ვერასოდეს წარმოვიდგენდით, რომ ასე შევაფასებდით რონალდოს და მესის თამაშს, მაგრამ ფაქტია - პორტუგალიელმა გოლი კი გაიტანა, მაგრამ პენალტის ნიშნულიდან, მაგრამ 100%-იანი მომენტი გააფუჭა, ჩვეულადაც ვერ იაქტიურა. მესიმ კი თავი მხოლოდ თანაგუნდელებთან უაზრო კამათით (ვილია, ალკანტარა) დაგვამახსოვრა. თავიდან ვიფიქრეთ, რომ ჩვენს „ტურნირში" ქულას არც ერთს დავუწერდით, თუმცა გოლმა მაინც გადაწონა რონალდოს სასარგებლოდ. მაშ ასე, 5 ტურის შემდეგ მესი 3:2-ს უგებს კონკურენტს.

## იცით, თუ არა რომ...

„რეალის" ჩამორჩენის მიზეზი მისი შემტევების არააკურატულობაა. „რეალმა" ლა ლიგაში ყველაზე მეტჯერ დაარტყა მეტოქის კარისკენ - 95-ჯერ - მაგრამ გაიტანა მხოლოდ 7, ეს კი „ბარსას" გოლების ნახევარია. „რეალის" შემტევთა მარგი ქმედების კოეფიციენტი 7%-ია. ლა ლიგაში ადგილები ამის მიხედვით რომ ნაწილდებოდეს, „სამეფო კლუბი" გავარდებოდა „ოსასუნას" (5%) და „გრანადასთან" (3%) ერთად. ყველაზე შედეგიანად „ატლეტიკო" უტევს - 19%, მერე მოდის „ბარსა" (17%) და „ბეტისი" (16%).

## ტურის ფრაზები

**ჟოზე მოურინიო:** *„ლა ლიგის დანარჩენ მატჩებსაც თუ ასეთი განწყობით ვითამაშებთ, ყველას მოვიგებთ. ეს უკვე გუნდია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგად ვითამაშეთ"*, - „რეალის" თავკაცი „რაიო ვალეკანოს" 2:0 დამარცხების შემდეგ ერთ ფრაზაში კრიტიკასა და შექებას თავისუფლად ატევს.

**მიროსლავ ჯუკიჩი:** *„ზოგიერთმა ჯერ ვერ გაითავისა, რომ ფრანკო მოკვდა"*, - „ვალიადოლიდის" მწვრთნელი „ატლეტიკოსთან" 1:2 მარცხის შემდეგ. სერბი ამ მატჩში გააძევეს.

**ტიაგო ალკანტარა:** *„საოცარია, როცა ხალხის ნაწილს კიდევ ეპარება ეჭვი ახალ „ბარსელონაში"*, - „ბარსას" ახალგაზრდა ნახევარმცველი.

**სერხიო რამოსი:** *„გაუგებრობა ოჯახშივე უნდა მოგვარდეს"*, - „რეალის" მცველი მოურინიოსთან უთანხმოების შესახებ.

**მაურისიო პოჩეტინო:** *„ნაგება არასოდეს მიყვარდა, მით უმეტეს, დაუმსახურებელი"*, - „ესპანიოლის" თავკაცი „ბეტისთან" 0:1 მარცხის მერე.

**ტიტო ვილანოვა:** *„რეალის" თამაში არ მადარდებს, ხვალ პაელიას გეახლებით, შემდეგ კი კინოში წავალ"*, - „ბარსას" თავკაცი „რეალის" თამაშის ყურებას ტრადიციული ვალენსიური კერძის მირთმევას ამჯობინებს.

**ფილიპ მონტანიე:** *„საოცარია, როგორ წავაგეთ ეს მატჩი"*, - „რეალ სოსიედადის" ფრანგი თავკაცი „ლევანტესთან" 1:2 მარცხის მერე.

## ესპანური ფეხბურთის სისუსტე - მსაჯები

**მუნის ფერნანდესი** (ატლეტიკო-ვალიადოლიდი) - 4 „მარკა" (10-ბალიანი სისტემით)

**რა დააშავა:** *მეორე ტაიმში აშკარად ემხრობოდა მასპინძლებს. სტუმართა მცველი მიროსლავ ჯუკიჩი მხოლოდ იმიტომ გააძევა, რომ ამ უკანასკნელმა რაღაც ჰკითხა მე-4 მსაჯს. შეცდა ბარათების დარიგებისასაც.*

**ტურის მხევრალ(ნ)ი**

**რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)**
**ვისენტე იბორა (ლევანტე)**

„ელ ტიგრე" **დიეგო სიმეონემ** ევროპალიგის მატჩში დაასვენა, თუმცა „ვალიადოლიდთან" გამოიყვანა და კოლუმბიელმა ფორვარდმა ერთი გოლი გაიტანა. ფორვარდი შესვენებაზე შესაცვლელი გახდა, რადგან მარჯვენა ფეხი დაიზიანა. შიში არ გამართლდა - ტრავმა უმნიშვნელოა.

„ლევანტეს" ნახევარმცველს ტრავმა არ მიუღია, მაგრამ შესვენების შემდეგ ის აღარ გამოჩენილა. როგორც გაირკვა, იბორამ მზის დაკვრის გამო გასახდელში გონება დაკარგა და სასწრაფოდ შეცვალეს.

**ტურის საუკეთესო გოლი**

**ემილიო არმენტეროსი** (ოსასუნა) „სარაგოსას" კარში

**ტურის საუკეთესო პასი**

**ანხელ დი მარია** (რეალი) საგოლე პასი **ქარიმ ბენზემას**.

**ტურის სტატისტიკა**

22 გოლი ტურში (2,2 მატჩში). 7 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა და 2 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 59 ყვითელი და 3 წითელი ბარათი დაარიგეს.

■ ■ ■

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **არავინ**

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ფრანსისკო ალკასერი** (ხეტაფე, 19 წლის).

■ ■ ■

ყველაზე მეტი მაყურებელი: **65 834 - „კამპ ნოუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **9 747 - „ესტადიო ვალეკასი"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **28 - ვალენსია**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **12 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **24 - ბეტისი**



ჯუკიჩმა ესპანეთს დიქტატორი შეახსენა

V ტურში ფორვარდებში გვიჭირდა, ამიტომ 3-4-3-დან 4-4-2-ზე გადავერთეთ. ისე მოხდა, რომ 11-დან 10 კაცი ტურის სიმბოლურში პირველადაა, გამონაკლისი მხოლოდ ხესუს ნავასია. „სევილიას" ლიდერი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი დიდებულად და სტაბილურად თამაშობს. ის უკვე ორჯერ მოხვდა ჩვენს სიმბოლურში, ერთი ამდენჯერაც ახლოს იყო მიზანთან. გამოვარჩიეთ დამარცხებული გუნდის მეკარე ტონიო, რომელმაც „ბარსას" 10 დარტყმა მოიგერია და მე-11-ეს ვერაფრით გადაელობა, ჩავიმ ბურთი ხარიხას გაარტყა და ისე გაიტანა (სხვათა შორის, ხავიც სიმბოლურშია), შემდეგ კი ტონიო თავისივე ფეხბურთელმა დალაშქრა. სხვათა შორის, სიმბოლურში მხოლოდ 4 ესპანელია



### ჩავი ერნანდესი
ბარსელონა

ჩავიმ გატეხა მებრძოლი „გრანადა", მისი დარტყმული ჯერ ხარიხას მოხვდა და ისე ჩაეშვა ტონიოს კარში - „ბარსამ" 100%-იანი შედეგი შეინარჩუნა. ჩავი საოცარი ფეხბურთელია, მან სულ 41 წუთი ითამაშა და ამ ხნის განმავლობაში 62 ზუსტი პასი გააკეთა! ეს კი თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე „გრანადას" საუკეთესო მეპასის (ორელიანა, 90 წუთი) შედეგი - 22 ზუსტი პასი.

**ბომბარდირები**



**6** - ლიონელ მესი (ბარსელონა)
**5** - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)
**4** - ტომერ ჰემედი (მალიორკა)

**ასისტენტები**

**3** - იბაი გომესი (ბილბაო), ბენიატ ეჩებარია (ბეტისი), ემილიო ნსუე (მალიორკა)

**გოლი+პასი**



**7** - ლიონელ მესი (ბარსელონა)
**6** - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)
**5** - ტომერ ჰემედი (მალიორკა)

**12-ე ფეხბურთელი**

**დავიდ ზურუტუზა** (რეალ სოსიედადი).

## V ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



გერმანია. ბუნდესლიგა. V ტური

# ჩემპიონს დაცვა მოეშალა

## დორტმუნდი ბაიერნს უკვე შვიდი ქულით ჩამორჩება

### გუშინ

**ბაიერნი-ვოლფსბურგი 3:0**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ბადშტუბერი - ხავი მარტინესი (72. ტიმოშჩუკი), შვაინშტაიგერი - რობენი (68. კროოსი), შაჩირი, რიბერი - მანჯუკიჩი (79. პისარო).

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ფაგნერი, ნალდო (67. ტრეში), პოგატეცი, როდრიგესი - კნოხე, ჟოსუე - კალენბერგი (67. ვიეირინია), დიეგო, ოლიჩი - დოსტი (81. იონსონი).

**გოლები:** 1:0 შვაინშტაიგერი (24), 2:0 მანჯუკიჩი (57), 3:0 მანჯუკიჩი (65)

**გაფრთხილება:** შვაინშტაიგერი - კალენბერგი

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 25(13)-4(1); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 71 000

**შალკე-მაინცი 3:0**

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი - უჩიდა, კ. პაპადოპულოსი, ჰიოვედესი, ფუხსი - ჰიოგერი, ნოიშტედტერი - ფარფანი (69. დრაქსლერი), ჰოლტბი, აფელაი (69. ბარნეტა) - ჰუნტელაარი (85. პუკი).

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო - პოსპეხი, ბუნგერტი, ნოვესკი, ჟუნიორ დიასი - ბაუმგარტლინგერი - პოლანსკი, სოტო - ივანშიტცი (64. ნ. მიულერი) - სალაი (75. კლასნიჩი), რუკავიცია (59. ჩუპო-მოტინგი).

**გოლები:** 1:0 ფარფანი (21-პენ), 2:0 ჰოლტბი (81), 3:0 პუკი (90)

**გაფრთხილება:** ნოიშტედტერი, დრაქსლერი - პოლანსკი, ვეტკლო

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 16(9)-10(3); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 59 116

**ფიურტი-ფორტუნა 0:2**

**ფიურტი (4-2-2-2):** გრიუნი - ნერიგი, კლაინე, მავრაი, შმიდტგალი (46. ბაბა) - ფიურშტნერი, პეცოსი (46. პრიბი) - სარარერი, პექთურქი - ედუ (74. ასამოა), აზემი.

**ფორტუნა (4-2-3-1):** გიფერი - ლეველსი, მალეზასი, ლანგენეკე, ვან დერ ბერგი - ბოძეკი, ო. ფინკი - კრუზი (63. დუ-რი ჩა), ილსიო (90. ბელინგჰაუზენი), ლამბერტცი - შაჰინი (71. რაიზინგერი).

**გოლები:** 0:1 ო. ფინკი (26), 0:2 ილსიო (33)

**გაფრთხილება:** ნერიგი, მავრაი - შაჰინი, ბოძეკი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 22-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 11(3)-10(5); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 16 573

**აინტრახტი-ბორუსია (დ) 3:3**

**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ოჩიპკა - შვეგლერი, როდე - აიგნერი (85. კიტელი), ა. მაიერი (90. ლანიგი), ინუი - ჰოფერი (59. მატმური).

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ლაიტნერი, კელი - ბლაშჩიკოვსკი (85. გიუნდოგანი), როისი (46. გიოტცე), პერიშიჩი (68. გროსკროიტცი) - ლევანდოვსკი.

**გოლები:** 0:1 პიშჩეკი (25), 0:2 როისი (28), 1:2 აიგნერი (49), 2:2 ინუი (51), 2:3 გიოტცე (54), 3:3 ანდერსონი (73)

**გაფრთხილება:** სამბრანო, შვეგლერი - ლევანდოვსკი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 14(5)-9(7); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 51 500

### დღეს

**ბორუსია (მ)-ჰამბურგი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** რაიკოვიჩი (შიდა), ირაჩეკი (ორივე ჰამბურგი)

**ტრავმა:** აოგო, კაჩარი, რინკონი (ყველა ჰამბურგი)

**შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჰარნიკი (შტუტგარტი)

**ტრავმა:** ჰუგლანდი, აუდელი, დიდავი - ვიზე, კრისი, იაისლე, შიპლოკი

**ჰანოვერი-ნიურნბერგი 22:00**

**ტრავმა:** პანდერი, კ. შულცი - ჰლუშეკი, მენდლერი

**ფრაიბურგი-ვერდერი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლუკიმია (ვერდერი)

**ტრავმა:** როზენტალი (ფრაიბურგი)

**აუგსბურგი-ლევერკუზენი 22:00**

**ტრავმა:** იენტცში, ფიპლი, ბა, კალსენბრაკერი, კოო, მუსონა, მიოლდერსი

5 თამაში, 5 მოგება, 17 გატანილი გოლი - მიუნხენის „ბაიერნი“ იდეალურ ფორმაშია! მიუნხენურ გრანდს წინააღმდეგობა ვერც **ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგმა“ გაუწია: გუშინ ბავარიელებმა „მგლები“ აბსოლუტურად უპრობლემოდ, 3:0 დაამარცხეს და ხუთი ტურის შემდეგ ასპროცენტიანი შედეგით უკვე ერთპიროვნული ლიდერები არიან, რადგან სენსაციურმა „აინტრახტმა“ ჩემპიონ „დორტმუნდთან“ მხოლოდ ფრეს მიაღწია...

თუმცა ეს რბილი ნათქვამია: ფრანკფურტელებმა უმძიმესი ბრძოლა გადაიტანეს და ჩემპიონებთან განსაკუთრებით კარგად მეორე ტაიმში ითამაშეს. „ბორუსია“ 2:0-ის იგებდა, მაგრამ **არმინ ფეეს** გუნდი თამაშში აიგნერისა და ინუის გოლებით დაბრუნდა. **მარიო გიოტცემ იურგენ კლოპის** სამნყსო კიდევ ერთხელ დააწინაურა, თუმცა 73-ე წუთზე **ანდერსონმა** წონასწორობა აღადგინა. დარჩენილ დროში ორივე გუნდი უტევდა, მაგრამ გოლი აღარ გასულა და საბოლოოდ 3:3, რომელიც ამტკიცებს, რომ „აინტრახტი“ შემთხვევით არ არის მეორე ადგილზე, „დორტმუნდს“ კი პრობლემები აქვს. ეს განსაკუთრებით დაცვას ეხება - **ნევენ სუბოტიჩი** და **მატს ჰუმელსი** „ბორუსიას“ უკანა ხაზის ცენტრს კარგად ვეღარ ამაგრებენ და გუშინ თავდაუჯერებელი გახლდათ ჩემპიონთა მეკარე **რომან ვაიდენფელერიც**.

„ბაიერნიდან“ **მარიო მანჯუკიჩმა** დუბლი შესრულა და ბომბარდირთა დავაში ხუთი გოლით დაწინაურდა. გუშინვე, საშინაო დავალება კარგად შეასრულა „შალკემ“: გელზენკირხენელებმა „მაინცს“ არაფერი გააბედვინეს (3:0), დიუსელდორფის „ფორტუნამ“ კი „ფიურტი“ სტუმრად 2:0 დაამარცხა და ყველასათვის მოულოდნელად, ლიდერებშია. რაც შეეხება მეხუთე ტურის დარჩენილ ხუთ შეხვედრას:



მესამე გოლი დორტმუნდელთა კარში: ანდერსონმა როდრიგესმა ასე გაათანაბრა

### ლევერკუზენისთვის წაგება არ შეიძლება, აუგსბურგს გამარჯვება სურს

გუშინ სატურნირო ცხრილის სათავე და მისი შემოგარენი იყო ყურადღების ცენტრში, დღევანდელ შეხვედრებში კი „ქვედა რეგიონები“ გახდება აქტუალური. სატურნირო ცხრილის ფსკერიდან თავის დაღწევა დღეს ორ შვაბენლანდურ კლუბს, „შტუტგარტს“ და „აუგსბურგს“ სურთ. ბავარიელ-შვაბი აუგსბურგელები „ლევერკუზენს“ მასპინძლობენ და ამ მატჩის წინ განგაშის ზარებს შემოჰკრეს. *„ფეხბურთი, რომელიც პირველ ტურებში ვითამაშეთ, არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ბუნდესლიგაში დავრჩეთ,“* - ეს კაპიტან **ვერჰეგის** სიტყვებია.

„აუგსბურგს“ ყველაზე ცოტა, მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი და სხვათა შორის, ამ მხრივ კარგი შედეგით ვერც ლევერკუზენელები დაიკვეხნიან (4). კვირას, „გლადბახთან“ შეხვედრაში (1:1) „ბაიერის“ ფეხბურთელებმა უამრავი კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს და თერთმეტმეტრიანიც კი გააფუჭეს (**შიურლე**). ერთი სიტყვით, „აუგსბურგი“ ვალდებულია, მხოლოდ სამი ქულის აღებაზე იფიქროს და არც „ლევერკუზენს“ აქვს წაგების უფლება, რადგან „ფარმაცევტები“ უკვე მე-13 ადგილზე არიან და გასავარდნ ზონას ოდენ ორი ქულაღა აშორებთ.

### შტუტგარტი წნეხის ქვეშ

„შტუტგარტის“ გასავარდნ ზონაში ყოფნა ყველასათვის მოულოდნელი ამბავია. **ბრუნო ლაბადიას** გუნდი ოთხი ტურის შემდეგ მოუგებელია, თუმცა კვირას, „ვერდერთან“ (2:2) დაამტკიცა, რომ ბრძოლა და გოლების გატანა შეუძლია. შვაბები დღეს „ჰოფენჰაიმს“ მასპინძლობენ - გუნდს, რომელმაც სამარცხვინო სტარტის შემდეგ, წინა ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა (ჰანოვერთან 3:1).

ლაბადიას დისკვალიფიკაციის გამო წამყვანი ნახევარმცველი **მარტინ ჰარნიკი** დააკლდება. სამაგიეროდ, ბრუნდება ბოსნიელი თავდამსხმელი **ვედად იბიშევიჩი**, რომელმაც იმავე მიზეზით ორი ტური გამოტოვა. ვედოს დღეს ხშირად ექნება საქმე „ჰოფენჰაიმის“ ახალგაზრდა მეკარე **კასტეელსთან**, რომელმაც კვირას ტრავმირებული **ტიმ ვიზე** შეცვალა და ბუნდესლიგაში ჩინებული დებიუტი გამოუვიდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, დიდი შანსია, რომ კასტეელსმა ვიზე ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდოსო, რაც ნამდვილად არ იქნება გასაკვირი იმ ფონზე, რომ ვიზე კატასტროფულ შეცდომებს უშვებდა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ჰოფენჰაიმს“ „შტუტგარტიდან“ სამი ქულა არასდროს წაუღია.

### ჰამბურგი ახლა მეორე ბორუსიას ემუქრება

გასულ უქმეებზე „ჰამბურგმაც“ პირველი გამარჯვება მოიპოვა და თანაც, ჩემპიონი „დორტმუნდი“ დაამარცხა, რითაც ჩრდილოგერმანული კლუბის ფეხბურთელებმა, მწვრთნელმა, ხელმძღვანელობამ და ფანებმა ამ ეტაპზე შვებით ამოისუნთქეს და მომავალს უკვე ოპტიმისტურად უყურებენ. ჰამბურგელთა თავკაც **ტორსტენ ფინკს** ახლა იმის იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები მეორე „ბორუსიასთანაც“ კარგად ითამაშებენ, მიონხენგლადბახიდან მინიმუმ ერთ ქულას მაინც წაიღებენ.

*„ვინც ჩემპიონს მოუგებს, ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. ბიჭებმა უნდა დაამტკიცონ, რომ „დორტმუნდი“ შემთხვევით არ დაამარცხეს,“* - თქვა ფინკმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. „ჰამბურგისთვის“ ეს იდეალური სიტუაციაა, რადგან „გლადბახში“ ყველაფერი კარგად არ არის და მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** შეშინებულია, თუ ასე გავაგრძელებთ, ჩემპიონთა ლიგის საგზური კი არა, გადარჩენისთვის ბრძოლა მოგვიწევსო. ლევერკუზენში მიღწეული 1:1-ით მიონხენგლადბახელთაგან უკმაყოფილო არავინ დარჩენილა, მაგრამ ახალწვეულმა **გრანიტ ჯაკამ** თქვა, თუ „ჰამბურგთანაც“ ასე ვითამაშებთ, ქულასაც ვერ ავიღებთ, რადგან ლევერკუზენში არაერთხელ გაგვიმართლაო.

### ფრაიბურგი ვერდერს უფრთხის

„ფრაიბურგის“ დამრიგებელი **კრისტიან შტრაიხი** დიუსელდორფში მიღწეული უგოლო ფრით კმაყოფილი დარჩა და შეგირდებს მოუწოდა, „ვერდერთან“ საშინაო მატჩშიც ასეთი შემართებით უნდა ვიბრძოლოთო. შტრაიხი „ვერდერთან“ ურთულეს მატჩს ელის, რადგან მიიჩნევს, რომ ბრემენული კლუბი ძალიან კარგად დაკომპლექტებული გუნდია და თუ „ვერდერი“ ამას სატურნირო ცხრილზე ვერ ასახავს, „ფრაის“ თავკაცის აზრით, ეს დროებითია.

შტრაიხის ანალიზის დასტურია ის, რომ ბრემენელთა ახალწვეულმა, ლონდონის „ჩელსიდან“ არენდით აყვანილმა **კევინ დე ბრუინმა** ბოლო ორ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, „ვერდერს“ დაცვის ხაზში აქვს პრობლემები და „ფრაიბურგიც“ სწორედ ამით ეცდება სარგებლის ნახვას. „შტუტგარტთან“ მატჩში განსაკუთრებით ცუდად ბერძენი მცველი **სოკრატის პაპასტატოპულოსი** გამოიყურებოდა, რომელსაც თომას შააფი ალბათ მაინც სასტარტო შემადგენლობაში გაამწესებს, რადგან ამ უკანასკნელის ალტერნატივამ, **ლუკიმიამ** კვირას მოედანზე გამოჩენისთანავე წითელი ბარათი დაიმსახურა და დისკვალიფიცირებულია.

### ჰუშტი ბრუნდება! რას იზამს ჰანოვერი?

დღესვე, „ჰანოვერი“ „ნიურნბერგს“ უმასპინძლებს და ყურადღების ცენტრში იქნება „წითლების“ უნგრელი შემტევი ნახევარმცველი **ჟაბოლჩ ჰუშტი**, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა და მოედანზე ბრუნდება. მისი დაბრუნება „ჰანოვერის“ ფანებისთვის უდიდესი იმედია, რადგან ჰუშტი „კიკერის“ შეფასებების მიხედვით ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია - საშუალო შეფასება 1 ბალი, 2 გოლი, 5 საგოლე პასი.

„ჰანოვერმა“ „ჰოფენჰაიმთან“ პირველი მარცხი რომ განიცადა, ეს მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** პირველ რიგში სწორედ ჰუშტისა და **ლეონ ადნრეასენის** არყოფნით ახსნა. დღეს ორივე მათგანი ძირითად შემადგენლობაში იქნება. დიდი შანსია, რომ დაბრუნდეს და მინიმუმ განაცხადში იყოს თავდამსხმელი **დიუფიც**, რომელმაც ოპერაცია გადაიტანა და ამ სეზონში ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია. ერთი სიტყვით, „ნიურნბერგელებს“ ჰანოვერში რთული თამაში ელით...

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 17-2 | 15 |
| 2. აინტრახტი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-7 | 13 |
| 3. შალკე | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 4. ფორტუნა | 5 | 2 | 3 | 0 | 4-0 | 9 |
| 5. ბორუსია (დ) | 5 | 2 | 2 | 1 | 11-8 | 8 |
| 6. ჰანოვერი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-7 | 7 |
| 7. ნიურნბერგი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 8. ფრაიბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 9. ბორუსია (მ) | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 10. ვოლფსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-8 | 5 |
| 11. ვერდერი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 4 |
| 12. ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 13. მაინცი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 14. ფიურტი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-8 | 4 |
| 15. ჰამბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 4 | 1 | 0 | 3 | 7-12 | 3 |
| 17. შტუტგარტი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-9 | 2 |
| 18. აუგსბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - მანჯუკიჩი (ბაიერნი); 4 - თ. მიულერი (ბაიერნი); 3 - აიგნერი (აინტრახტი), ჰოლტბი (შალკე), ინუი (აინტრახტი), კროოსი (ბაიერნი), შვაინშტაიგერი (ბაიერნი).

### მომდევნო ტური

**28 სექტემბერი.** ფორტუნა-შალკე.

**29 სექტემბერი.** ლევერკუზენი-ფიურტი, ვერდერი-ბაიერნი, ნიურნბერგი-შტუტგარტი, ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი, ჰამბურგი-ჰანოვერი, ბორუსია (დ)-ბორუსია (მ).

**30 სექტემბერი.** აინტრახტი-ფრაიბურგი, ვოლფსბურგი-მაინცი.

### II ბუნდესლიგა. VII ტური

### გუშინ

**კიოლნი-ფრანკფურტი 2:1**

**გოლები:** 1:0 შტრობლი (46), 2:0 ჩიჰი (82), 2:1 ვერჰუკი (90)

**ზანკტ პაული-აალენი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჰიუბნერი (45+1)

**კოტბუსი-პადერბორნი 2:1**

**გოლები:** 1:0 ფარინა (67), 1:1 პ. ჰოფმანი (74), 2:1 შტიპერმანი (80)

**ზანდჰაუზენი-რეგენსბურგი 1:2**

**გოლები:** 1:0 პისხორნი (37), 1:1 პ. მიულერი (45+1), 1:2 ვისმაიერი (90)

### დღეს

| | |
|---|---|
| ჰერტა-დინამო | 19:30 |
| ბრაუნშვაიგი-დუისბურგი | 19:30 |
| ინგოლშტადტი-მიუნხენ 1860 | 19:30 |
| აუე-უნიონი | 19:30 |
| ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 22:15 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტბუსი | 7 | 5 | 2 | 0 | 13-5 | 17 |
| 2. ბრაუნშვაიგი | 6 | 5 | 1 | 0 | 9-2 | 16 |
| 3. ფრანკფურტი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-7 | 14 |
| 4. კაიზერსლაუტ. | 6 | 3 | 3 | 0 | 11-7 | 12 |
| 5. აალენი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-8 | 12 |
| 6. ჰერტა | 6 | 3 | 2 | 1 | 10-8 | 11 |
| 7. ინგოლშტადტი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-7 | 11 |
| 8. პადერბორნი | 7 | 3 | 1 | 3 | 13-9 | 10 |
| 9. მიუნხენ 1860 | 6 | 2 | 4 | 0 | 7-3 | 10 |
| 10. ბოხუმი | 6 | 2 | 2 | 2 | 3-6 | 8 |
| 11. რეგენსბურგი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-7 | 6 |
| 12. ზანდჰაუზენი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 13. ზანკტ პაული | 7 | 1 | 3 | 3 | 4-7 | 6 |
| 14. დინამო | 6 | 1 | 2 | 3 | 8-10 | 5 |
| 15. კიოლნი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-8 | 5 |
| 16. უნიონი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-11 | 4 |
| 17. აუე | 6 | 1 | 1 | 4 | 2-7 | 4 |
| 18. დუისბურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-14 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - სანოგო (კოტბუსი); 4 - ბუნიაკუ (კაიზერსლაუტერნი), კაპლანი (ფრანკფურტი), პოტე (დინამო), რონი (ჰერტა).



ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია. ძიუდო, სამბო



ძიუდოისტები



სამბისტები

# ორმაგი წარმატების შეჯამება

## ძიუდოისტები გაისად კიდევ უფრო ძლიერ გუნდს გვპირდებიან

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც ერთბაშად ორ ტურნირს - ხორვატულ პორეჩში გამართულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა და ტალინში ჩატარებულ 15-16-წლიან სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს მიეძღვნა. ჩვენები ორივე შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ - 7-7 მედალი მოიპოვეს. ძიუდოისტებმა 1 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო ირგუნეს, სამბისტებმა - 5 ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო. ძიუდოისტთა შორის ევროპის ჩემპიონი **ლევან მატიაშვილი** (+100) გახდა, **ლერი ჭელიძე** (55), **ვაჟა მარგველაშვილი** (60), **ფრიდონ გიგანი** (73) და **ბექა ღვინიაშვილი** (81) ვერცხლს დასჯერდნენ, **ლევან გუგავა** (73) და **გურამ თუშიშვილი** (100) კი მესამეზე გავიდნენ. სამბისტთა შორის ამ ასაკში კონტინენტის პირველობა პირველად ჩატარდა და ჩემპიონობა **თორნიკე ნაგლიაშვილმა** (46), **ჯაბა ქურდიანმა** (50), **გიორგი მეტრეველმა** (60), **ირაკლი გოგიამ** (78) და **დავით ოზბეთელაშვილმა** (84) მოიპოვეს, **მიხეილ ახალაურმა** (+84) ფინალი დათმო, **ჯემალ ბუჩუნტელი** (66) კი ბრინჯაოს დაეუფლა.

პრესკონფერენციას ძიუდოისტთაგან ნაკრების მწვრთნელი **გიორგი გუგავა** და ფედერაციის გენერალური მდივანი **ვლადიმერ ნუცუბიძე** ესწრებოდნენ, რომელიც პორეჩში მსაჯად იყო მიწვეული, სამბოს კი ფედერაციის პრეზიდენტი **სოსო ლიპარტელიანი** და ამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ემილ რაში** წარმოადგენდნენ.

ვინაიდან ლიპარტელიანი სამბოსა და ძიუდოს საზიარო კადრია, პრესკონფერენციაც მან გახსნა, ორივე გუნდს წარმატება მიულოცა და გამოთქვა იმედი, რომ ეს კარგი თაობა, რაც ამ ტურნირებზეც დადასტურდა, 2016 წლის ოლიმპიადაზე თავის სიტყვას იტყვის. მისივე თქმით, სპორტსმენები ახლანდელი წარმატებისთვის დაწესებულ პრემიებს დაახლოებით ორ თვეში მიიღებენ.

ამ თაობის სახით მომავალი ოლიმპიური თუ სხვა სახის ბატალიებისთვის ეროვნულ გუნდებს კარგი ცვლა რომ ეზრდებათ, ნუცუბიძემაც დაადასტურა, ძიუდოს ახალგაზრდულ ნაკრებზე საუბრისას კი აღნიშნა, რომ ყველა წონაში თითქმის თანაბრად ძლიერად იყო დაკომპლექტებული.

ემილ რაშმა ხაზი გაუსვა, რომ მისი შეგირდების უმრავლესობა პირველად ჭიდაობდა უცხოეთში და ამის მიუხედავად, გუნდი სადებიუტო ტურნირში ფრიად კარგად გამოვიდა. ჩვენებმა გუნდური პირველობა ხომ მოიპოვეს, თურმე რუსებს იმდენი პირადი შეხვედრა მოუგეს, მეორე ადგილიც დააკარგვინეს, ბელარუსმა გაუსწრო.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ცოტა ხნით გუგავას გავესაუბრეთ.

**- ცხადია, ნაკრების ასეთი გამოსვლით კმაყოფილი იქნებით...**

- ევროპის ჩემპიონატზე 7 მედლის მოპოვება უბრალო საქმე არ არის და ამით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უკმაყოფილო ვარ ოთხი წაგებული ფინალით. ეს რომ არა, შედეგი ხარისხობრივად ბევრად უკეთესი იქნებოდა.

მთლიანობაში, გუნდი დამაკმაყოფილებლად გამოიყურებოდა და ადრინდელი მინუსი, როცა ფიზიკური მომზადება აკლდათ და დაღლილობის გამო აგებდნენ, ამჯერად გამოსწორებულია და ამ მიზეზით არავის წაუგია. პირიქით - ბოლო წუთებში უფრო უმატებდნენ და ამით იგებდნენ. მათ ასეთი დავალება ჰქონდათ - პირველი 2 წუთი ტაქტიკაზე უნდა ეჭიდავათ, ბოლო 2 წუთში კი უნდა მოემატებინათ, რასაც უმეტესად ასრულებდნენ. შიში იმისა, რომ ვილაც დაღლილობით წააგებდა, აღარ მქონდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ შვიდი მედლის გარდა კიდევ სამმა იჭიდავა ბრინჯაოსთვის. ერთი სიტყვით, გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ვარ.

**- ალბათ, ერთადერთ ნაკლად 4 წაგებული ფინალი უნდა მივიჩნიოთ. ამას რითი ხსნით, რატომ დავთმეთ ამდენი ფინალი?**

- ეს მართლაც მტკივნეული საკითხია, თითქოს დავითარსეთ. ფინალამდე სულ სხვა ჭიდაობა იყო, იქ კი - განსხვავებული. ფინალს სხვა ჭიდაობა უნდა და, ეტყობა, ბოლომდე მაინც ვერ განეწყვნენ, ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა მაინც იჩინა თავი.

გადაზრდილების თემაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს. მაგალითად, რუსებს თვითონაც ეუხერხულებოდათ, იმდენად თვალში საცემი იყო ეს ფაქტორი, თუმცა ჩვენები ასეთებთან უფრო მეტი აგრესიით ჭიდაობდნენ.

**- ვის გამოარჩევთ თქვენი გუნდიდან?**

- უპირველესად - მატიაშვილს, რომელიც ჩამოყალიბებული მოჭიდავეა. შეცდომა არ დაუშვია და გდება არ გაუშვია, ისე მოიგო პირველობა. ბიჭი მოსაგებად იყო ჩასული და მოიგო კიდეც. უკლებლივ ყველა შეხვედრა ისე ჩაატარა, რომ იცოდა, როგორ უნდა ემოქმედა. შევალ და ვიჭიდავებო, ასე კი არ გადიოდა ტატამზე, არამედ წინასწარ ჰქონდა დასახული გეგმა, ვისთან როგორ მოქცეულიყო.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ღვინიაშვილი, რომელმაც წინა თვეებში ოპერაციები გაიკეთა და მისგან ამდენსაც არ ველოდი, მაგრამ კლდესავითაა, არაადამიანური ძალის პატრონია. სამწუხაროდ, დიდი ზეწოლა იყო მასზე, რაც კარგად გამოჩნდა თუნდაც რუს ხაიბულაევთან შეხვედრაში - მეტოქე შებოჭა, მაგრამ არ მისცეს, გდებები არ ჩაუთვალეს, თუმცა მაინც აჯობა. ფინალში წააგო ბერძენ ალექსიოს ნტანაციდისთან, მაგრამ არც ის მგონია სუფთა ასაკის - კაცია, რომ შეხედავ. მასთან შეხვედრაში ღვინიაშვილს თითები გაეჭედა, ვერ ხსნიდა.



პრესკონფერენციაზე: მარცხნიდან - ემინ რაში, სოსო ლიპარტელიანი, ვლადიმერ ნუცუბიძე და გიორგი გუგავა

73 კილოგრამზეც მინდა ვთქვა, სადაც ორივემ მედალი მოიპოვა. გიგანი ძალიან ნიჭიერი და ჭკვიანი ბიჭია. იმავეს ვიტყვი გუგავაზეც. ორივეს კარგი ნერვები აქვს და ისინი დიდ სპორტს იჭიდავებენ.

ჭელიძეს რაც შეეხება, ვფიქრობ, იმ ფინალის ბედი გადაწყვეტილი იყო და ბელგიელს უნდა მოეგო. თავიდან ეს გააფრთხილეს, მერე კი მიჰყვნენ და ორივეს მისცეს გაფრთხილებები.

**- ეს რისი ბრალია?**

- ვფიქრობ, იმხელა ძალა აქვს, ვერ აკონტროლებს. ალბათ, წონას იკლებს და ამის ბრალია.

**- ანუ მოსალოდნელია ზედა წონაში მისი გადასვლა?**

- ვფიქრობ, უნდა იფიქროს ამაზე.

**- თქვენ შარშან და შარშანწინაც კარგი გუნდი გყავდათ. ახლანდელი მათ რომ შეადაროთ, რომელია უფრო ნიჭიერი?**

- ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ახლანდელი გუნდის უმეტესობა 1995-წლიანია და მათ ამ ნაკრებში ორი წელიწადი კიდევ უწევთ ჭიდაობა. ძალიან პერსპექტიული თაობაა. შარშანდელს თუ შევადარებთ, მაშინ აწ უკვე ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი გვყავდა, ახლანდელიდან რამდენიმე მაშინაც ჭიდაობდა, მაგრამ წლევანდელი უფრო უკეთესი მგონია, თუმცა გაისად ეს გუნდი კიდევ უფრო ძლიერი იქნება.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# სომხეთიდან მედლებით დაბრუნდნენ

ამ დღეებში გორის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის ჭაბუკ ძიუდოისტთა გუნდმა სომხეთის ქალაქ გიუმრიში პეტროს ნაზარიანის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. გორელები მასში მეხუთედ მონაწილეობდნენ. ტურნირში რუსეთისა და სომხეთის თანატოლებთან ერთად ჩვენი 18 ძიუდოისტი ჩაერთო მწვრთნელ **ნიკო ბიბილაშვილის** ხელმძღვანელობით. გორელებმა ორივე ასაკობრივ ჯგუფში (1997-98; 1999-2000 წწ) კარგად იასპარეზეს, თუმცა პირველ დღეს განსაკუთრებით უმცროსებმა გამოიჩინეს თავი - გუნდური შედეგით ყველას აჯობეს. უფროს ასაკში კი მხოლოდ მასპინძლებს ჩამორჩნენ.

1999-2000 წწ. დაბადებულებს შორის პირველობა მოიპოვეს - **გაგა ჭულუხაძემ** (27), **დაჩი სუხიტაშვილმა** (38), **ალეკო მამიაშვილმა** (46), **რეზო თაბუკაშვილმა** (60) და **ჯაბა ქარელიშვილმა** (+60). მესამე ადგილები ერგოთ - **არმაზ არჩუაძეს** (34), **დავით დვალიშვილს** (38) და **ვანო ხარიბეგაშვილს** (50).

1997-98 წწ დაბადებულებს შორის I ადგილზე გავიდნენ - **ზურაბ კახნიაშვილი** (42), **ალეკო მამიაშვილი** (46), **რობიზონ ბეგლარიშვილი** (50); II ადგილზე - **თორნიკე არჩუაძე** (50), **რეზო თაბუკაშვილი** (60), **ელგუჯა ზერეკიძე** (73), III პრიზიორები გახდნენ - **გიორგი დოლაძე** (46), **ვიქტორ ოდიშვილი** (55), **ვანო მახათაძე** (60), **ჯაბა ქარელიშვილი** (მძიმე).

გორელთა გამოსვლის შეფასება ნიკო ბიბილაშვილს ვთხოვეთ. შეგახსენებთ, რომ ეს ახალგაზრდა სპეციალისტი **ანზორ თენაძესთან** ერთად ოლიმპიური ჩემპიონის, **ლაშა შავდათუაშვილის** პირადი მწვრთნელია. *„დიდი ხანია გიუმრის და სომხეთის სხვა ქალაქების ძიუდოს კლუბებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ისინი ხშირად ჩამოდიან გორში ერთობლივ წვრთნებსა და ტურნირებში მონაწილების მისაღებად, ჩვენ კი მათ შეჯიბრებებზე ვსტუმრობთ. ნაზარიანის ამ ტურნირზე უმცროსთა ჯგუფიდან ზოგიერთი უფროსთა შორისაც ვაჭიდავეთ. სასიხარულოა, რომ ალეკო მამიაშვილმა ორივეგან გაიმარჯვა. თაბუკაშვილმა და ქარელიშვილმა კი თავის ასაკში პირველი, უფროსებში კი II - III საპრიზო ადგილები დაიკავეს. პერსპექტიული თაობა გვეზრდება. განსაკუთრებით ეს 1999-2000 წლებში დაბადებულებზე ითქმის. ისინი შინ და საერთაშორისო არენაზეც უკვე ხშირად იხვეჭენ წარმატებებს“* - გვითხრა ნიკო ბიბილაშვილმა.



უმცროსი ძიუდოისტები ამ დღეებში შიდა ქართლის რეგიონულ პირველობაზე გამოვლენ, რის შემდეგ დაკომპლექტდება რეგიონის გუნდი საქართველოს სარეიტინგო პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჩოგბურთი

# ერთეულებში უკეთ, ვიდრე წყვილებში

თელავში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ ჯერ წყვილთა რამდენიმე პაექრობა გაიმართა. სამწუხაროდ, ჩვენებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი. **მაკა ჩახნაშვილი** და **სოფიო ქვაცაბაია** ორ სეტში დამარცხდნენ ელინა სვიტოლინასთან (უკრაინა) და ირინა ხრომაჩევასთან (რუსეთი) - 3:6, 1:6. **მარგალიტა ჭიჭაშვილი** რუსეთის სახელით მოასპარეზე **ეკატერინა ნიკლაურთან** იყო შეწყვილებული, მაგრამ მათმა დუეტმა მეტოქისთვის მხოლოდ ერთი გეიმის ართმევა შეძლო და 0:6, 1:6 წააგო ტადეია მეიჯერიჩთან (სლოვენია) და ანა შკუდუნთან (უკრაინა). **ბაბილინა მაჩაიძემ** და **მარიამ ქურასბედიანმა** ასეთივე ანგარიშით დათმეს შეხვედრა რეკა-ლუკა იანისა (უნგრეთი) და ქრისტინა შაკოვეცის (გერმანია) დუეტთან. მეორე ნომრად განთესილმა ესპანელებმა - ლეტისია კოსტასმა და არანჩა პარასანტოიამ სერბი ალექსანდრა კრუნიჩი და რუსი მარგარიტა ლაზარევა დაამარცხეს - 6:4, 6:4.



ოქსანა კალაშნიკოვა

გუშინვე ცნობილი გახდა საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულთა ვინაობა. ესენი არიან ვიქტორია კანი, მარგარიტა ლაზარევა (ორივე - რუსეთი), ანა შკუდუნი და განა პოზნიხირენკო (ორივე - უკრაინა), რომლებმაც, შესაბამისად, ლაურა პოუს-ტიო (ესპანეთი, 4:6, 7:6, 6:0), ჰილდა მელანდერი (შვედეთი, 7:5, 5:7, 7:6), დარია ლებეშევა (ბელარუსი, 6:3, 6:0) და ოლგა იანჩუკი (უკრაინა, 6:3, 7:5) დაამარცხეს. ოთხივე ჩოგბურთელი ძირითად ბადეში იასპარეზებს, სადაც გუშინ უკვე გაიმართა პირველი წრის რამდენიმე ორთაბრძოლა: სოფიო შაფათავამ ინეს ფერერ-სუარესი (ესპანეთი) დაჯაბნა - 6:1, 7:6, ოქსანა კალაშნიკოვამ დაძაბულ პაექრობაში ანასტასია გრიმალსკას (იტალია) პირველი სეტი 7:5 მოუგო, მეორეში 5:2 რომ დაწინაურდა, იტალიელმა ტრავმის გამო ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო და შეჯიბრებას გამოეთიშა. მე-4 ნომრად განთესილმა ალექსანდრა კრუნიჩმა (სერბეთი) რეკა-ლუკა იანის (უნგრეთი) აჯობა - 6:3, 6:4, ტურნირის მეორე ნომერმა ელინა სვიტოლინამ (უკრაინა) ეკატერინა ძენალევიჩს (ბელარუსი) ორ სეტში სძლია - 6:3, 6:1.

რუსულ ლერმონტოვში ჩოგბურთელ ვაჟთა 50.000-იანი ტურნირის პირველ წრეში **ნიკოლოზ ბასილაშვილი**, რომელმაც ამას წინათ თბილისის 15.000-იანი საერთაშორისო შეჯიბრება მოიგო, მეორე ნომრად განთესილ ანდრეი კუზნეცოვს (რუსეთი) დანებდა - 4:6, 4:6, არადა, 2010 წლის ოქტომბერში ბასილაშვილმა იგი ორ სეტში დაამარცხა - 7:5, 7:5. ლორმონტოვშივე ასპარეზობს, ოღონდ რუსეთის სახელით, თეიმურაზ გაბაშვილი. ტურნირის სტარტზე მან ჯეიმს დუკვოტი (ავსტრალია) ჩამოიშორა გზიდან - 6:4, 6:3.

**ვაჟა დანელია**

# ქართული სპორტი

## ჭადრაკი

# ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება


მიხეილ მჭედლიშვილი

ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი), ფავორიტთა შორისაა ქართველი დიდოსტატი **მიხეილ მჭედლიშვილი** (2652), რომელიც რეიტინგით მეხუთეა ანტონ კორობოვის (უკრაინა, 2705), ევგენი ალექსეევის (რუსეთი, 2682), სერგეი ჟიგალკოს (ბელარუსი, 2667) და პარიმარჯან ნეგის (ინდოეთი, 2658) შემდეგ. სამ ტურში მას 2 ქულა ჰქონდა. გუშინ თეთრი ფიგურებით მასპინძელ აუაზ მამადოვს 48-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. ქართველი მოჭადრაკე 3 ქულით მესამე-მეთორმეტე ადგილებს ინაწილებს. 3,5-3,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს ბარის ესენი (თურქეთი) და ელთაჯ საფარლი (აზერბაიჯანი) იყოფენ. გუშინ მე-4 ტურში ისინი ერთმანეთს დაუზავდნენ.

მეწინავეთა ჯგუფში მოხვედრის შანსი კიდევ სამ ჩვენებურს ჰქონდა, მაგრამ პირველი სვლის უპირატესობა ვერ გამოიყენეს: **ნინო ბაციაშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი**, შესაბამისად, გერმანელ დიდოსტატ იგორ ხენკინსა და მსგავსი ტიტულის მფლობელ აზერბაიჯანელ ნიჯათ მამედოვს შეუთანხმდნენ ყაიმზე, **თორნიკე სანიკიძე** კი სულაც მასპინძელ ქალბატონთან - გულნარ მამადოვასთან დამარცხდა.

ქართველთა დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: **გაიოზ ნიგალიძე - სალომე ხაჟომია 1:0, ლევან ფანცულაია** - ემილ აბასოვი (აზერბაიჯანი) 1:0, **ანა გავაშელი** - ქანან ჰეიდარლი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5.

ჩვენებურთა მონაგარი 4 ტურის შემდეგ: მჭედლიშვილი - 3, ბაციაშვილი, ხუხაშვილი, ნიგალიძე - 2,5-2,5, სანიკიძე, ფანცულაია - 2-2, ხაჟომია, გავაშელი - 1,5-1,5 ქულა.

დღეს მე-5 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: საფარლი - კორობოვი, ნეგი - ესენი, დურარბეილი - ალექსეევი, მამადოვა - ჟიგალკო, მამადოვი - მჭედლიშვილი, მამედოვი - ნიგალიძე, ჩაემი - ბაციაშვილი, ბარსოვი - ხუხაშვილი, რზაევი - სანიკიძე, ზეინალოვი - ფანცულაია, ხაჟომია - ამირეზა, ჰეჯაზიპური - გავაშელი.

**ვაჟა დანელია**

## წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა

# პირველ ტურს გამოტოვებენ


რევაზ ჩომახიძე

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებული „ლიგამუსი-თბილისი" წლეულს ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაება. სახელოვანი სპორტსმენის - **რევაზ ჩომახიძის** ხელმძღვანელობით ჩვენმა გუნდმა წარმატებით დაძლია საკვალიფიკაციო ეტაპი - თბილისის „ოლიმპიკის" აუზში ზედიზედ სძლია პოლონეთის „არკონიას", ესპანეთის „საბადელს", ბელარუსის „ვიტბიშს" და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. მერვედფინალის ოთხი საგზურისთვის ქართველი წყალბურთელები საბერძნეთის „ვოულიაგმენს", ჰოლანდიის „შუურმანს", ვოლგოგრადის (რუსეთი) „სპარტაკს", ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-98"-სა და უნგრეთის „ეგერს" გაუწევენ მეტოქეობას.

პირველი ტური 26 სექტემბერსაა დანიშნული. „ლიგამუსი-თბილისს" უნგრეთში უნდა ეთამაშა „ეგერის" წინააღმდეგ, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ეს მატჩი ამჯერად არ გაიმართება. კომენტარი გუნდის მთავარ მწვრთნელ რევაზ ჩომახიძეს ვთხოვეთ:

- ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია, ეტყობა, არ ელოდა, რომ საკვალიფიკაციო ტურნირს წარმატებით გადავლახავდით, ამიტომ ჩვენთვის სავიზო საკითხების მოგვარებაზე დროულად არ იზრუნა, - გვითხრა „ლიგამუსის" მთავარმა მწვრთნელმა. - თბილისური ბატალიების დამთავრებისთანავე ყველა საბუთი წარვადგინეთ ლატვიის საკონსულოში ვიზებისთვის. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროც დაგვიდგა გვერდით, საკონსულოც არ არის ჩვენ მიმართ ცუდად განწყობილი, მაგრამ დროის სიმცირის გამო ვიზების პრობლემის მოგვარება არ ხერხდება. „ეგერის" ხელმძღვანელობას ვთხოვეთ, ჩვენი მდგომარეობა გაეთვალისწინებინათ და პირველი მატჩი თბილისში გვეთამაშა, მაგრამ უარი მივიღეთ. ევროპის ფედერაციამ აღიარა, რომ გამოუვალ სიტუაციაში ჩაგვაყენა, ამიტომ მადიარებთან შეხვედრა სანქციების დაუწესებლად გადაგვიტანეს. თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პირველ შეხვედრას 6 ოქტომბერს სტუმრად „შუურმანთან" გავმართავთ, 20 ოქტომბერს კი ვოლგოგრადის „სპარტაკს" ვუმასპინძლებთ. ამჟამად „ოლიმპიკის" აუზში გუნდი ასეთი შემადგენლობით ემზადება: ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა კაპანაძე, ბექა ქავთარაძე, მიხეილ ბალათურია, ბექა ქენქაძე, ალექსანდრე რუსიშვილი, ალექსანდრე ურუშაძე, ალექსანდრე ყაზახიშვილი, ლევან ჩიქვინიძე, გიორგი ხვედელიანი, ტატო ნიკოლეიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, გალაქტიონ ლაითაძე, თორნიკე სხილაძე, კოკა გიორგაძე, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, გიორგი ქართველიშვილი, გივი სულაძე. ჰოლანდიაში წამსვლელი 13 წყალბურთელის ვინაობა 2 ოქტომბერს გაცხადდება.

**- ჩემპიონთა ლიგისთვის გუნდის გასაძლიერებლად უცხოელთა მოწვევა ხომ არ გიცდიათ?**

- ამ ეტაპზე ზედმეტ ხარჯებს მოვერიდეთ და ფონს გასვლას საკუთარი ძალებით ვეცდებით, თანაც ეროვნული ნაკრების წევრთა გამოცდა გვსურს საერთაშორისო სარბიელზე. თვე-თვენახევარში ხომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყება. სამომავლოდ კი, გამორიცხული არ არის, გუნდის გაძლიერებაზეც ვიზრუნოთ.

**ვაჟა დანელია**

## ფოტომატიანე

**ფოტო, რომელსაც დღეს გთავაზობთ, გადაღებულია ზუსტად 50 წლის წინათ სექტემბერში, თბილისში. ის-ის იყო, ქართულ წყალბურთში უკვე ლონივრად იმკვიდრებდა ადგილს ახალი თაობა, რომლებიც სხვადასხვა გუნდებში იმაღლებდნენ ოსტატობას, ტარდებოდა საქართველოს პირველობები. რესპუბლიკაში უძლიერესის სახელი იმ წელს თბილისის „ბურევესტნიკმა" მოიპოვა. სურათზე, რომელიც „ლელოს" მაშინდელმა ერთ-ერთმა ფოტოკორესპონდენტმა ი. იუნაევმა გადაიღო, სწორედ გამარჯვებული გუნდია აღბეჭდილი. შეგირდთა შორის შუაში ზის თავის დროზე ბრწყინვალე წყალბურთელი და შემდეგ ასევე ბრწყინვალე მწვრთნელი ზურაბ ჩაჩავა.**

**ფოტო „ლელოს" არქივიდან**



# კალათბურთი

## ევროლიგა

# გაკვეთილი აკადემიკოსებს

ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ" ბულგარეთის „აკადემიკს" 87:79 სძლია.

ქართველი კალათბურთელი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამორჩეული იყო. მის ანგარიშზე 15 ქულა (10-დან 5 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო) და სამი პასია. მანუმ თანაგუნდელთა შორის მოედანზე ყველაზე მეტი დრო დაჰყო - 32 წუთი. „კანტუს" ბომბარდირი ისრაელის ნაკრებში მოთამაშე **ალექს ტიუსი** გახდა - 18 ქულა.

■ ■ ■

ახლა უფრო კონკრეტულად შეჯიბრების მნიშვნელობასა და სისტემაზე. ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, რომელსაც „კანტუს" არენა მასპინძლობს, რვა გუნდი შეიკრიბა. ისინი ერთმანეთს ოლიმპიური სისტემით ეთამაშებიან - დამარცხებული „გუდანაბადს" იკრავს და შინ მიემგზავრება. გუშინ „კანტუსა" და „აკადემიკის" გარდა კიდევ ორმა გუნდმა ითამაშა: ჩეხეთის „ნიმბურკმა" ბელგიის ჩემპიონ „ოოსტენდეს" შანსი არ დაუტოვა - 83:65. დღეს კიდევ ორი მატჩია: რუსული „უნიქსი" გერმანულ „ულმს" დაუპირისპირდება, ხოლო ფრანგული „ლე მანი" უკრაინულ „დონეცკს". ნახევარფინალური ეტაპი ხუთშაბათს გაიმართება, ხოლო ფინალი - პარასკევს. საკვალიფიკაციოდან მხოლოდ ჩემპიონი მოხვდება ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე. გარკვეულია ისიც, საკვალიფიკაციოს მომგები რომელ ჯგუფში ჩაჯდება: „პანათინაიკოსთან" (საბერძნეთი), „რეალთან" (ესპანეთი), „ხიმკისთან" (რუსეთი), „ფენერბაჰჩესთან" (თურქეთი) და „ოლიმპიასთან" (სლოვენია).

■ ■ ■

დავუბრუნდეთ „კანტუ"-„აკადემიკის" შეხვედრას. როგორც ხშირ შემთხვევაში, პირველი პერიოდი ამჯერადაც სიმკვეთრით არ გამოირჩეოდა. შეხვედრის დასაწყისში მანუჩარ მარკოიშვილმა ბურთი ჩატენა და მეოთხედი 2 ქულით დაასრულა. საინტერესოა, რომ სასტარტო ხუთეულში მოთამაშე მანუჩარი მწვრთნელმა **ანდრეა ტრინკიერიმ** მეექვსე წუთზე დასასვენებლად მოედნიდან გაიხმო, თუმცა რომ შეატყო, ქართველის გარეშე სიტუაცია არცთუ სახარბიელოდ შეტრიალდა, ორ წუთში ისევ თამაშში ჩართო.

მეორე პერიოდიდან ბულგარელებმა გამოიჩინეს ფხა - მე-12 წუთზე მასპინძლებს 33:29 გაასწრეს, რის შემდეგაც იტალიელებმა წუთშესვენება აიღეს და მარკოიშვილმაც დაიქუხა. თავად განსაჯეთ: 7 წუთში ქართველმა უკანახაზელმა 11 ქულა ჩააგდო (ერთი სამქულიანი და 4 ორიანი). სწორედ მისი დამსახურებაა „კანტუ" დიდ შესვენებაზე თავაწეული რომ გავიდა - 48:47.

მესამე პერიოდის სცენარიც პირველის მსგავსი იყო: მანუჩარმა 2 ქულა ჩააგდო. ამჯერადაც იყო ეპიზოდი, როცა მწვრთნელმა იგი სკამზე დასვა, მაგრამ დასვენებისთვის ერთი წუთი აკმარა (მეტოქე 58:54 დაწინაურდა). სწორედ მოედანზე დაბრუნების შემდეგ ჩააგდო ზემოთ ნახსენები ორი ქულა (საჯარიმოებით) და - 59:58.

შესავლიდანაც გემახსოვრებათ, რომ მარკოიშვილმა მატჩი 15 ქულით დაასრულა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხე პერიოდში ქულა არ ჩაუგდია. სამაგიეროდ გაიბრწყინა ტიუსმა, რომლის



სიზუსტეს **პიეტრო არადორის** სამქულიანი დაემატა და სირენამდე 3 წუთით ადრე კანტუ 80:71 დაწინაურდა. ამის შემდეგ მასპინძლებს თამაში თითქოს მშვიდად უნდა მიეყვანათ გამარჯვებამდე, მაგრამ **ბრენდონ ჰითმა** ზედიზედ ორი შეტევა სამქულიანებით დააგვირგვინა და „აკადემიკმა" სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა. ბოლო ორ წუთში ნერვების თამაშში შედარებით გამოცდილმა იტალიელებმა იმარჯვეს და ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს, სადაც ჩეხურ „ნიმბურკს" „დაეჭიდებიან". მატჩი თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება.

■ ■ ■

ბოლოს შეგახსენებთ, რომ შარშან ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ორ სხვადასხვა ქალაქში გაიმართა და ჯგუფში ორი გამარჯვებული მოხვდა. ერთ შეჯიბრებას ბელგიურმა შარლერუამ უმასპინძლა და ამავე სახელწოდების გუნდის ტრიუმფით აღინიშნა. სწორედ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოირგო „შარლერუას" ფორმა **თორნიკე შენგელიამ** და ბევრისთვის მოულოდნელად სასტარტო ხუთეულში დაიმკვიდრა ადგილი.

მეორე ქალაქში ყველას თურქულმა „გალათასარაიმ" აჯობა. ამ ამბიდან ერთ კვირაში კი გუნდს **ზაზა ფაჩულია** შეუერთდა, რომელმაც გასულ სეზონში NBA-ს ლოკაუტის გამო დროებით ევროპაში თამაში გადაწყვიტა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

კემპები

# კირილენკო, ბრუკსი, აბულაძე...

**ანდრეი კირილენკოს** კალათბურთის ნებისმიერი გულშემატკივარი იცნობს, **მარშონ ბრუკსი** „ბრუკლინ ნეთსში" **თორნიკე შენგელიას** თანაგუნდელია, **ნუგზარ აბულაძე** კი თბილისის „ოლიმპში" ითამაშებს. იგი მოსკოვიდან ახლახან დაბრუნდა, სადაც სწორედ ბრუკსთან და კირილენკოსთან ერთად ვარჯიშობდა - რუსეთის დედაქალაქში გაიმართა კემპი, რომელიც NBA-ს მიერ იყო ორგანიზებული.

*- კემპი ყოველწლიურია და მასში NBA-ს მოქმედი, ვეტერანი კალათბურთელები და მწვრთნელები მონაწილეობენ. წლეულს მოსკოვში იყვნენ **ალექსეი შვედი, ტიმოფეი მოზგოვი, ანდრეი კირილენკო, ბრაიან კარდინალი** და **მარშონ ბრუკსი.** მათთან ერთად ევროპის 40 ახალგაზრდა კალათბურთელი მივიწვიეს და 13-დან 16 სექტემბრამდე ვვარჯიშობდით, - მოგვითხრობს ნუგზარ აბულაძე (1995 წელსაა დაბადებული). იგი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წევრია, გასულ ზაფხულს გუნდთან ერთად B დივიზიონში თამაშობდა. სხვათა შორის, კემპის საუკეთესო კალათბურთელად ასევე მეორე დივიზიონის წარმომადგენელი **ბუზა** დასახელდა, რომელიც სექტემბერში საქართველოშიც იყო - ბოსნიის ნაკრებში ირიცხებოდა.*

როგორც ყოველთვის, მსგავს ღონისძიებებზე, მოსკოვის კემპზე კალათბურთელები გუნდებში გაანაწილეს და ჩატარდა სამდღიანი ტურნირი.

*- 3 დღეში 7 შეხვედრა გავმართე. ყველა კალათბურთელის თამაში რომ ნახეს, ორგანიზატორებმა მეორე დღეს დრაფტი მოაწყვეს. გამთამაშებელთა შორის მესამედ ამირჩიეს და **შარუნას მარჩულიონისის** გუნდში მოვხვდი. პირველი მატჩები კარგად ჩავატარე, მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დავრჩი, თუმცა შემდეგ ფეხის მცირე ტრავმა მივიღე და ბოლოს მწვრთნელმა არასაკმარისი დრო მომცა. არადა მეც ვატყობდი, რომ თამაში შემეძლო და ეს ამერიკელმა მწვრთნელმა **მელვინ ჰანტმაც** აღნიშნა.*

მელვინი „დენვერში" **ჯორჯ კარლის** პირველი ასისტენტია...

*- იგი 6 წლის განმავლობაში **ლებრონ ჯეიმსის** პირადი მწვრთნელი იყო. ძლიერი სპეციალისტია, რომელთან ურთიერთობაც დიდი გამოცდილება იყო. ჰანტი ყოველ დილას მეძახდა, მესაუბრებოდა და ერთად ვსადილობდით.*

ანდრეი კირილენკოს ქართველებისადმი პატივისცემა არაერთხელ გამოუმჟღავნებია და არც ნუგზარი დაუტოვებია უყურადღებოდ:

*- კირილენკომ როცა გაიგო ქართველი ვიყავი, ჩემდამი დიდი ყურადღება გამოიჩინა, ისიც მოსწონდა, რომ რუსულად მელაპარაკებოდა. ხშირად მიწევდა მასთან ერთი-ერთზე ვარჯიში, ბევრს მასწავლიდა...*

შესავალშიც დავწერეთ, რომ კემპზე კიდევ ერთი ნაცნობი კალათბურთელი იყო: მარშონ ბრუკსი, რომელთან ერთადაც თორნიკე შენგელიამ ივლისში ორლანდოს კემპზე ითამაშა.

*- ბრუკსმა გაცნობისთანავე მკითხა: თორნიკე შენგელიას თუ იცნობო. დადებითი პასუხი რომ მიიღო, გაუხარდა და ბევრი კარგი რამ მითხრა - შენგელია ძლიერი სპორტსმენია და დიდ კალათბურთს ითამაშებსო. თავად ბრუკსიც მაღალი დონის მოთამაშეა, ახალგაზრდების ვარჯიშის დასრულების შემდეგ დარბაზი NBA-ს ვარსკვლავებს ეთმობოდათ, საოცარი სანახავი იყო მათი წვრთნა - ბრუკსი, კირილენკო და სხვები ბურთს არ აცილებდნენ...*

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ასეთი სიზუსტის მიზეზი მარტივია - ბევრი შრომა.



ანდრეი კირილენკო და ნუგზარ აბულაძე

# ტენერიფედან ისევ თსუ-ში

ესპანეთის ქალაქ ტენერიფეზე გამართულ კემპში მონაწილეობდა **დავით ხიზანიშვილი** (1987), რომელიც კარიერას თსუ-ში აგრძელებს.

*- ათდღიანი ღონისძიება უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. მასში სხვადასხვა ქვეყნის კალათბურთელები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ესპანური გუნდებისთვის არჩევდნენ. კემპს სხვადასხვა ლიგის მწვრთნელები ესწრებოდნენ. ურიგოდ არ გამოვსულვარ, მივიღე მოწვევა EBA-ს გუნდებიდან, თუმცა ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე საქართველოში მაქვს დასამტკიცებელი. ამიტომ, გადავწყვიტე, ეს სეზონიც ეროვნულ ჩემპიონატში ჩავატარო და უცხოეთში წასვლაზე მერე ვიფიქრო, - გვითხრა დათომ, რომელიც იმედოვნებს, რომ თსუ-თან ერთად წარმატებული სეზონი ექნება.*



**დავით ხიზანიშვილი ქართული ოლ-სტარისას**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

ევრობასკეტი 2013

# ორი მასპინძელი შეიცვალა

როგორც ცნობილია, ევროპის 2013 წლის ჩემპიონატს ერთი ქვეყანა უმასპინძლებს. ცხადია, სათაურში მის ცვლილებაზე ლაპარაკი არ არის. საქმე ისაა, რომ სლოვენიაში დაგეგმილი ევრობასკეტისთვის ორ ქალაქში, ნოვო მესტოსა და პტუჟში დარბაზების მშენებლობა გეგმურად არ მიმდინარეობს, რამაც ფიბა-ევროპის ხელმძღვანელებს კატეგორიული გადაწყვეტილება მიაღებინა - ამ ქალაქებს მასპინძლის სტატუსი ჩამოერთვათ.




არადა, რა გეგმა ჰქონდათ ნოვომესტოელებს...

ალტერნატიული ვარიანტი სლოვენიის კალათბურთის ფედერაციამ უმალ წარმოადგინა - „ჩელიე არენა" (ქალაქი ჩელიე) და „ტივოლი არენა" (ლიუბლიანა).

*- ჩვენი ამოცანაა ევრობასკეტი უმაღლეს დონეზე ჩატარდეს, რისთვისაც აუცილებელია ყოველმხრივ მოწესრიგებული არენები. სწორედ ამიტომ მივიღეთ ორი დარბაზის შეცვლის გადაწყვეტილება,* - განაცხადა ფიბა-ევროპის პრეზიდენტმა **ოლაფ რაფნსონმა.**

ასე და ამგვარად, ევროპის ჩემპიონატზე პირველი ეტაპის მატჩები ჩელიეში, ლიუბლიანაში („ტივოლი"), კოპერსა და იესნიცეში გაიმართება. თითო ჯგუფის ექვს-ექვსი გუნდი თითო ქალაქში შეიკრიბება. მეორე ეტაპსა და პლეი ოფებს ლიუბლიანას „შტოჟიცე არენა" უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ „ტივოლი" **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **ვლადიმერ ბოისასთვის** კარგად ნაცნობი არენაა, სწორედ იქ თამაშობდა მათი „ოლიმპია". ბოლო წლებში ლიუბლიანაში უფრო დიდი დარბაზი „შტოჟიცე" აშენდა და ოლიმპიელები სწორედ იქ გადავიდნენ. 2010-11 წლების სეზონში ეს არენა ვლადიმერ ბოისასა და გიორგი შერმადინის საშინაო ასპარეზი იყო.

რუსთავი



ნეით ბოუი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველებმა ნიუელსი გაუშვეს

## მიზნად ევროჩელენჯი?

საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი „რუსთავი" ძალ-ღონესა და გაშვებულ კალათბურთელებს იკრებს. გასული სეზონის შემდეგ ქვემოქართლურ გუნდში დაბრუნდნენ რუსთაველები **გოგა ცეკვავა, მიხეილ ჭოჭუა** და **ქაქუცა აბაიშვილი.** გოგა შარშან „ქუთაისის" ღირსებას იცავდა, მიშა და ქაქუცა - „სამედიცინოსი".

მათ დაეხმარებიან ის კალათბურთელები, რომლებიც „რუსთავში" შარშანაც თამაშობდნენ: **ჟულიეტ ტუჯანი, ლევან ხმელიძე, ზურაბ მაჭავარიანი, რევაზ ჩაჩანიძე, გიორგი გუგავა, გაგა არაბული...**

მკითხველს ისიც მოეხსენება, რომ აგვისტოში რუსთავში ორი ამერიკელი ჩამოვიდა - გამთამაშებელი **ნეით ბოუი** და ფორვარდი **დარელ ნიუელსი.** მათ შესახებ გუნდის უფროსი **ამირან ხაჩიძე** მოგვითხრობს:

*- ნეითი „რუსთავთან" ერთად ემზადება. მისით კმაყოფილები ვართ, გუნდს კარგად შეეწყო. რაც შეეხება დარელ ნიუელსს, იგი ჩვენთან სამი კვირა ვარჯიშობდა და დაკვირვებისთვის საკმარისი დროც გვქონდა. დარელმა ჩვენი იმედები ვერ გაამართლა და გადაწყდა, რომ ახალ სეზონში იგი „რუსთავში" არ ითამაშებს.*

ბატონი ამირანი გუნდის მზადების შესახებაც გველაპარაკა. „რუსთავი" ამჟამად აზერბაიჯანშია, სადაც შეკრებას გადის.

*- მინგეჩაურში კარგი ოლიმპიური ბაზაა. სწორედ იქ ვარჯიშობს ჩვენი გუნდი. მწვრთნელები კმაყოფილები არიან. ორიოდე დღეში „რუსთავი" საქართველოში დაბრუნდება და მზადებას საკუთარ დარბაზში განაგრძობს.*

ნიუელსის შემცვლელზე ჯერ არაფერია ცნობილი, როგორც გუნდის უფროსმა გვითხრა, ოქტომბრის დასაწყისისთვის, დუდუ დადიანის მემორიალის დაწყებამდე „რუსთავი" საბოლოო სახეს მიიღებს.

### ნეითი და ქართული კულტურა

ქვემოქართლელთა ამერიკელმა გამთამაშებელმა **ნეით ბოუიმ** ინტერნეტსაიტ „ევრობასკეტზე" ახალი გუნდისა და საქართველოს შესახებ საკუთარი მოსაზრებები გამოაქვეყნა.

*„ჩემი საქმის საკეთებლად ახალ ქვეყანაში, საქართველოში ვარ. მათთვის, ვინც არ იცის მისი მდებარეობა: შეხედეთ რუკას და დაინახავთ პატარა ქვეყანას რუსეთსა და თურქეთს შორის. საქართველოს რუსეთთან დალაგებული ურთიერთობა არ აქვს, რადგან უახლეს ისტორიაში ამ ორ ქვეყანას შორის ომი მიმდინარეობდა.*

*დღეს ქართველები განახლების პროცესში არიან, აგებენ ახალ დაწესებულებებს, ალამაზებენ ღირსშესანიშნაობებს ტურისტების მისაზიდად. ახალ კულტურას ზოგმა შესაძლოა ვერ გაუგოს, მაგრამ ჩემთვის ეს პრობლემა არ იყო, რადგან არაერთი წელიწადია ამერიკიდან მოშორებით ვცხოვრობ და უამრავი ქვეყანა მინახავს. პროფესიონალი ვარ და ბევრ რამეზე, მათ შორის სამშობლოზეც მიწევს უარის თქმა ოცნების ასასრულებლად. ჩემი ოცნება კი კალათბურთია.*

*„რუსთავის" ხელმძღვანელობამ და მწვრთნელებმა თავიდანვე ხელი შემიწყვეს, რათა თავი ისე მეგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობ თბილისიდან 20 წუთის სავალზეა. რუსთავში 150 ათასი მოსახლეა და გაცილებით მყუდროა ვიდრე რამდენიმემილიონიანი კანზასსითი.*

*გუნდის ძირითადი ბირთვი ახალგაზრდა კალათბურთელები არიან, რომლებსაც რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე ეხმარება. სიმართლე გითხრათ, ახალგაზრდების კარგი თამაში ჩემთვის სიურპრიზი იყო და ვიმედოვნებ, ახალ სეზონში კარგად ვიხალისებთ.*

*საშუალება მომეცა დავსწრებოდი საქართველოსა და ბოსნიის ნაკრებთა თამაშს, რომელშიც მონაწილეობა ორმა ამერიკელმა მიიღო - მასპინძელთა მხრიდან **ჯეიკობ პულენმა,** ხოლო ბოსნიელთაგან **ზეკ რაითმა.***

*„რუსთავის" შეკრება მეზობელ აზერბაიჯანშია. ახალი ქვეყნის ხილვა ჩემთვის კიდევ უფრო საინტერესოა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვითამაშებთ თასზე (დუდუ დადიანის მემორიალზე), შემდეგ კი ქვეყნის ჩემპიონატი დაიწყება. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, რაც კლუბის უფროსობისგან მოვისმინე, ეს არის მათი მიზანი - მომავალ სეზონში ევროჩელენჯზე იასპარეზონ."*

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერები

# კვირიკაშვილი - 14, მალაღურაძე - 6

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან სამი, „მაკონი“, „როდეზი“ და „სენ ნაზერი“, დაუმარცხებლად ასპარეზობენ და თავიანთ ჯგუფებში ლიდერებს შორის არიან.**



სიმონ მაისურაძე

A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო მაჩვენებელი **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონს“ აქვს, რომელმაც ორი შეხვედრიდან ორივე მოიგო და რვა ქულით მე-3 ადგილზეა. მეორე ტურში მაკონელებმა სტუმრად მოუგეს **გიორგი სულაშვილის** „სტრასბურს“ - 25:9.

სტუმრებმა უპირატესობის მოპოვება მატჩის დასაწყისშივე შეძლეს და მე-20 წუთისთვის უკვე 12:0 იგებდნენ. „მაკონს“ ინიციატივა თამაშის ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან და მორიგი, დამსახურებული გამარჯვება მიითვალა. „სტრასბურმა“ კი ორი შეხვედრიდან ორივე წააგო და უქულოდ ბოლო ადგილზეა.

კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე მელიქიძემ შეცვალა.

ორი თამაშიდან ორივე წააგო **ელიზბარ ყუფარაძის, გიორგი ჯაშიტაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონმაც“. მეორე ტურში ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად დამარცხდა „ბობინისთან“ - 31:11. მონლუსონელებმა თამაში კარგად დაიწყეს და 27-ე წუთამდე იგებდნენ კიდეც - 8:6. თუმცა მასპინძლებმა მალევე იგდეს ხელთ სათამაშო უპირატესობა და სეზონში პირველი გამარჯვება მიითვალეს.

ყუფარაძემ და გიგაურმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს, ჯაშიტაშვილი განაცხადში არ იყო.

**გიორგი გაბელიას** „სენტ ეტიენი“ შინ ფრეს დასჯერდა „შალონთან“ - 19:19. გაბელია სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 77-ე წუთიდან ჩაერთო.

პირველი მარცხი იწვნია **ზერო პეტრიაშვილის** „ვიენმა“, ჩვენებურის გუნდმა მეორე ტურში შინ წააგო გათამაშების ლიდერ „ლილთან“ - 22:28. შეგახსენებთ, რომ „ლილის“ ერთ-ერთი მწვრთნელი საქართველოს ნაკრების ყოფილი მესამეხაზელი **დავით ბოლლაშვილია.** პეტრიაშვილი მატჩის განაცხადში არ იყო.

**A ჯგუფი**

ბურგ ან ბრესი-დიჟონი 30:6, ბობინი-მონლუსონი 31:11, ვიენი-ლილი 22:28, სტრასბური-მაკონი 9:25, სენტ ეტიენი-შალონი 19:19.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლილი - 9 ქულა, 2. ბურგ ან ბრესი - 9, 3. მაკონი - 8, 4. ბობინი - 5, 5. ვიენი - 5, 6. დიჟონი - 4, 7. სენტ ეტიენი - 3, 8. შალონი - 2, 9. მონლუსონი - 1, 10. სტრასბური - 0.

B ჯგუფის ლიდერი **დავით კაჭარავას** „როდეზია“, რომელიც ფედერალ 1 დივიზიონის დებიუტანტია. როდეზელებმა მეორე ტურში უმძიმეს ბრძოლაში შეძლეს „ლა სეინის“ დამარცხება - 22:19. თამაში, როგორც ანგარიშიდან ჩანს, თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება როდეზელებმა მატჩის ბოლო 15 წუთში მოახერხეს. კაჭარავამ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარმა“, რომელმაც შინ მოუგო „ლავორს“ - 30:12. სტუმრებმა მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს, რომელიც ფრედ - 9:9 დასრულდა. შესვენების შემდეგ შატორენარელებმა ტაქტიკა შეცვალეს და მეტოქეს თამაშის ყველა კომპონენტში აჯობეს. კუთარაშვილმა სრულად ითამაშა.

ორი შეხვედრიდან ორივე წააგო **ირაკლი ნინიძის** „რომანმა“ და **თენგიზ გელანტიას** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ობენამ“. ობენელები სტუმრად ვერას გახდნენ „ბლანიაკთან“ - 17:19. ურჯუკაშვილმა პირველი შუამარბის (№12) პოზიციაზე თავიდან ბოლომდე ითამაშა, გელანტია კი მოედანზე 55-ე წუთიდან გამოჩნდა. ალსანიშნავია, რომ ურჯუკაშვილმა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე შეხვედრა გამართა და ყველა მათგანში ფულბეკად ითამაშა. გასულ სეზონში კი ის კლუბში გარემარბად ირჯებოდა.

**ირაკლი ნინიძის** „რომანმა“ შინ წააგო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ბურგუენთან“ - 28:34. ნინიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს.

**B ჯგუფი**

რომანი-ბურგუენი 28:34, ბლანიაკი-ობენა 19:17, ვალანსი-აგდი 23:17, შატორენარი-ლავორი 30:12, როდეზი-ლა სეინი 22:19.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. როდეზი - 8 ქულა, 2. ვალანსი - 8, 3. ბურგუენი - 8, 4. შატორენარი - 5, 5. აგდი - 5, 6. ბლანიაკი - 5, 7. ლავორი - 4, 8. რომანი - 2, 9. ობენა - 1, 10. ლა სეინი - 1.

C ჯგუფში დაუმარცხებელი **ბაჩუკი გუჯარაიძისა** და **შოთა ცხოვრებაშვილის** „სენ ნაზერია“, რომელსაც 8 ქულა დაუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზეა. სენნაზერელებმა სტუმრად მოუგეს „ლანჟონის“ - 31:17. გუჯარაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ცხოვრებაშვილი განაცხადში არ იყო.

პირველი გამარჯვება მოიპოვა **თედო ზიბზიბაძის** „პერიგომ“, რომელსაც ახლა ხუთი ქულა აქვს და მე-3 ადგილზეა. პერიგოელებმა შინ დაამარცხეს „სენ ჟან დანჟელი“ - 29:9. ალსანიშნავია, რომ სტუმართა გუნდს 9 ქულა ჩვენთვის კარგად ნაცნობმა 35 წლის რუმინელმა ცხრა ნომერმა **პეტრე მიტუმ** მოუტანა. ზიბზიბაძემ სრულად ითამაშა.

პირველი მარცხი იწვნია **ნიკოლოზ მალალდაძის** „მარმანდმა“ სტუმრად „ვანთან“ - 11:35. მალალდაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 64-ე წუთზე შეცვალეს.

**C ჯგუფი**

ვანი-მარმანდი 35:11, პერიგო-სენ ჟან დანჟელი 29:9, ნუარი-ტიროსი 11:41, ლანჟონი-სენ ნაზერი 17:31, სენ ჟან დე ლუზი-აგეტმო 20:15.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტიროსი - 10 ქულა, 2. სენ ნაზერი - 8, 3. პერიგო - 5, 4. ვანი - 5, 5. სენ ჟან დე ლუზი - 5, 6. სენ ჟან დანჟელი - 5, 7. ლანჟონი - 4, 8. მარმანდი - 4, 9. აგეტმო - 2, 10. ნუარი - 1.

მეორე ტურში D ჯგუფში მოასპარეზე ორივე „ქართულმა გუნდმა“ წააგო. **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენი“ სტუმრად დამარცხდა „ლანამეზანთან“ - 19:33. კვირიკაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა, ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (14 ქულა), მჭედლიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 73-ე წუთზე შეცვალეს.

**ლაშა მალაღურაძისა** და **სიმონ მაისურაძის** „ბაგნერემ“ ასევე სტუმრად წააგო ოლორონთან - 6:15. ექვსივე ქულა სტუმრებს მალაღურაძემ მოუტანა, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, მაისურაძე 51-ე წუთზე შეცვალეს.

**D ჯგუფი**

ლიმოჟი-მონტობანი 15:22, ლურდი-კასტანე 21:16, ოლორონი-ბაგნერე 15:6, ლანამეზანი-სენ ჟუნიენი 33:19, სენ მედარი-ნევერი 3:50.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მონტობანი - 9 ქულა, 2. ოლორონი - 8, 3. ნევერი - 6, 4. ლანამეზანი - 6, 5. ბაგნერე - 4, 6. სენ ჟუნიენი - 4, 7. ლურდი - 4, 8. სენ მედარი - 4, 9. ლიმოჟი - 2, 10. კასტანე - 1.



თედო ზიბზიბაძე (მარცხნივ)

● საქართველოს ჩემპიონატი



ბურთით ვაჟა ხუციშვილი

# არმაზის ზეობა გრძელდება

**საქართველოს ჩემპიონატში ოთხი ტური მიიწურა. ყველასთვის მოულოდნელად წლეულს შესანიშნავად ასპარეზობს თბილისის „არმაზი“, რომელიც დაუმარცხებლად განაგრძობს თამაშს, თუმცა სატურნირო ცხრილის სათავეში მაინც „ლელოა“, რადგან ოთხიდან სამ მოგებულ მატჩში ლელოელებმა თითო პრემიალური ქულა ჩაიწერეს.**

„არმაზი“ ის გუნდია, რომელსაც ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში გართულებული პოლიტიკური ვითარება უშუალოდ შეეხო. თუმცა, ამას არმაზელებისთვის ხელი არ შეუშლია თამაში თამაშზე მოეგოთ. მეტიც, თითქოს ხელოვნურად შექმნილმა პრობლემებმა ეს გუნდი კიდევ უფრო შეადუღაბა.

პირველი სამი ტურის მატჩები არმაზელებმა თბილისში გამართეს და სამივე მოიგეს. განვლილ მეოთხე ტურში უნდა გამოჩენილიყო, შემთხვევითია თუ არა „არმაზის“ ეს ზეობა, რადგან პირველად უწევდა გასვლითი მატჩის გამართვა. მასპინძელი გუნდი „ბათუმი“ კი წლეულს საგრძნობლად მოღონიერდა და ეროვნულ ჩემპიონატში ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. თუნდაც ის რად ღირს, რომ აქ საქართველოს ნაკრების ცხრა ნომერი **გიორგი ბეგაძე** და „ბორჯღალოსანთა“ ყოფილი შუამარბი **ირაკლი გიორგაძე** თამაშობს. „არმაზმა“ ეს მატჩიც მოიგო 18:13 და თავისი ამბიციების საფუძვლიანობა დაამტკიცა.

მომდევნო ტურში „არმაზს“ კიდევ უფრო რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს, მისი მეტოქე ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმიაა“, რომელმაც მე-4 ტურში პირველი მარცხი აგემა გათამაშების ლიდერ თბილისის „ლელოს“. ეს შეხვედრა მიმდინარე გათამაშებაში საუკეთესო იყო, რაც გასაკვირი არაა, რადგან ორივე გუნდში უხვად არიან როგორც ეროვნულის, ისე საქართველოს A ნაკრების კანდიდატები.

თამაში საყურებლად კარგი კი იყო, მაგრამ ისიც ალსანიშნავია, რომ მორაგბეები ხშირად ცდებოდნენ, რასაც მხოლოდ ერთი ახსნა აქვს. შეხვედრა ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი იყო და ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლეს. ბოლოს „არმიამ“ უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით მაინც მოიგო. არმიელებმა, რომლებსაც სხვებთან შედარებით უკეთესი ფინანსური პირობები აქვთ, სეზონის წინ სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრება გაიარეს, „ლელომ“ კი მზადება ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირით ადრე დაიწყო.

მე-4 ტურში ყურადღების ცენტრში იყო დაპირისპირება ქუთაისში, სადაც „აია“ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს თბილისის „ლოკომოტივს“ მასპინძლობდა. რკინიგზელებმა წლეულს უჩვეულოდ წარუმატებლად დაიწყეს სეზონი, თუმცა იოლად არავის არაფერს უთმობენ და ქუთათურებსაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მეტიც, მატჩის ბოლო წუთებზე „აიას“ დამარცხების შანსიც ჰქონდათ, მაგრამ...

ქუთათურებმა „ლოკომოტივისგან“ განსხვავებით სტარტი შესანიშნავად აიღეს, მეორე ტურში სტუმრად ჩემპიონი „არმიაც“ დაამარცხეს და ნათელი გახდა, რომ გუნდი ისევ რეალურად იბრძოლებდა ჩემპიონობისთვის. თუმცა მესამე ტურში „აია“ სენსაციურად დამარცხდა გათამაშების დებიუტანტ თბილისის „ილიაუნი ჯიქთან“, ამჯერად კი შინ რკინიგზელებთან ფრეს დასჯერდა.

„ჯიქებმა“ კი დაამტკიცეს, რომ მათი ლიდერთა მარაქაში გარევა სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. **გიორგი ამირხანაშვილის** სამწყსომ მე-4 ტურში დამაჯერებლად სძლია „აკადემიას“, რომელსაც მიმდინარე სეზონში საკადრო პრობლემები შეექმნა და ახლა სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფება (1 ქულა).

„ჯიქებს“ მომდევნო ტურში მეტოქედ მრისხანე „ლოკომოტივი“ ერგო და საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ამ გუნდის ახალგაზრდა მორაგბეები კიდევ ერთხელ გამოიჩინონ გმირობა.

**V ტური**

ლოკომოტივი-ილიაუნი ჯიქი, ლელო-აია, არმაზი-არმია, ხარები-ბათუმი, ყოჩები-აკადემია.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | +70 | 16 |
| 2. არმაზი | 4 | 4 | 0 | 0 | +40 | 16 |
| 3. არმია | 4 | 3 | 0 | 1 | +28 | 14 |
| 4. ჯიქები | 4 | 3 | 0 | 1 | +27 | 13 |
| 5. აია | 4 | 2 | 1 | 1 | +5 | 11 |
| 6. ხარები | 4 | 2 | 0 | 2 | -11 | 9 |
| 7. ლოკომოტივი | 4 | 1 | 1 | 2 | +7 | 8 |
| 8. ბათუმი | 4 | 1 | 0 | 3 | -39 | 5 |
| 9. ყოჩები | 4 | 0 | 0 | 4 | -48 | 2 |
| 10. აკადემია | 4 | 0 | 0 | 4 | -79 | 1 |

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ჩოგბურთი. ტურნირები



აზარენკამ დამაჯერებლად დაიწყო

# ფავორიტების რთული დღე

გუშინ, ტოკიოს უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე მეორე წრე დაიწყო და პირველი მატჩები ჩაატარეს ფავორიტებმა. როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, იაპონიის დედაქალაქში ყველა უძლიერესმა მოიყარა თავი. გამონაკლისი მხოლოდ **სერენა უილიამსი** გახდა.

ცოტა ხნით მოუწია ტოკიოში ყოფნამ მსოფლიოს მეხუთე ჩოგანს **პეტრა კვიტოვას**. მან პირველივე მატჩი წააგო, თანაც ორ სეტში დამარცხდა სეხნია **პეტრა მარტიჩთან**. ხორვატმა პირველ წრეში საწყისი პარტია „მშრალი" ანგარიშით დათმო **ანდრეა პეტკოვიჩთან**, მაგრამ თამაშში გარდატეხა შეიტანა. მარტიჩი მადაზე მოვიდა და გუშინ კვიტოვაც გამოთიშა ბრძოლას. მართალია, ჩეხი 72 პროცენტის სიზუსტით აწვდიდა პირველ ბურთს, მაგრამ ამის დახმარებით მხოლოდ ქულების 48 პროცენტი აიღო, რითაც მარტიჩს ხუთი ბრეიკის საშუალება მისცა.

კინაღამ კვიტოვას ბედი გაიზიარა **მარია შარაპოვამ**. მეორე წრეში ყველა ელოდა რუსისა და გერმანელი **საბინ ლისიცკის** შეხვედრას, მაგრამ ამ უკანასკნელმა პირველ წრეში **ჰიზერ უოტსონთან** წააგო. მაგრამ შარაპოვასთვის ეს შვება არ ყოფილა და მას ძალიან გაუჭირდა ბრიტანელის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელები შარშან, ამერიკის ღიაზე შეხვდნენ ერთმანეთს და მარიამ დიდი გაჭირვებით მოიგო სამ სეტში.

ასე იყო ამჯერადაც. პირველ პარტიაში შარაპოვამ 6:5-ზე სეტზე ვერ ჩააწოდა, ტაი-ბრეიკზე ორი სეტბოლი გაანიავა და მე-13 გეიმი 7:9 წააგო. მეორეში ნაკლები ბრძოლა იყო. შარაპოვა თავიდანვე გავიდა წინ და მართალია, უოტსონმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა (3:4), რუსმა ზედიზედ ორი გეიმის აღებით სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა. მესამეშიც ინიციატივა შარაპოვას მხარეს იყო, მაგრამ ბრიტანელი გაქცევის საშუალებას არ აძლევდა მეტოქეს და მხოლოდ მაშინ დანებდა, როცა 4:4-ზე მარიამ ორი გეიმის აღება და ურთულესი გამარჯვების მოპოვება შეძლო.

გასულ კვირას, სეულის ტურნირის მოგების შემდეგ, **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ორი წრე გაიარა ტოკიოში. გუშინ მან 7:6, 6:1 მოუგო **დანიელა ჰანტუხოვას** ისე, რომ არც ერთი საკუთარი გეიმი არ წაუგია.

რთული მეტოქე ჰყავდა პირველ მატჩში **აგნიეშკა რადვანსკას** - მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ელენა იანკოვიჩი**. შეხვედრის პირველი საათი აგნიეშკას კარნახით მიდიოდა. მან დამაჯერებლად მოიგო პირველი სეტი - 6:2 და მეორეში 3:0 დაწინაურდა. სწორედ აქედან დაიწყო პოლონელის პრობლემები. იანკოვიჩმა მიზანი გაასწორა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სერბმა სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო, მაგრამ აინერვიულდა და რადვანსკას ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა - 5:5. სეტის ბოლო ნაწილი თანაბარ რბოლაში მიდიოდა, მაგრამ მნიშვნელოვან მომენტებში აგნიეშკა ოდნავ ზუსტი იყო - 7:5. მესამე წრეში აგნიეშკა **ჯეიმსი ჰემპტონს** შეხვდება, რომელმაც სენსაციურად გამოთიშა ბრძოლას **კაია კანეპი**. სხვათა შორის, კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი შემოგვთავაზა აგნიეშკას უმცროსმა დამ - **ურსულამ**, რომელმაც მეორე პოლონურ-სერბულ დუელში **ანა ივანოვიჩს** აჯობა.

დამაჯერებელი სტარტი აიღო **ვიქტორია აზარენკამ**, რომელმაც ტამირა პაჩეკი გაანადგურა - 6:1, 6:1. ავსტრიელს თავიდანვე არ წაუვიდა თამაში და საერთო ჯამში 37 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც სამჯერ მეტი იყო ბელარუსის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შემდეგ რაუნდში აზარენკა იტალიელ **რობერტა ვინჩის** შეხვდება.

■ ■ ■

როგორც გითხარით, ტოკიოში სერენა უილიამსი არ თამაშობს და მილანში ისვენებს. ამერიკელმა განაცხადა, რომ იქ მას მუდმივად დასდევს ფოტოკორესპონდენტი.

*"ძვირფასო ფოტოგრაფო! გთხოვთ, შეწყვიტოთ მთელ ქალაქში ჩემი დევნა! თქვენი ფოტოები არაპატიოსანი გზით არის მოპოვებული!"* – დაწერა თავის "ტვიტერზე" უილიამსმა.

ჰოკეი

# ზამთრის კლასიკას აუქმებენ

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ უკვე ნოემბერში შეიძლება გააუქმოს "ზამთრის კლასიკა" – ტრადიციული საახალწლო მატჩი ღია ცის ქვეშ.

*"გარი ბეტმენმა მმართველთა საბჭოს განუცხადა, რომ ნოემბერში აპირებს "ზამთრის კლასიკის" გაუქმებას, რადგან არ სურს მოთამაშეებმა ეს მატჩი მოლაპარაკებების დროს ერთგვარ კოზირად გამოიყენონ"*, - ამბობს ერთ-ერთი ინკოგნიტო წყარო, რომელიც ლიგას წარმოადგენს. *"ეს ერთგვარი "პანიკის ტაქტიკაა". გამოჩნდა, რომ NHL არ აპირებს უახლოეს ხანში მოლაპარაკებების წარმოებას"*, - ამბობს მეორე წყარო მოთამაშეთა პროფკავშირიდან.

შეგახსენებთ, რომ "ზამთრის კლასიკა" მიიჩნეოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზღვრად ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, რადგან ეს მატჩი, ტრადიციულად, უდიდეს ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში. და ამ შეხვედრის გაუქმებამ, შესაძლოა, სერიოზულად დააზარალოს ლიგის საქმიანი რეპუტაცია.

ახალ სეზონში "ზამთრის კლასიკა" 2013 წლის პირველ იანვარს არის დაგეგმილი. ერთმანეთს უნდა შეხვდნენ "დეტროიტი" და "ტორონტო".

ფორმულა 1

# საგულისხმო სტატისტიკა

**სინგაპურის გრანპრის შემდეგ, Forix-ის ცნობილმა საენციკლოპედიო ბაზამ ახალი სტატისტიკური მონაცემები მოგვაწოდა.**

## ალონსოს ლიდერობა

- სეზონის დასრულებამდე ექვსი რბოლით ადრე, **ფერნანდო ალონსოს** 29-ქულიანი უპირატესობა აქვს **სებასტიან ფეტელთან**, რომელიც მეორე ადგილს იკავებს გენერალურ კლასიფიკაციაში. ესპანელი რთულ სიტუაციაში და შედარებით ნაკლებად კონკურენტუნარიანი ბოლიდით სტაბილურად აგრძელებს კარგი შედეგების ჩვენებას და ეს მან სინგაპურში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა კარიერაში 81-ედ ავიდა პოდიუმზე.

- ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ ესპანელმა პოდიუმს **ჰემილტონისა** და **მალდონადოს** გავარდნის გამო მიაღწია, ხოლო მონცაში სამეულში იმის წყალობით მოხვდა, რომ ბატონი გამოეთიშა ბრძოლას. ალონსოს არაერთხელ უთქვამს, რომ "ფერარიმ" უნდა მოუმატოს იმისთვის, რომ სეზონი ტიტულით დაასრულოს და სტატისტიკაც ამას ადასტურებს - გერმანიაში გამარჯვების შემდეგ, ფერნანდო ერთი წრე არ ყოფილა ლიდერი.

- ამასთან, ალონსო კონკრეტული გრანპრის დროს სტაბილურად ამარცხებს საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფ კონკურენტს– ასეთი რამ განვლილი 14 რბოლიდან ცხრა შემთხვევაში მოხდა.

## უილბლო გამარჯვებულები

- **ლუის ჰემილტონი** წლევანდელი სეზონის უცნაური ტენდენციის მორიგი მსხვერპლი გახდა - პილოტი, რომელიც პირველი მიდის ფინიშთან, მომდევნო გრანპრიზე წარუმატებლად გამოდის. 2012 წელს ჯერ არავის მოუგია ზედიზედ ორი ეტაპი, უფრო მეტიც, ექვს შემთხვევაში წინა რბოლის ტრიუმფატორი შემდეგ გრანპრიზე საერთოდ ვერ მიდიოდა ფინიშთან.

- ამ მხრივ, ყველაზე მეტად არ უმართლებდა ჰემილტონს, რომელიც სამი ეტაპის მოგების შემდეგ, მომდევნო რბოლაში ბრძოლას ეთიშებოდა.

## კვალიფიკაცია

- კარიერაში 24-ე პოულის მოგებით, ლუის ჰემილტონი ყველა დროის სიაში მეათე ადგილზე მყოფ **ნელსონ პიკეს** გაუთანაბრდა.

- სინგაპურში "მაკლარენის" მრბოლელებმა ზედიზედ მეოთხე პოული მოიპოვეს – ეს 1999 წლის შემდეგ პირველად მოხდა, როცა **მიკა ჰაკინენმა** ზედიზედ ექვსი რბოლა დაიწყო პირველი პოზიციიდან.

## რბოლა

- **სებასტიან ფეტელმა** შეწყვიტა ცხრარბოლიანი მოუგებელი სერია, რომელიც აპრილში გამართული ბაჰრეინის გრანპრიდან დაიწყო. ეს მის კარიერაში ყველაზე ხანგრძლივი წარუმატებელი სერიაა.

- გერმანელმა კარიერაში 23-ე გამარჯვება მოიპოვა და გაუთანაბრდა ნელსონ პიკეს, რომელიც ყველა დროის შესაბამის რეიტინგში მეათე ადგილზეა.

- ფეტელმა მხოლოდ მეორედ მოიგო კარიერაში რბოლა, როცა პოულის მფლობელი არ იყო. პირველი ასეთი გამარჯვება 2010 წელს, მალაიზიაში შედგა და მაშინაც გერმანელმა მესამე პოზიციიდან აიღო სტარტი.

- **ჯენსონ ბატონი** კარიერაში 48-ედ ავიდა პოდიუმზე და ყველა დროის რეიტინგში ლუის ჰემილტონსა და **გერჰარდ ბერგერს** გაუთანაბრდა.

- მეოთხე ადგილზე გასულმა **პოლ დი რესტამ** კარიერაში საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. თავისი წინა საუკეთესო შედეგი – მეექვსე ადგილი მან ასევე სინგაპურში მოიპოვა (ერთი წლის წინ.

- პირველად კარიერაში **ნიკო ჰიულკენბერგმა** საუკეთესო წრე დააფიქსირა და ასეთი რამ "ფორს ინდიას" ისტორიაში მეორედ მოხდა. პირველი 2009 წელს, იტალიის გრანპრიზე **ადრიან სუტილს** ჰქონდა. წელს, შვიდი გუნდის ცხრა პილოტს ჰქონდა საუკეთესო წრე და მათ შორის არ არიან "ფერარის" წევრები.

- **მიხაელ შუმახერმა** სამჯერ მიიღო მონაწილეობა სინგაპურის გრანპრიში და კვალიფიკაციაში ყოველთვის ათეულში ხვდებოდა, მაგრამ სამივე შემთხვევაში, რბოლის დროს, ლეგენდარული გერმანელი ავარიაში ხვდებოდა.




## პრესა: ფერარი მასას იტოვებს

შვეიცარიული გამოცემა "ბლიკის" ინფორმაციით, "ფერარიმ" გადაწყვიტა 2013 წლისთვის **ფელიპე მასასთან** კონტრაქტის გაგრძელება.

წლევანდელ სეზონში წარუმატებელი გამოსვლისა და "ფერარიდან" გაშვების შესახებ აგორებული ჭორების მიუხედავად, შვეიცარიელ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ მომავალ წელს ალონსოს მეწყვილე კვლავ ბრაზილიელი პილოტი იქნება.

## როსბერგი: შუმიზე მაღლა უნდა ვიდგე

გარკვეული უთანხმოება შეინიშნება "მერსედესის" რიგებში. ამ გუნდის წევრს **ნიკო როსბერგს** არ მოსწონს სიტუაცია, როცა ის თანაგუნდელ **მიხაელ შუმახერზე** უკეთეს შედეგებს აჩვენებს, მაგრამ მისი სარბოლო ნომერი უფრო დაბალია, ვიდრე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონისა.

"მერსედესის" ფორმულა 1-ში დაბრუნების შემდეგ, გუნდის შემადგენლობა სამი წელია უცვლელი რჩება და სამივე სეზონში მიხაელ შუმახერი არადამაჯერებელი გამოსვლის მიუხედავად, უფრო მაღალ სარბოლო ნომერს იღებდა, ვიდრე მისი მეწყვილე. ამ წლებში როსბერგი ყოველთვის უსწრებდა გენერალურ კლასიფიკაციაში თანაგუნდელს, გარდა ამისა, ერთადერთი მოგება გუნდს სწორედ მან მოუტანა.

*"იმ შედეგების გათვალისწინებით, რომელსაც მე ვაჩვენებ, უფრო მაღალი სარბოლო ნომერი მეკუთვნის. შემდეგ წელს, გუნდის ხელმძღვანელობა გადახედავს ამ მომენტს"*, - განაცხადა როსბერგმა.

## გაზრდილი ხელფასი ჰემილტონს

"მაკლარენის" ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტის გაუმჯობესებული პირობები შესთავაზა **ლუის ჰემილტონს**. თუ ბრიტანელი პილოტი ამ წინადადებას დათანხმდება, მისი წლიური ხელფასი 10 მილიონი ფუნტი იქნება.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე კონტრაქტის თანახმად, რომელსაც ამ სეზონის შემდეგ გასდის ვადა, ჰემილტონი წელიწადში 15 მილიონ ფუნტს იღებს. ცოტა ხნის წინ, "მაკლარენი" ლუისს სეზონში 8 მილიონს სთავაზობდა და ახლა, ეს თანხა ორი მილიონით გაზარდა.

## გადაადგილებები აუთსაიდერებში

რუსული საჯინიბოს – "მარუსიას" ახალი სარეზერვო პილოტი **მაქს ჩილტონი** მომავალ წელს აპირებს ფორმულა 1-ში დებიუტს. როგორც Auto Motor und Sport იუწყება, ის "მარუსიაში" **შარლ პიკს** შეცვლის. ეს უკანასკნელი "კატერჰემში" გადავა **ვიტალი პეტროვის** ადგილას, რომელსაც სპონსორებთან შეექმნა პრობლემები.

გარდა ამისა, გამოცემა იტყობინება, რომ "კატერჰემს" სურს თავის რიგებში შეინარჩუნოს **ჰეიკი კოვალაინენი**, მაგრამ თუ ამის გაკეთება არ მოხერხდა, მის ადგილზე შეიძლება მიიწვიონ "რედ ბულის" სარეზერვო პილოტი **სებასტიან ბუემი**.

თავის მხრივ, "ტორო როსოში" ბუემის ყოფილი მეწყვილე **ხაიმე ალგერსუარი**, შესაძლოა, "ზაუბერში" გადავიდეს, სადაც თავის სპონსორებს მიიყვანს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA 2012-13 წელი

# სეზონის წინ: გოლდენ სტეიტ უორიორზი

**გოლდენ სტეიტ უორიორზი 2011-12**

**თავდასხმა:** საშუალოდ 103,1 ქულა - მე-11 ლიგაში

**დაცვა:** საშუალოდ 106 ქულა – 27-ე ლიგაში

**წინა ხაზი**

**ენდრიუ ბოგუტი** კარგია მოხსენებზე და საერთო ჯამში, კარგად იცავს თავს, რაც "მეომრებს" ასე ძალიან სჭირდებათ. ის საუკეთესო პარტნიორი იქნება **დევიდ ლისთვის. ჰარისონ ბარნსი,** სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს მეორე ფორვარდის პოზიციაზე.

**შეფასება:** 4

**უკანა ხაზი**

ახალგაზრდა მცველების წყვილი კრიტიკოსების განსაკუთრებული ყურადღებისა და ზეწოლის ქვეშ იქნებიან. ლიგაში პირველი შესანიშნავი სეზონის შემდეგ, **კლეი ტომპსონისგან** მომავალ პროგრესს ელიან, **სტივენ კარიმ** კი უნდა სცადოს მრავალრიცხოვანი ტრავმებისგან თავის დაღწევა, რაც მას მთელი სეზონის განმავლობაში არ აძლევდა სრული ძალით თამაშის საშუალებას.

**შეფასება:** 4 მინუსით

**დაცვა**

დაცვაში მთელი დატვირთვა ბოგუტს დააწვება მხრებზე, რომელსაც ძალიან აქებენ მრავალფეროვანი შეტევების გამო. არადა, აღიარებული ფაქტია - ის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველია ლიგის ცენტრებს შორის.

**შეფასება:** 3 მინუსით

**სათადარიგოთა სკამი**

გუნდის მენეჯმენტმა შესანიშნავად იმუშავა სათადარიგოთა სკამის გასაძლიერებლად. **ჯარეტ ჯეკი** იქნება სარეზერვო გამთამაშებელი. **ბრენდონ რაში**, რომელსაც კონტრაქტი გაუგრძელეს, შემტევ მცველად ან მეორე ფორვარდად ითამაშებს **დრეიმონდ გრინთან** ერთად, **ფესტუს ეზელი** კი ცენტრის პოზიციას დაიკავებს.

**შეფასება:** 4

**მწვრთნელი**

**მარკ ჯექსონს** უნდა გაუგონ და აპატიონ შარშანდელი წარუმატებელი სეზონი: უამრავი ტრავმა, ნორმალური ცენტრის დეფიციტი და **მონტა ელისის** წასვლა – ამან გატეხა გუნდის მებრძოლი სული. ამასთან, ეს იყო მისი პირველი სეზონი მთავარი მწვრთნელის რანგში. 2012-13 წლებში ის ვალდებულია გააუმჯობესოს შედეგები, თუ მას სურს შეინარჩუნოს თავისი სამუშაო ადგილი.

**შეფასება:** 3 პლუსით

**საბოლოო შეფასება**

იმ ცერემონიის დროს, როცა "გოლდენ სტეიტის" საშინაო არენის თაღზე **კრის მულინის** 17-ნომრიანი მაისურა დაკიდეს, გუნდის მფლობელს მაყურებელმა უსტვინა. გულშემატკივართა მოთმინება უსაზღვრო არ არის.

ოპტიმისტური მოლოდინი იმაში მდგომარეობს, რომ ახლა გუნდში არიან ჯანმრთელი ენდრიუ ბოგუტი და სტივენ კარი. ისინი სრულ მზადყოფნაში ხვდებიან სანვრთნელ შეკრებებს. ასევე დიდი იმედი აქვთ ახალბედა **ჰარისონ ბარნსის**, რომელიც დრაფტზე მეშვიდე ნომრად აირჩიეს. ობიექტურად, შემადგენლობა შარშანდელზე ძლიერია. და თუ გუნდი პლეი ოფში გასვლას ვერ მოახერხებს, ეს, რა თქმა უნდა, სერიოზულ ჩავარდნად ჩაითვლება.

**საერთო შეფასება:** 3 პლუსით



ენდრიუ ბოგუტი (12), სტივენ კარი (30), დევიდ ლი (10), კლეი ტომპსონი (11)

### დევისი ნიქსში სკაუტინგს შეითავსებს

"ნიუ იორკ ნიქსის" გამთამაშებელი **ბაირონ დევისი** 2012-13 წლების სეზონს კლუბის სტრუქტურის ერთ-ერთი წევრის რანგში გაატარებს. კალათბურთელის მოვალეობებში იქნება სკაუტინგი, გუნდის საშინაო თამაშებზე გასართობი პროგრამების მოწყობა და ურთიერთობა კლუბის საქველმოქმედო ფონდთან.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის მაისში დევისმა მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც დაახლოებით ერთი წელი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

### მინესოტას ახალი შენაძენი

ფორვარდმა **ლუის ამუდსონმა** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "მინესოტასთან". გარიგების თანხა არ სახელდება. გასული სეზონი კალათბურთელმა "ინდიანაში" გაატარა, სადაც 60 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 3.5 ქულა და 3.7 მოხსნა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევრო 2013**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-მოლდოვა | 1:0 |
| სერბეთი-სომხეთი | 5:0 |
| ჩეხეთი-რუსეთი | 3:0 |
| დანია-ჩერნოგორია | 3:0 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბრენტრი-დარტფორდი | 0:2 |
| კემბრიჯი-კიდერმინსტერი | 1:3 |
| ებსფლიტი-უოკინგი | 2:2 |
| გრიმსბი-გეიტშიდი | 3:0 |
| ჰერეფორდი-ფორესტ გრინი | 1:2 |
| ჰაიდი-ალფრეტონი | გადაიდო |
| ლინკოლნი-ნანიტონი | 2:1 |
| მაკლსფილდი-მენსფილდი | გადაიდო |
| საუთპორტი-სტოკპორტი | 1:1 |
| ტამუორტი-ლუტონი | 1:2 |
| ტელფორდი-ნიუპორტი | 2:4 |
| რექსჰემი-ბაროუ | 3:0 |

**ინგლისი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბრედფორდი-ბარტონი | 2:2 დ.დ. 3:2 |
| ჩელსი-ვულვზი | 6:0 |
| ქროული-სუონსი | 2:3 |
| ლიდსი-ევერტონი | 2:1 |
| სიტი-ასტონ ვილა | 2:2 დ.დ. 2:4 |
| მილტონი-სანდერლენდი | 0:2 |
| პრესტონი-მიდლსბრო | 1:3 |
| საუთჰემპტონი-უენსდი | 2:0 |
| სუინდონი-ბარნლი | 3:1 |
| ვესტ ჰემი-უიგანი | 1:4 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ფიორენტინა-იუვენტუსი | 0:0 |

**სერია B**

| | |
|---|---|
| ნოვარა-სპეცია | 1:0 |
| ასკოლი-ჩეზენა | 1:0 |
| ბარი-პრო ვერჩელი | 2:1 |
| ბრეშა-მოდენა | 2:1 |
| გროსეტო-იუვე სტაბია | 2:2 |
| ლივორნო-ჩიტადელა | 2:2 |
| პადოვა-ემპოლი | 2:0 |
| რეჯინა-ლანჩანო | 0:1 |
| სასუოლო-ვიჩენცა | 0:0 |
| ტერნანა-კროტონე | 1:0 |
| ვარეზე-ვერონა | 0:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ვოლფსბურგი | 3:0 |
| აინტრახტი-დორტმუნდი | 3:3 |
| ფიურტი-ფორტუნა | 0:2 |
| შალკე-მაინცი | 3:0 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კიოლნი-ფრანკფურტი | 2:1 |
| კოტბუსი-პადერბორნი | 2:1 |
| სანდჰაუზენი-რეგენსბურგი | 1:2 |
| სტ. პაული-აალენი | 0:1 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ალემანია-მუნსტერი | 1:2 |
| არმინია-ხემნიცი | 0:0 |
| დორტმუნდი A-ბაბელსბერგი | 0:0 |
| ჰალეშერი-ვეენი | 1:1 |
| შტუტგარტი A-ჰანზა | 0:2 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი A-ვიქტორია | 2:2 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ჰულსი-ფელბერტი | 2:0 |
| ბერგიში-ფერლი | 0:1 |
| ვიქტორია (კ)-ბოხუმი A | 2:3 |
| ვიდენბრუკი-ვუპერტალი | 4:0 |
| ფორტუნა A-კიოლნი A | 2:3 |
| კრაი-ზიგენი | 0:3 |

**რეგიონალლიგა (ჩ-ა)**

| | |
|---|---|
| ჰერტა A-მოისელვიცი | 0:1 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| ვორმატია-ზონენჰოფი | 1:1 |

**საფრანგეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ოსერი-ანჟერსი | 2:0 |
| ბასტია-მეცი | 3:0 |
| რენი-ნანსი | 3:2 |

**ჰოლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| აფკ-დენ ბოში | 0:0 დ.დ. 0:1 |
| შევენინგენი-ტოპ ოსი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| იგლზი-ვენლო | 2:2 პენ. 4:3 |
| ადო-ალმერი | 4:1 |
| ჰოლანდია-ფორტუნა | 1:0 |
| კუიიკი-ეინდჰოვენი | 2:2 დ.დ. 2:4 |
| ლისე-ვაალვიკი | 0:5 |
| სნეეკი-ექსელსიორი | 1:1 პენ. 5:4 |
| სპარტა (ნ)-გრააფსხაპი | 2:3 |
| სპარტა (რ)-აპელდოორნი | 3:2 |
| სტაპჰორსტი-მონტფოორტი | 2:0 |
| ვოოგ-ემენი | 0:0 პენ. 4:5 |
| როდა-ცვოლე | 0:0 დ.დ. 0:1 |

**ბელგიის თასი**

| | |
|---|---|
| მუსკრონი-სტანდარდი | 1:1 დ.დ. 2:3 |

**შოტლანდია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| სელტიკი-რეითი | 4:1 |
| ჰართსი-ლივინგსტონი | 3:1 |
| ქუინი-დანდი იუნ | 0:1 |
| სტ. ჯონსტონი-ქუინზ პარკი | 4:1 |
| სტ. მირენი-ჰემილტონი | 1:0 |
| სტენჰაუზმური-ინვერნესი | 1:1 პენ. 5:6 |

**დანიის თასი**

| | |
|---|---|
| სვენბოლე-ნორდსილანდი | 1:1 დ.დ. 1:3 |
| ვანლოსი-სოლეროდი | 1:0 |
| ორჰუსი-აგფ ორჰუსი | 0:3 |
| ნაესტვედი-რანდერსი | 1:2 |

**ავსტრიის თასი**

| | |
|---|---|
| ვინერი-კაპფენბერგი | 2:2 პენ. 4:1 |
| ჰარდი-ალტახი | 0:3 |
| შტეგერსბახი-ზალცბურგი | 1:3 |
| პაშინგი-ავსტრია (ლ) | 1:1 დ.დ. 3:2 |
| ლინცი-გრიოდიგი | 2:0 |
| შვეხატი-შტურმი | 0:5 |
| ავსტრია (კ)-ადმირა | 0:0 დ.დ. 2:0 |
| სოლენაუ-ტიროლი | 1:1 დ.დ. 1:5 |
| სტ. იოჰანი-ლუშტენაუ | 0:3 |
| ვილახი-ვინერი | 3:1 |
| დორნბირნი-ავსტრია (ვ) | 2:3 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ბელედიესფორი-ბეშიქთაში | 1:2 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| სტ. პატსი-შემროკი | 2:1 |

**უელსი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბალა-ბანგორი | გადაიდო |
| ბრინტრიონი-კარმარტენი | გადაიდო |
| ჰავერფორდვესტი-ლანელი | გადაიდო |
| ნიუთაუნი-აფან ლიდო | გადაიდო |
| პენრინკოკი-ეირბასი | გადაიდო |
| პორტ ტელბ.-ებერსტვ. | 2:2 პენ. 5:4 |
| პრესტატინი-ტნს | გადაიდო |
| რილი-ქონეჰსი | 1:3 |

**სლოვაკეთის თასი**

| | |
|---|---|
| მიიავა-ნიტრა | 2:1 |
| ბისტრიცა-ბარდეიოვი | 4:1 |
| სერედი-ტრნავა | 2:3 |
| ლოკომოტივა-კოშიცე | 1:3 |
| ჟილინა-ტრენჩინი | 3:1 |
| სლოვანი-მორავცე | 3:2 |

**ხორვატიის თასი**

| | |
|---|---|
| ვრსარი-დინამო | 0:3 |
| გორიცა-ინტერი | 3:0 |
| ლოკომოტივა-სეგესტა | 4:2 |

**რუსეთის თასი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ამკარი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| ნალჩიკი-ტერეკი | 1:3 |
| ბალტიკა-ზენიტი | 1:2 |

**პოლონეთის თასი**

| | |
|---|---|
| ვარტა-ვისლა | 0:1 |
| რუხი-კორონა | 1:1 დ.დ. 3:1 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ნიმბურკი-ოსტენდე | 83:65 |
| კანტუ-ლუკოილი | 87:79 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| კატაია-ალიაგა | 82:70 |
| რაკვერე-თოფასი | 76:106 |
| გაზ მეთანი-ურალი | 67:69 |
| ძსიონი-აპოლონი | 70:78 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ტორპედო-დინამო (რ) | 3:2 |
| ლოკომოტივი-დონბასი | 2:1 |
| სპარტაკი-ატლანტი | 2:5 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-სკალიცა | 1:2 |
| ჟილინა-პოპრადი | 4:3 |
| ნიტრა-მარტინი | 5:4 (ო) |
| პიესტანი-ზვოლენი | 3:4 |
| ტრენჩინი-კოშიცე | 1:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-კალპა | 5:2 |
| იოკერიტი-საიპა | 3:4 |
| ლუკო-კერპეტი | 1:4 |
| ტაპარა-იუვიასკიულა | 2:3 |
| ჰპკ-პელიკანსი | 3:2 (ო) |
| ესეტი-ჰიფკ | 1:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ხომუტოვი | 2:0 |
| ზლინი-ბრნო | 4:3 (ო) |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 3:2 |
| ლიტვინოვი-ვიტკოვიცე | 4:3 |
| სლავია-კარლოვი ვარი | 3:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბერნი-რაპერსვილი | 1:3 |
| ბილი-ამბრი პიოტა | 4:1 |
| დავოსი-ლანგნაუ | 3:2 (ბ) |
| ლუგანო-კლოტენი | 3:2 (ბ) |
| ფრიბურგი-სერვეტი | 3:4 |
| ცუგი-ციურიხი | 1:4 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-მოდო | 2:1 (ო) |
| როგლე-ტიმრა | 0:1 |
| ფერიესტადი-ლულეო | 1:0 |
| ფრიოლუნდა-შელეფტეო | 2:5 |
| ჰვ71-აიკ | 5:3 |

### ჩოგბურთი

**ATP. ბანგკოკი**

| | |
|---|---|
| სტახოვსკი-ტროიცკი | 7:6, 5:7, 3:6 |
| სელა-ჩიუდინელი | 6:4, 6:4 |
| ნიემინენი-სუგიტა | 6:1 უარი |
| იტო-ვერდასკო | 6:3, 0:6, 2:6 |
| მორია-ჰაასე | 2:6, 7:6, 6:3 |
| იანგი-ლუ | 5:7, 6:2, 7:5 |
| ტომიჩი-გარსია ლოპესი | 6:0, 6:2 |

**ATP. კუალა ლუმპური**

| | |
|---|---|
| ებდენი-დავიდენკო | 6:0, 7:6 |
| ბერლოკი-ბენეტო | 6:7, 3:6 |

**WTA. ტოკიო**

| | |
|---|---|
| პავლიუჩენკოვა-ნა ლი | 5:7, 6:4, 2:6 |
| პეტროვა-ჰალეპი | 7:6, 6:0 |
| მარტიჩი-კვიტოვა | 6:4, 6:4 |
| გორგესი-ბარტოლი | 2:6, 5:7 |
| მორიტა-კერბერი | 3:6, 4:6 |
| ერანი-ლარსონი | 6:3, 7:6 |
| ივანოვიჩი-უ. რადვანსკა | 6:3, 4:6, 2:6 |
| ჰემპტონი-კანეპი | 5:7, 6:2, 6:3 |
| ჟენგი-ციბულკოვა | 0:6, 3:6 |
| უოტსონი-შარაპოვა | 7:6, 3:6, 4:6 |
| პარმენტიე-ვინჩი | 3:6, 1:6 |
| სტოსური-სკიავონე | 4:6, 6:2, 7:5 |
| აზარენკა-პაჩეკი | 6:1, 6:1 |
| ა. რადვანსკა-იანკოვიჩი | 6:2, 7:5 |
| ვოზნიაცკი-ჰანტუხოვა | 7:6, 6:1 |

## TV პროგრამა

**26 სექტემბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. აინტრახტი-დორტმუნდი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ატლეტიკო მინეირო-გრემიო.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. შალკე-მაინცი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. დენ ჰააგი-აიაქსი.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. ბორუსია (მ)-ჰამბურგი (LIVE).
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ტოტენჰემი-ქუინზ პარკი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-რასინგი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-ოკლაჰომა.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-უელსი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
21:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები - გარინჩა.
22:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ჰანოვერი-ნიურნბერგი (LIVE).
00:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
12:20 სპორტ-NEWS.
12:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
15:00 კალათბურთი. ევროლიგა. კანტუ-ბარსელონა.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბარსელონა-სპარტაკი.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. უნიქსი-პანათინაიკოსი.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.

ჩოგბურთი

# ურთიერთგამომრიცხავი ნადალი

გუშინ კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა მსოფლიოს მესამე ჩოგანის - **რაფაელ ნადალის** პიროვნება. ესპანელი ჩოგბურთელის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ცნობები გავრცელდა.

რაფაელ ნადალი, რომელიც ივნისიდან მოყოლებული მუხლის ტრავმის გამო არ თამაშობს, შესაძლოა, სეზონის ბოლოს დევისის თასის ფინალში ვიხილოთ. ეს შეხვედრა 16-18 ნოემბერს გაიმართება და ჩეხეთი ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

როგორც World Tennis იუწყება, 26 წლის ნადალმა, შესაძლოა, წყვილთა მატჩი ითამაშოს **მარკ ლოპესთან** ერთად. ამ დუეტს კარიერაში ოთხი ტიტული აქვს მოგებული.

მოგვიანებით კი ესპანურ პრესაში დაიწერა, რომ არ არის გამორიცხული, რაფაელ ნადალმა ვერ მოასწროს ავსტრალიის ღია პირველობისთვის აღდგენა, რომელიც მომავალი წლის იანვარში გაიმართება.

ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში საინტერესოა ნადალის ინტერვიუ, რომელიც მან სააგენტო "როიტერს" გუშინ მისცა.

*"ახლა მაქსიმალურად მონდომებით ვმუშაობ. ექიმების ყველა დანიშნულებას ვასრულებ და შემიძლია ვთქვა, რომ ამ მომენტისთვის ყველაფერი მეტ-ნაკლებად ნორმალურადაა. ერთადერთი, შესაძლოა, ბევრი დრო დამჭირდეს სრულად აღსადგენად. უახლოესი რამდენიმე კვირა დავაკვირდებით აღდგენის ტემპებს, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი პრიორიტეტია სრული გამოჯანმრთელება და არა კორტზე სწრაფად დაბრუნება. დავბრუნდები, როცა ვიგრძნობ, რომ ყველაფერი წესრიგშია. რამდენს დაიკავებს ეს საკითხი - ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი. ეს შეიძლება იყოს ორი კვირა, ან სამი-ოთხი.*

*ფიზიკური დატვირთვის მხრივ, ჩოგბურთი - ძალიან აგრესიული სპორტია. მუხლებს ძალიან დიდი დატვირთვა ადგება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჰარდზე თამაშობ. სწრაფ კორტებზე გაცილებით აგრესიული თამაში მიდის, და თუ ამასთან, ცდილობ საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენებას, შენი სხეული მაქსიმალურად დაძაბულია. პირადად მე, ამის გამო მუხლებთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა, დანარჩენ ჩოგბურთელებს სხვა ტრავმები აწუხებთ.*

*რეალობა ისეთია, რომ 26 წლის ასაკში, პროფესიულ ჩოგბურთში 10-წლიანი კარიერის შემდეგ, შემიძლია ვიამაყო საკმაოდ სერიოზული მიღწევებით. მოხარული, რომ მუხლებმა მრავალი წლის განმავლობაში მაღალ დონეზე თამაშის საშუალება მომცეს. იმედია, როცა კორტზე დავბრუნდები, ისინი ისევ არ დამალალატებენ"*, - თქვა ნადალმა.

ესპანელმა ისიც აღიარა, რომ კორტზე დაბრუნების შემდეგ, მოტივაციის მხრივ პრობლემა არ ექნება.

*"იმედი მაქვს, რომ ისევ ვიბრძოლებ იმ დონეზე, როგორც ბოლო წლებსა და ამ სეზონის პირველ ნახევარში მქონდა. სწორედ ეს მინდა. ამ მიზნისთვის ვმუშაობ და ყოველდღე ვვარჯიშობ. მინდა ისევ მივიღო სიამოვნება ჩოგბურთისგან"*, - აღიარა ესპანელმა.

ბოლოს, რაფა შეეხო დევისის თასსა და ავსტრალიის ღიაზე სავარაუდო გამოსვლას: *"თუ ყველაფერი კარგად წავა, ჯანმრთელი ვიქნები და კაპიტანი მატჩისთვის ამირჩევს, აუცილებლად ვითამაშებ. თუ შემადგენლობაში არ შემიყვანენ, უბრალოდ, მხარს დავუჭერ ბიჭებს. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ავსტრალიაში მიხილავთ. ამ ეტაპზე ეს არის ჩემი მთავარი მიზანი"*.

**გია თვალაბეიშვილი**



რაფაელ ნადალი







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608